

იხსოვიან



ნაპოლეონის ბედისწეა

იბრაჰიმის სეპარატიზმის
დამოუხილავობაზე
ხობის „ინტერვიუ“ 26 მაისი

ყვანა ღმრის საუბრის
იხსოვიანის ხომალდი

**კონსტანტინე გამსახურდია
დავით აღმაშენებელი
8 ტომად**

ტომი III
ფასი 3 ლარი

ნიგნი „ისტორიანთან“ ერთად – 5 ლარი

აბაჯი
„სამზის
სანახილი“
თამარის
მეფობისა

„შინა
წიგანი“

საქართველოს
იხსოვიანის
ქვეყნი

წიგნი
ბიანი და
ბუხარის
მოსაღი
საქვეყნი

6



8

12




19



25

31




36

სახიჩვი

სახიჩვი
 ქართული კვლევა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ბანკში **6**
 ორი უკველები მონასტერი პერუში... ნაბაკ-საყრელის ქვეშ **7**
 სპილენძის მამიებლებს ხელთ ბუღას ქანდაკებები შერჩათ... **7**
 ვენდოთ თუ არა უნდოვლდის მღვიმის ღებენდებს... **8-10**
 ერაელ დევილთა გეი საბჭოთა სოციალდ ჩაუქირავს... **11**
 პირველი მსოფლიო უინანსური კრიზისი რუმის იმპერიაში **11**

უახესი ისტორია
 იმპერიის ტყვეობიდან — დამოუკიდებლობამდე **12-18**
 ახითველები სხვათა ომში... „შაითან კავიტანი“ **19-24**
ისტორიის საიუბილეოები
 ნაპოლეონის ბედისწერა **25-30**
ისტორიის ბაგეცხეობები ნინაოღებ
 საქართველოს ისტორიის ქურდები... **31-35**
სახიჩვი ისტორია
 თავდასხვა პერლ-ჰარპორზე. იაკონის იმპერიის საბედისწერო შეცდომა ... **36-42**



სახიჩვი

ნოდინათო სხანაზის დუ ამგავი „სამოჯის სანატრელი“ თამარის მეფობისა	44-51	სამყაროდან უმნი მუსიკა	65-69
ნობოიჩის სიღოპოჯიანი ფინდღა გრანალი ანუ ბურუსით მოცული საიდუმლო	52-54	ბიზნესის ისტორია „ცალ-ცალი კალოშიდან“ მსოფლიო ბიზნესიგპერიაგმა	70-73
სოსანი მამაჩინა ნამდვილი ამგავი მარისა ლორთქიფანძიგბან	55-59	ჩაითილი სავსაჩაეოს ნახიციან ოსკი	74-76
ქელი თიჩისი მენაწმირეობა	60-64	ჩიქიტი ღავით მაღრაგმა: „მამულიმევილად მავნი ჩაითქლგა აღამიანი...“	78-81
სმოჯიბა ბიძინა კვერნაგმა: უნდა გავოკენო		ნობოიჩილი ტაჩიგო „ირმების გავსახედი, კახეთი, ჩემი კახეთი!“	82-89
		სავნოვრი	90

ჩვენს ხელახლოვდა სპეციალი

„ქრისტე, ღმერთო ჩემო მხოლოდო, დაუსრულე-ბელო მეუფეო ცათა და ქუეყანისაო! შენ შეგვედრებ სამეფოსა ამას, რომელი შენ მიერ მერწმუნა, და ერსა ამას, პატიოსნითა სისხლითა შენითა მოსყიდულსა, და შვილთა ამთ ჩემთა და მერმე სულსა ჩემსა“. ეს მეფეთ მეფე თამარის სიკვდილის წინ წარმოთქმული სიტყვებია. უკანასკნელ წუთებშიც ქვეყნის და ერისთვის ლოცულობდა. სწორედ ამიტომ შერაცხა ერმა მეფე თამარი წმინდანად და მისი მოხსენიების დღედ 14 მაისი დააწესა.

1184 წელს, გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს სამეფო ტახტი სრულიად ახალგაზრდა თამარმა დაიკავა. 23 წლის განმავლობაში იგდა მეფექალი ქვეყნის მმართველობის სადავეებთან. ეს პერიოდი აღსავსეა წინააღმდეგობებით. ფეოდალთა გამოსვლებს ქართველ მეომართა ძლევა-მოსილი ლაშქრობები ცვლიდა. წარმატებებიც იყო და წარუმატებლობაც, მაგრამ მიუხედავად ყოველივესი, ამ ეპოქამ ქართველთა ცნობიერებაში შესამჩნევი კვალი დატოვა. თავად თამარი კი ერის სათავე-ვანებელ შვილად იქცა. ჯერ კიდევ მისივე თანამედროვენი უდიდესი პატივითა და მოწიწებით მოიხსენიებდნენ მეფექალს. იყო მწერალთა, პოეტთა, მხატვართა შთაგონების წყარო. მისი სილამაზე, სათნო ბუნება აღფრთოვანებას იწვევდა. თამარი თავისი ეპოქის უდიდესი პიროვნება იყო. იმდროინდელ საქართველოში სამეფის მეოთხე წევრად იხსენიებდნენ. ქვეყნის დედად და მფარველად უხმობდნენ თანამედროვენი. დღემდე თამარის დროინდელი საქართველო ქართული სახელმწიფოებრიობის ოქროს ხანადაა მიჩნეული.

ალბათ სიმბოლურია ისიც, რომ ამ თვეში მეორე მნიშვნელოვან თარიღსაც აღვნიშნავთ. ეს არის 26 მაისი — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე. კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში (დღევანდელი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში) საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, 42 წევრისა და 36 კანდიდატის შემადგენლობით, 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მხოლოდ 2 წელიწადსა და 9 თვეს იარსება. მიუხედავად ასეთი მძიმე დროისა, ქვეყნის აღმშენებლობის თვალსაზრისით, ბევრი რამ გაკეთდა.

მართალია, 1921 წელს ახალმა, რუსულმა საბჭოთა იმპერიამ საქართველო დაიპყრო, მაგრამ დამოუკიდებლობის ეს მცირე პერიოდი ყოველთვის ახსენებდა ქართველ კაცს თავისუფლებას და უსახვედა იმედს, რომ დაკარგულს კვლავ დაიბრუნებდა.



დამოუკიდებლობის 99 წლის იანვარი და 9 თვეს იანვარი ხანს თანხმადებას ახსენებდა და დაახლოვდას დახლოვდას იმედს უსახვედა...

ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშია

რედაქტორი
გელა გურგენიძე

სტილისტი-რედაქტორი
ელენე სალარიძე

არტრედაქტორი
რეზო თხილიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ალექსანდრე ბიომიშვილი
ოქროპირ ჯიქური
ნინო ჯაფარიძე

კორექტორები:
ნანა მაჭავარიანი
ნინო აბესაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებძის ქ. №49
ტელ.: 38-13-72, 38-02-45

სარეკლამო განყოფილება
ტელ.: 37-78-07, 38-78-70

e-mail: istoriani@palitra.ge

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალის გამოწვევის სივრცის მიმართული პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტოს „ელვა-ჯი“.

ტელ.: 38-26-73, 38-28-74, 14-09-91



დავით გარეჯი,
იონანე ნათლისმცემლის
მონასტერი
VI-XVIII სს.

ქართული ძეგლები

მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ბანკში ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები განთავსდება. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო საქართველოს ისტორიული ძეგლების ლაზერულ სკანირებას იწყებს, პროცესის დასრულების შემდეგ კი მასალები მსოფლიო მნიშვნელობის ობიექტების გვერდით „საიარკის“ ელექტრონულ სივრცეში <http://archive.cyark.org> მოხვდება.

მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ბანკში ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები განთავსდება. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო საქართველოს ისტორიული ძეგლების ლაზერულ სკანირებას იწყებს, პროცესის დასრულების შემდეგ კი მასალები მსოფლიო მნიშვნელობის ობიექტების გვერდით „საიარკის“ ელექტრონულ სივრცეში <http://archive.cyark.org> მოხვდება.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ცნობით, უახლესი ლაზერული ტექნოლოგიები ქალაქების, ცალკეული ძირშესანიშნავი ადგილებისა და არქიტექტურული ძეგლების შენარჩუნებასა და შესაბამისად, პირვანდელი სახით აღდგენის რეალურ შესაძლებლობას იძლევა.

ლანდშაფტსა თუ ინტერიერში მოძრავი ლაზერი წაშში 50 ათას წერტილს აფიქსირებს.

სკანირების შედეგად დგინდება ამა თუ იმ საგნის მასალა და ზუსტი ზომები, რაც კვლევისა და მისი განვითარების საუკეთესო საშუალებას იძლევა.

ლაზერული სკანირების მთავარი მიზანი ძეგლის ზუსტი დოკუმენტირება და პირვანდელი სახით მისი შენარჩუნებაა. თუმცა ამის პარალელურად „საიარკის“ საინფორმაციო ქსელში მოხვედრა ძეგლის პოპულარიზაციას განსაზღვრავს, მით უმეტეს, რომ „საიარკის“ საინფორმაციო ბანკში განთავსებული მასალა პირდაპირ ებმის Google-ის დედამიწის პროგრამას.

სამგანზომილებიან ფორმატში მილიმეტრული სიზუსტით პირველად დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის სკანირება მოხდება და შესაბამისად სწორედ დავით გარეჯის საფანები მოხვდება „საიარკის“ მსოფლიო მემკვიდრეობის საინფორმაციო სისტემაში.

ოხი უძველესი მონასტრის ჰაიუში... ნაბავსაყიანის ქვეშ

პერუში არქეოლოგებმა ათასწლოვანი მონასტრის ნაშთები იმ ადგილას აღმოაჩინეს, სადაც ბოლო ხანებამდე ნაგავსაყრელი იყო განთავსებული.

მეცნიერებმა მონასტრებს, რომლებიც დაახლოებით 4 000 წლისაა, ქვეყნის ჩრდილოეთით მიაკვლიეს. პერუს ტერიტორიაზე აღ-

მოჩენილი ტაძრებიდან ისინი ყველაზე უძველესია. არქეოლოგებმა 200 კილოგრამიანი ქვებით ნაშენი მონასტრის კედლებს გათხრების დაწყებისთანავე მიაკვლიეს. ნაპოვნი ასევე ადამიანთა ჩონჩხები, რის საფუძველზეც ვარაუდობენ, რომ ამ მონასტრებში მსხვერპლშეწირვის რიტუალი აღესრულებოდა.

სპიციანძის მაძიებლებს ხელი ბუღას ქანდაკებები შეხიან...

ჩინური კომპანია China Metallurgical Group-ის მუშებმა ავღანეთში მიწის სამუშაოების წარმოებისას არაერთ ძველ ქანდაკებას მიაკვლიეს. არტეფაქტები განსაკუთრებით მრავლად აღმოჩნდა ბუღისტური მონასტრის რაიონში, რომელიც 2 600 წელს ითვლის. ამ ტერიტორიაზე მალე სპიციანძის მომპოვებელ-გადამამუშავებელი საბადო ამოქმედდება.

კომპანია 2011 წლის ბოლოს გეგმადა სამუშაოების დაწყებას, თუმცა ამ აღმოჩენის შემდეგ სპიციანძის მოპოვების 3 წლით გადავადება მოუხდა. ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების დასრულებას სწორედ ამ პერიოდისთვის ვარაუდობენ.

შთამბეჭდავია, რაც უკვე აღმოაჩინეს. სამონასტრო კომპლექსში რამდენიმე შესასვლელსა და ფრესკებით მოხატულ ოთახებში მიაკვლიეს ბუღას თიხისა და ქვის ქანდაკებებს. ზოგიერთი ფიგურის სიმაღლე 3 მეტრს აღწევს. ამჟამად 150-მდე ქანდაკებაა ნაპოვნი, თუმცა ვარაუდობენ, რომ მიწის საფარქვეშ ამგვარი ნივთები კიდევ მრავლადაა.

მომზადებულია Daily Mail-ის მასალების მიხედვით





უნდოკლდე.
საძიებო თხრილები

ვენდოთ თუ არა უნდოკლდის მღვიმის ლაგენდავს...

უნდოკლდე არქეოლოგმა ნიკა თუშაბრამიშვილმა 2006 წელს აღმოაჩინა. თუმცა დღემდე მღვიმეში მხოლოდ დაზვერვითი სამუშაოების ჩატარება მოხერხდა. „ისტორიანი“ ვაჭვეის უნიკალური აღმოჩენის შესახებ ნიკა თუშაბრამიშვილს ესაუბრა.

— უნდოკლდესა და იქ შემონახულ კედლის მხატვრობას ხუთი წლის წინ შემთხვევით მიაკვლიეთ თუ წინასწარი ინფორმაცია გქონდათ?

— რეგიონის არქეოლოგიური შესწავლა ჯერ კიდევ 1950-იან წლებში დაიწყო. ჩვენი ექსპედიცია კი აქ 1992 წლიდან მუშაობს. უკვე აღმოჩენილ ძეგლებზე არქეოლოგიურ გათხრებს ვაწარმოებთ და პარალელურად ახალ ძეგლებს ვეძებთ. ერთ-ერთი ასეთი საძიებო სამუშაოებისას 12 მღვიმე აღმოვაჩინეთ, სადაც რამდენიმე კულტურული ფენა დადგინდა პალეოლითიდან დაწყებული, შუა საუკუნეებით დამთავრებული.

მათ შორის ერთ-ერთი გახლდათ უნდოკლდე. თავიდან ყურადღება სახელწოდების გამო მივაქციეთ. ადგილობრივები მღვიმეში არსებულ უფსკრულსა და მასთან დაკავშირებულ ლეგენდებზე გვიყვებოდნენ.

2006 წელსვე გავაკეთეთ რამდენიმე საძიებო თხრილი და მივაკვლიეთ როგორც შუა, ასევე ზედა პალეოლითის მასალას, თუმცა იყო უფრო გვიანდელი, ენეოლითისა და თქვენ წარმოიდგინეთ, შუა საუკუნეების მასალებიც კი.

შუა პალეოლითის ფენები კარგად არის დაცული, გვიანდელს კი კულტურული ფენის სახე აღარ აქვთ და ბევრი რამ ერთმანეთში არეულია.

მღვიმის სიგრძე 80 მეტრია. მის კედელზე ადამიანის სტილისტური გამოსახულება ორი წლის წინ აღმოვაჩინეთ. ის მცირე ზომისაა, შესრულებულია მღვიმის მარჯვენა კედელზე, საშუალო სიმაღლის ადამიანის დონეზე. თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ ის გაცილებით მაღალი იყო, რადგან მრავალი ფენა დაილექა მღვიმეში.

— საქართველოში ამ ეპოქისა და ტიპის კედლის მხატვრობა იშვიათობას წარმოადგენს.. მისი ასაკი უკვე დადგენილია?

— მღვიმეში აღმოჩენილი მასალებისა და მხატვრობის ზუსტი ასაკი ჯერ არ დაგვიდგენია. საქართველოში კედლის მხატვრობა მღვიმეში აქამდე აღმოჩენილი პრაქტიკულად არც ყოფილა. თავის დროზე ინფორმაცია გამოქვეყნდა და არსებობს აღწერაც ჭიათურის რაიონში, მღვიმევის გამოქვაბულში არსებული კედლის მხატვრობისა, მაგრამ ნანახი აღარავის გვაქვს. გადაიფარა კალციტით და აღარ ჩანს.

მსგავსი პეტროგლიფები გვხვდება ჯავახ-

ეთში, წალკის რაიონში, ისინი ტიპოლოგიურად შესწავლილია და მეზოლითის ეპოქას მიეკუთვნება. ანუ უფრო გვიანდელია, ვიდრე უნდოკლდის მხატვრობა. თუმცა ვიმეორებ, ეს მხოლოდ წინასწარი ინფორმაციაა და ვაჭვეში აღმოჩენილი კედლის მხატვრობის ნიმუში ბოლომდე შესწავლილი ჯერ არ არის.

— **აღნიშნეთ, რომ მღვიმეს უნდოკლდე იქ არსებული უფსკრულის გამო შეარქვეს...**

— დიახ, მღვიმის ბოლოს არის კარსტული ჭა, რომლის დიამეტრიც დასაწყისში შვიდი მეტრია, ფსკერთან კი სამი მეტრი. მისი სიღრმე ამჟამად 50 მეტრია, თუმცა ჩანს, უფრო ღრმა უნდა ყოფილიყო და ნაშალით ამოივსო. მღვიმე მდინარის დონიდან 90 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს და შესაძლოა ჭაც ამავე სიღრმისა ყოფილიყო.

მღვიმე ცოცხალია, წყალი წვეთავს და როგორც ჩანს, საცხოვრებლად არც კი ვარვოლა.

— **თუ არა საცხოვრებლად, პირველყოფილ ადამიანს ის კიდევ რისთვის შეიძლება გამოეყენებინა?**

— მღვიმის შესასვლელში აღმოჩნდა მღვიმური დათვის ნამარხები საკმაოდ დიდი რაოდენობით. ძვლები, ფაქტობრივად, ხელუხლებელია, ანუ დამტვრეული არ არის. დამსხვრეულია მხოლოდ რაღაც კატასტროფის, ჩვენი ვარაუდით, ქვების ჩამოცვენის შედეგად. კულტურულ ფენაში აღმოჩენილია ქვის, კერძოდ კაუჩის იარაღებიც, რომელთა 80% სამონადირეოა. ვვარაუდობთ, რომ ნესტის გამო მღვიმე საცხოვრებლად არ გამოიყენებოდა და დროებით სადგომს წარმოადგენდა. უფრო კი იმ ვერსიისკენ ვიხრებით, რომ მას რიტუალისთვის იყენებდნენ. ასეთ ადგილებში ნახატი სრულდება მღვიმეში რაც შეიძლება ღრმად და რაც შეიძლება მიუწვდომელ ადგილას. ასეა უნდოკლდის შემთხვევაშიც.

— **თვით ჭის გამოკვლევა თუ მოახერხეთ?**

— საფუძვლიანად ვერა. მხოლოდ რამდენჯერმე ამოვიტანეთ მიწა. კარსტული ჭის ფსკერზე აღმოჩნდა ცხოველთა ძვლები, ადამიანის ნაშთები, ძირითადად შუა საუკუნეების ეპოქისა და ეს ნაშთები იქ შეიძლება უბრალოდ მოხვდა. ჭაში აღმოჩენილმა მასალამ მართლაც გაგვაოცა, რადგან გარდა მგლისა და მელიისა, რომლებიც როგორც წესი, მღვიმეში ცხოვრობენ, აქ მივაკვლიეთ შვლისა და ირმის ძვლებს. ვერც ირემი და ვერც შველი ვერასოდეს შევიდოდნენ ამ მღვიმეში. ამიტომ



უნდოკლდის მღვიმის კედელზე გამოკვეთილ კაცუნას ხელები ცისკენ აქვს აზიდული, რაც მეცნიერებს აფიქრებინებს, რომ ამ ადგილს სარიტუალო დატვირთვა ჰქონდა



მოცეკვავე კაცუნები ფიცისწეაროს მღვიმიდან

ვვარაუდობთ, რომ ისინი შესაძლოა მსხვერპლშეწირვის რიტუალის შედეგად აღმოჩნდნენ იქ.

პირველყოფილი ადამიანები ცხოველთა ძვლებს როგორც წესი, ამტვრევდნენ და ძვლის ტვინს მიირთმევდნენ.

ჩვენმა ებრაელმა კოლეგამ მასალების შესწავლის შემდეგ დაადგინა, რომ ცხოველთა ძვლები სპეციალურად გატეხილი არ არის და მხოლოდ ჩაცვენის შედეგად არის დაზიანებული. ამას გარდა, თვით დათვიც კულტის ობიექტს წარმოადგენდა. შესაძლოა მღვიმეში დროგამოშვებით ცხოვრობდა დათვი და ზუს-



მღვიმეში ჭის ფსკერიდან ამოღებული მასალა

ტად ამის გამო მიანიჭეს მას სარიტუალო დანიშნულება.

— ამ ვერსიის დამადასტურებელ სხვა რამე ნიშანს თუ მიაკვლიეთ?

— ვერსია, რომ მღვიმეს სარიტუალო დანიშნულება ჰქონდა, გაღრმავდა მას შემდეგ, რაც 2006 წელსვე, უნდოკლდიდან სამ კილომეტრში ფიცისწყაროს მღვიმეს მივაკვლიეთ. ის შედარებით პატარაა, დაახლოებით 12 მეტრი და კარსტული ჭა აქაც გვხვდება. ჭის სიღრმე შეიძლება მეტრია. ჭის თავზე, კლდეზე უკვე არა ერთ, არამედ რამდენიმე ფიგურას მივაკვლიეთ. ე.წ. მოცეკვავე კაცუნებს.

— ფიცისწყაროს მხატვრობით ფრანგი სპეციალისტები დაინტერესდნენ. რა დასკვნა გამოიტანეს მათ?

— უნდოკლდეში მხატვრობის ნიმუში ესპანელ კოლეგებთან ერთად აღმოვაჩინეთ. ფიცისწყაროს მხატვრობასთან დაკავშირებით მე მქონდა ეჭვი, რომ ეს შესაძლოა ბუნებრივი გამოსახულება ყოფილიყო, რომელმაც ასეთი ფორმა კალციტიზაციის შედეგად მიიღო.



უნდოკლდის მასალებში სამონადირეო იარაღი ჭარბობს

თუმცა ფრანგმა სპეციალისტებმა, რომლებიც ამ მიმართულებით მუშაობენ, განმიმარტეს, რომ ადამიანის მიერ მღვიმეში გაკეთებული ღარების კალციტიზაცია უფრო მეტად ხდება, ნაღვენთები ავსებს ამ ხაზებს და გამოსახულება რელიეფურ სახეს იღებს.

ფიგურების ზომა ერთნაირია, დაშორება მათ შორის თანაბარია და ისინი ერთ ზოლზეა განლაგებული.

— ქვის იარაღები ძირითადად რა ტიპისაა?

— ძირითადად მუსტიეს (გვიანდელი ნეანდერტალელთა ეპოქა) პერიოდის წვეტანებს ვხვდებით, რომელიც საუარაუდოდ შუბის პირად გამოიყენებოდა. მასალაში ჭარბობს სამონადირეო იარაღი. ის თითქმის 80% შეადგენს.

ასევე ვიპოვეთ ადამიანის კბილი, რომელიც, წინასწარი შესწავლით, ნეანდერტალელს უნდა ეკუთვნოდეს. თუმცა ეს კულტურული ფენიდან არ მოდის და ალბათ კვლევის შედეგებს უნდა დაველოდოთ.

წლეულს ორივე ძეგლის შესწავლას ვაპირებთ. ფრანგებსა და ამერიკელებთან ერთად მღვიმის წინა ფართობს ვთხრით. არქეოზოლოგიურ მასალაზე კი ისრაელიდან ჩამოსული სპეციალისტები მუშაობენ, სწავლობენ, რა მღვთმარობაშია ძეგლები, როგორაა განლაგებული და სხვ.

მხატვრობის ნიმუშებთან დაკავშირებითაც ვაპირებთ სერიოზულ კვლევას და მათი ზუსტი ასაკიც მხოლოდ ამის შემდეგ გვეცოდინება.

ასე რომ, უნდოკლდე მრავალ სიახლეს გვპირდება.

ეპრაელ დავნილთა გემი საბჭოთა სომალდს ჩაუძირავს

რუმინელმა და პოლანდიელმა მეცინთავებმა შავი ზღვის ფსკერზე წყალქვეშა სომალდს მიაკვლიეს. 68 წლის წინ ჩაძირული საბჭოთა წარმოების წყალქვეშა ნავი S-213 ოცი კილომეტრის სიღრმეზე, პორტ კონსტანცის სიახლოვეს ამ ორი წლის წინ აღმოაჩინეს, თუმცა იმის გარკვევა, თუ ვის ეკუთვნოდა იგი, მხოლოდ ახლახან მოხერხდა.

მეცინთავებმა საქმის კურსში ჩააყენეს რუმინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო და რუსეთის საელჩო ბუქარესტში. თუმცა პასუხი ვერ მიიღეს.

— წყალქვეშა სომალდი ლამით, თევზსაჭერი ბადებითა და ნიჟარებით იყო დაფარული. ჩვენ არაერთხელ ჩავეშვით კორპუსის გასაწმენდად. მას შემდეგ, რაც მისი ნაწილი გავწმინდეთ, გამოჩნდა რამდენიმე დეტალი, რომელმაც საშუალება მოგვცა განგვესაზღვრა, თუ რას წარმოადგენდა იგი, — განმარტავს მეცინთავი ჰარი ბაკერი.

მკვლევართა ვარაუდით, ეს სწორედ ის წყალქვეშა ნავია, რომელმაც 1942 წლის თებერვალში ბულგარული გემი „სტრუმა“ ჩაძირა, რომლის ბორტზეც ებრაელი დევნილები



რუმინეთის სანაპიროსთან ნაპოვნი ჩაძირული სომალდი — საბჭოთა წყალქვეშა ნავი S-213

იმყოფებოდნენ. ისინი ცდილობდნენ გადასულიყვნენ პალესტინაში, რომელიც იმჟამად ბრიტანეთის მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა. ბრიტანეთის პალესტინაში მათი შეშვება არ სურდა. ანკარა კი გემს ნაპირთან არ უშვებდა, რომ დევნილები თურქეთში არ დარჩენილიყვნენ.

ვიდრე თურქეთისა და ბრიტანეთის ხელისუფლებები დევნილთა ბედზე მოლაპარაკებებს მართავდნენ, „სტრუმა“ შავ ზღვაში მყოფმა საბჭოთა წყალქვეშა სომალდმა S-213-მა ჩაძირა. 768 მგზავრიდან გადარჩენა მხოლოდ ერთმა მოახერხა.

EURONEWS

პირველი მსოფლიო ფინანსური კრიზისი რომის იმპერიაში

ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, მონეტარული ისტორიის სპეციალისტი ფილიპ კეი მიიჩნევს, რომ ძვ.წ. I საუკუნეში, 88 წელს, რომის იმპერიაში პირველი მსოფლიო ფინანსური კრიზისი დაიწყო.

კეის მოსაზრება რომისა და მცირე აზიის ფულადი სისტემების მჭიდრო კავშირს ეყრდნობა. ისტორიკოსი ვარაუდობს, რომ იმ ხანაში პონტოს მეფესთან გაჩაღებული ომის შე-

დეგად „მცირეაზიური ფულის“ პოზიციები შესუსტდა და საკრედიტო კრიზისი მთელ იმპერიაზე გავრცელდა.

კეის საკუთარი თეორიის გასამყარებლად რომაელი ფილოსოფოსისა და ორატორის, ციცერონის სიტყვაც მოჰყავს, რომელმაც რომაელებს მოუწოდა, ეზრუნათ სარდალ გნეუს პომპეუსის არმიის შეიარაღებაზე, რომელიც პონტოს მეფე მითრიდატე IV-ის წინააღმდეგ აწარმოებდა ომს. ციცერონი განმარტავდა, რომ მითრიდატეს წინა შემოსევებმა რომაელებს მნიშვნელოვანი დანაკარგი მოუტანა, ხოლო იმპერიის ფინანსური სისტემა კრიზისამდე მიიყვანა.

კეი ფიქრობს, რომ ძველ რომში მაშინ შექმნილი ვითარება წააგავს ამჟამინდელ ფინანსურ კრიზისს, რომელიც აშშ-ში დაიწყო და შემდეგ დიდი ბრიტანეთიც ჩაითრია.

მოშზადებულია The Guardian-ის მიხედვით



1917 წლის 2 მარტს ნიკოლოზ II-ის ტახტიდან გადადგომისთანავე რუსეთის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრმა, რუსეთში პოპულარულმა და ავტორიტეტულმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, ქართველმა სოციალ-დემოკრატმა ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძემ თავისთან იხმო გიორგი (გოგიტა) ფაღაუ და ტელეგრაფში თბილისში გადასაცემად გაატანა დეპეშის ტექსტი. კონსპირაციის მიზნით დეპეშის ტექსტში ქართული სიტყვები რუსული ასოებით იყო დაწერილი: „მთავრობაძე გარდაიცვალა. შეატყობინეთ ნათესაებებსა და ახლობლებს“.

სწორედ ამ ტელეგრამით გაიგეს თბილისში რომანოვების იმპერიის აღსასრული.

თბილისი კავკასიის სამეფისნაცვლოს ადმინისტრაციის ცენტრს წარმოადგენდა. ბოლო მეფისნაცვალი იყო დიდი მთავარი ნიკოლოზ რომანოვი. როგორც კი ნიკოლოზ II-ის ტახტიდან გადადგომის ამბავი შეიტყო, მეფისნაცვალმა თავისთან მიიწვია თბილისის ქალაქის თავი ალექსანდრე ხატისოვი, ასევე პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოების წარმო-



იმპერიის ბზვოვიდან დამოუკიდებლობამდე

რობორ „იწრთობოლა“ 26 მაისი

მადგენლები და განუცხადა, რომ იგი ტოვებდა თბილისს და სთხოვდა მასთან შეკრებილთ, ეზრუნათ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და ქვეყნის უშიშროებაზე.

რუსეთის იმპერიის მოულოდნელმა აღსასრულმა ქართულ პოლიტიკურ ელიტაში დაბნეულობა გამოიწვია. ანტირუსული განწყობილებით ცნობილმა ეროვნულ-დემოკრატებმაც კი ვერ შეძლეს ვითარებაში გარკვევა და პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა. ამით ისარგებლა რუსეთის დროებითმა მთავრობამ და კავკასიის სამეფისნაცვლოში დანიშნა ხელისუფლების სამხარეო ორგანო — ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი), რომელიც ეროვნული და პარტიული პრინციპით იყო შექმნილი. ქართულ, სომხურ

და აზერბაიჯანულ ეროვნულ ძალებს შეეძლოთ წინ აღდგომოდნენ ოზაკომს, მაგრამ ასე არ მომხდარა.

ქართულ პოლიტიკურ ძალთა ორგანიზების მიზნით პირველი ნაბიჯი მხოლოდ 1917 წლის აპრილის დამდეგს გადაიდგა. აპრილში შესაძლებელი გახდა საქართველოს პირველი და მეორე ინტერპარტიული კრებების მოწვევა, რომლებზეც წარმოდგენილი იყვნენ სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები. მიუხედავად უთანხმოებისა და ზოგიერთი არასწორი პოლიტიკური გადაწყვეტილებისა, ინტერპარტიულმა კრებებმა სამოქმედო პროგრამის განსაზღვრა შეძლეს. ეს პროგრამა შემდგომ



საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა. 1918 წლის 26 მაისი

პერიოდულად იხვეწებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ 1917 წლის აპრილიდან მომდევნო თვეებში ინტერპარტიული კრების მონაწილე პოლიტიკურმა პარტიებმა, ორგანიზაციული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს და 1917 წლის აგვისტოში **საქართველოს ინტერპარტიული საბჭო** შექმნეს.

ქართული ეროვნული მოძრაობის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს (თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი) ინიციატივით მოწვეული **საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა**, რომელიც 1917 წლის 19 ნოემბერს გაიხსნა თბილისში. ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო, რომლის თავმჯდომარე **ნოე ჟორდანიას** გახდა. გარდა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეებისა, ეროვნულ საბჭოში აირჩიეს იმხანად და მომავალში ცნობილი ქართველი მეცნიერები: **დიმიტრი უზნა-**

ძე, ალექსანდრე წერეთელი, გრიგოლ ნათაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, შალვა მიქელაძე, ფილიპე გოგიანიშვილი.

ქართული პოლიტიკური ელიტა მომავლის ძიებაში იყო, როცა უკვე რუსეთში მესამედ კარდინალურად შეიცვალა პოლიტიკური ვითარება. 1917 წლის 25 ოქტომბერს ბოლშევიკებმა პეტროგრადში კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება განახორციელეს და რუსეთის კანონიერი დროებითი მთავრობა დაამხეს. მისი სამართალმემკვიდრე საბჭოთა რუსეთის მთავრობა იმავე დღევე შეუდგა რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე ახალი საბჭოთა იმპერიის შექმნას. ეს თავისთავად ნიშნავდა, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობა, მისი პოლიტიკური ლიდერები (ვლადიმერ ლენინი, იოსებ სტალინი, ლევ ტროცკი და სხვ.) სამკვდროსასიცოცხლოდ დაუპირისპირდებოდნენ ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე



ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკება

ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნისთვის მებრძოლ ძალებს, მათ შორის ქართულ ეროვნულ მოძრაობას. რუსული ბოლშევიზმისა და საბჭოთა ხელისუფლების ბუნების კარგად მცოდნე ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების — ნოე ჟორდანიას, აკაკი ჩხენკელის, ნოე რამიშვილის, ვეგენი გეგეჭკორისა და სხვათა ინიციატივით მოხდა ამიერკავკასიის პოლიტიკურ ძაღთა გაერთიანება. 1917 წლის 15 ნოემბრიდან თბილისში ამოქმედდა ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების ახალი ორგანო — **ამიერკავკასიის კომისარიატი** (თავმჯდომარე ვეგენი გეგეჭკორი). ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნით ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ პოლიტიკურ მოღვაწეებს სურდათ, წინ აღდგომოდნენ საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების ორგანოს დანაშვნას, ანუ ამიერკავკასიაზე საბჭოთა რუსეთის მთავრობის იურისდიქციის გავრცელებას.

საბჭოთა რუსეთმა მალე გამოაჩინა ნამდვილი სახე. ბოლშევიკური აგიტაციის შედეგად რუსეთის კავკასიის არმია უმართავ ძაღად იქცა. საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა, სწორედ ამ სამხედრო ძაღთით მო-

ეხდინა ამიერკავკასიის ოკუპაცია. 1918 წლის იანვარში კავკასიის ფრონტზე განლაგებული არმიის ნაწილებმა ფრონტის ხაზები მიატოვეს და თბილისისკენ დაიძრნენ. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, ახალშექმნილმა ქართულმა რეგულარულმა ჯარმა (პირველმა ქართულმა კორპუსმა) და სახალხო გვარდიის ნაწილებმა შეძლეს რუსეთის არმიის შეჩერება. რუსები იძულებულნი გახდნენ, თბილისის ოკუპაციაზე ხელი აეღოთ და ბაქოსკენ დაიხიეს. რუსეთის ვერაგული გეგმები საქართველოსადმი მალე სხვა მხრივაც გახდა საცნაური. 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა რუსეთმა გერმანიის იმპერიასთან და მის მოკავშირეებთან (ავსტრია-უნგრეთი, ბულგარეთი, თურქეთი) დაღო სეპარატული ზავი. ზავის პირობების თანახმად, რუსეთის არმიას უპირობოდ უნდა დაეტოვებინა ოსმალეთის ოკუპირებული ტერიტორია (ანატოლია). რაც შეეხება საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ნაწილს — ბათუმის ოლქსა და არტანის ოკრუგს, საბჭოთა რუსეთმა ის ოსმალეთს გადაუღოცა.

ამიერკავკასიის კომისარიატმა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობები არ ცნო. 1918 წლის 1-ელ აპრილს ოსმალეთმა ბათუმი და

სამცხე-ჯავახეთი დაიკავა. 1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის სეიმმა გამოაცხადა დამოუკიდებელი სახელმწიფოს — **ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის** შექმნა. ამის შემდეგ ოსმალეთს ველარ უნდა წამოეყენებინა ის არგუმენტი, რომ ამიერკავკასია დამოუკიდებელი სახელმწიფო არ იყო. ამიერკავკასიის დელეგაცია ოსმალეთის დელეგაციასთან მოლაპარაკებისათვის გაემგზავრა ბათუმში, რომელიც იმხანად უკვე ოსმალეთის ჯარების მიერ იყო ოკუპირებული. ბათუმში დელეგაციათა დონეზე პრაქტიკულად ერთადერთი შეხვედრა 1918 წლის 11 მაისს გაიმართა.

ბათუმის მოლაპარაკებაზე გაირკვა, რომ ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკას შინაგანი წინააღმდეგობა ღრღნიდა. სულ უფრო აშკარა ხდებოდა, რომ ქართველები გერმანოფილურ, სომხები ანგლოფილურ, ხოლო აზერბაიჯანელები თურქოფილურ ორიენტაციას აღიარებდნენ. გენერალმა ოტო ფონ ლოსომ აკაკი ჩხენკელს განუცხადა, რომ შექმნილ ვითარებაში გერმანიის იმპერია ოსმალეთის აგრესიისგან ამიერკავკასიის ფედერაციას ვერ დაიცავდა, ხოლო თუ ქართველებს გერმანიის მფარველობა სურდათ, უნდა გამოეცხადებინათ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ანუ ამიერკავკასიის რესპუბლიკა უნდა დაშლილიყო. გენერალი ოტო ფონ ლოსო ქართველებს პირდებოდა, რომ ამ შემთხვევაში იგი იშუამდგომლებდა გერმანიის იმპერიის მთავრობის წინაშე საქართველოს დაცვის თაობაზე.

აკაკი ჩხენკელმა 1918 წლის 12 მაისით დათარიღებულ, ბათუმიდან გამოგზავნილ ორ წერილში საქართველოს ეროვნულ საბჭოს შექმნილი ვითარების შესახებ მოახსენა. იგი ეროვნულ საბჭოს აფრთხილებდა: საქართველოსთვის ოსმალეთთან ომის წარმოება დამლუპველი იყო. ამასთან ერთად, აკაკი ჩხენკელი ეროვნულ საბჭოს გერმანოფილური საგარეო-პოლიტიკური კურსის აღიარებას სთავაზობდა. თბილისში თითქმის ყოველდღე ეწვობოდა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი სხდომა. 1918 წლის 14 მაისს გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელზეც შექმნილი ვითარება განიხილეს და ბათუმში აკაკი ჩხენკელს სახელმძღვანელოდ შემდეგი მითითებები გაუგზავნეს:

1. ეცნობოს ბათუმის საგზაო მოლაპარა-



აკაკი ჩხენკელი



გენერალი ოტო ფონ ლოსო



გერმანელი ჯარისკაცები საქართველოში

კებაზე გერმანიის იმპერიის წარმომადგენელ გენერალ ოტო ფონ ლოსოს, რომ ეროვნული საბჭოს თხოვნაა, გერმანიამ ყოველგვარი მხარდაჭერა აღმოუჩინოს საქართველოს; 2. ეთხოვოს გენერალ ოტო ფონ ლოსოს, გაატაროს სათანადო ღონისძიებანი ჩრდილოეთ კავკასიაში გერმანიის ჯარების წინსვლის დასაჩქარებლად, რათა შესაძლებელი გახდეს გერმანიის ჯარებთან კავშირის დამყარება; 3. ეთხოვოს გენერალ ოტო ფონ ლოსოს, ხელი შეუწყოს გერმანიაში მყოფი ქართველი სამხედრო ტყვეების საქართველოში ორგანიზებულად დაბრუნებას; 4. ეთხოვოს გენერალ ოტო ფონ ლოსოს, ვიდრე გერმანიიდან ქართველი სამხედრო ტყვეების დაბრუნების საქმე მოგვარდებოდეს, მოხდეს საქართველოში მყოფი გერმანელი ტყვეების სამხედრო რაზმად ორგანიზება გერმანელი ოფიცრის მეთაურობით, რათა საჭიროების შემთხვევაში გერმანელთა სამხედრო ძალა გამოიყენონ საქართველოში შინაური წესრიგის დასაცავად და ანარქიასთან საბრძოლველად.

მოგვიანებით გერმანელი სამხედრო ტყვეებისგან შედგენილი რაზმი გერმანელი ოფიცრის მეთაურობით გადაიყვანეს გურიის ტერიტორიაზე, სადგურ ნატანებთან, ხოლო შემდეგ მდინარე ჩოლოქის ნაპირას. ჩოლოქის მარცხენა სანაპიროზე მდგარმა ოსმალების არმიის ნაწილებმა ვერ გაბედეს გერმანიის იმპერიის არმიის ფორმაში გა-

მოწყობილი გერმანელ სამხედრო ტყვეებისგან შექმნილი სამხედრო დანაყოფის წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციის დაწყება.

საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ გერმანოფილური ორიენტაციის აღიარება შექმნილ ვითარებაში ერთადერთი და სწორი გამოსავალი იყო. ოსმალეთი გერმანიის მოკავშირეს წარმოადგენდა, ამიტომ მას ანგარიში უნდა გაეწია გერმანიის მთავრობის გადაწყვეტილებისთვის. გერმანოფილური ორიენტაციის საქართველოს ოსმალეთის მხრიდან აგრესიული ქმედებების შიში აღარ უნდა ჰქონოდა. სხვა სახელმწიფოების დახმარებით ოსმალეთის საფრთხის განეიტრალება შეუძლებელი იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის დაინტერესებას საქართველოში მნიშვნელოვანი საფუძველი ჰქონდა. გერმანიას კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში პოზიციები არ გააჩნდა. მათ მოსაპოვებლად საქართველო გერმანიისთვის პლაცდარმს წარმოადგენდა. სწორედ აქედან შეიძლებოდა დაეწყო გერმანიას კონკურენტების შევიწროება მახლობელ აღმოსავლეთში. საქართველო მით უფრო ფასობდა გერმანიისთვის, რომ სომხეთს ანგლოფილური, ხოლო აზერბაიჯანს თურქოფილური ორიენტაცია ეკავა. გერმანიის დაინტერესებას საქართველოში ზრდიდა ისიც, რომ ქართულ პოლიტიკურ ელიტაში თანდათან ძლიერდებოდა ანტიირუსული განწყობილება.

1918 წლის მაისში ბათუმიდან გამოგზავ-

ნილ წერილში აკაკი ჩხენკელი ეროვნულ საბჭოს არწმუნებდა, რომ ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს გადარჩენა შეუძლებელი იყო. ამასთან ერთად ქართველი დიპლომატი აღნიშნავდა, რომ ინგლისის დახმარებით ოსმალეთის შეჩერება არარეალური გახლდათ. აკაკი ჩხენკელი დაჟინებით ირწმუნებოდა, რომ ხსნის ერთადერთ გზას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება წარმოადგენდა.

თბილისში ეროვნული საბჭოს რეზიდენციაში, რომელიც ფრეილინის (დღევანდელი სულხან-საბა ორბელიანის) ქუჩაზე მდებარეობდა, დიდი გამოცოცხლება იგრძნობოდა. აკაკი ჩხენკელის მიერ 1918 წლის 23 მაისს გამოგზავნილი წერილი ეროვნულ საბჭოში 24 მაისს მიიღეს. შექმნილი ვითარების შესაფასებლად საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა დაინიშნა, რომელიც 24 მაისს, ღამის 11 საათზე გაიხსნა. ნოე ჟორდანიამ დამსწრეთ გააცნო ბათუმიდან აკაკი ჩხენკელის მიერ გამოგზავნილი წერილის შინაარსი, სადაც იგი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დაჩქარებას ითხოვდა. შემდეგ ნოე ჟორდანიამ განმარტა, რომ 25 მაისს საღამოს 10 საათზე უნდა შეკრებილიყო ამიერკავკასიის სეიმი, რომელიც ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკას დაშლილად გამოაცხადებდა. მოგვიანებით, სეიმის სომეხი და აზერბაიჯანელი დეპუტატების თხოვნით, სხდომა გადაიდო 26 მაისის დღის 12 საათისთვის. ნოე ჟორდანიამ შემოიტანა შემდეგი წინადადება: საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადებისთანავე, რაც სეიმი დაშლილად გამოაცხადებდა ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს. კენჭი ყვარა საკითხს: „საქართველოს დამო-

უკიდებლობა გამოცხადდეს დღეს თუ ხვალ“. დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ, 25 მაისს გამოცხადებას ხმა მისცა ექვსმა წევრმა, 26 მაისს გამოცხადებას — ოთხმა წევრმა. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის 25 მაისს გამოცხადება მაინც ვერ მოხერხდა, რადგან აღმოჩნდა, რომ დამოუკიდებლობის აქტის ტექსტი სრულყოფილი არ იყო და გადაამუშავებას საჭიროებდა. ამის გამო დამოუკიდებლობის გამოცხადება თავისთავად გადაიდო 26 მაისისთვის. აქტის ტექსტის გადაამუშაება და მისი საბოლოო ვარიანტის მომზადება ნოე ჟორდანიას დაევალა. ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომამ განსაზღვრა სამინისტროების რაოდენობა და მთავრობის პერსონალური შემადგენლობა.

1918 წლის 26 მაისს რუსთაველის (გოლოვინის) პროსპექტზე მდებარე კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში ამიერკავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომა გაიმართა, რომელმაც ნაშუადღევის 3 საათზე ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადა. იმავე დარბაზში, სადაც სეიმის უკანასკნელი სხდომა მოეწყო, 26 მაისს, კვირას, ნაშუადღევის 4 საათსა და 50 წუთზე ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა გაიხსნა. მას 42 წევრი და 36 კანდიდატი ესწრებოდა. ნოე ჟორდანიას სიტყვით გამოვიდა და მისი დასრულების შემდეგ წაიკითხა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“. ეროვნულმა საბჭომ „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ ერთხმად, ყოველგვარი შესწორების გარეშე დაამტკიცა.

აქტის პირველი მუხლი გვაუწყებდა: „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფ-

კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილი რეზიდენცია (დღეს — მოსწველეთა სასახლე)





საქართველოს ეროვნული საბჭოს ისტორიული სხდომის მონაწილეები

ლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“. დამოუკიდებლობის აქტის შემდეგ ნოე ჟორდანიამ ეროვნულ საბჭოს წარუდგინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კოალიციური მთავრობის შემადგენლობა, რომელიც უცვლელად დამტკიცდა: **ნოე რამიშვილი** — მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი, **აკაკი ჩხენკელი** — საგარეო საქმეთა მინისტრი, **გრიგოლ გიორგაძე** — სამხედრო მინისტრი, **გიორგი ჟურული** — ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი, **გიორგი ლასხიშვილი** — სახალხო განათლების მინისტრი, **ნოე ხომერიკი** — მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი, **შალვა მესხიშვილი** — იუსტიციის მინისტრი, **ფანელორთქიფანიძე** — გზათა მინისტრი.

საქართველოს ეროვნული საბჭოს ისტორიული სხდომა ნაშუადღევს 5 საათსა და 55 წუთზე დასრულდა. სხდომის დასრულების შემდეგ ნოე რამიშვილმა მსოფლიოს სახელმწიფოთა მთავრობებს ტელეგრაფით ამცნო ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა.



საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

„ზაითან კაპიტანი“

„ვილაცამ კარზე დააკაკუნა.

„ენტრუზ“! გასძახა მამიდა არმადარმა.

ტანმორჩილი ჩოფურა მოხუცი შემოვიდა.

თარამ ემზვარს გაუხარდა „შეითან კაპიტანის“ მოსვლა.

„ეს კაცი ყოფილი გენერალია, მსოფლიო ომის დროს მან ერთი ბატალიონით თურქეთის მთელი კორპუსი შტაბიანად შეიპყრო“, — ეუბნება თარაში კაროლინას ინგლისურად, ზმადებლა, თანაც დასძინა: მან არც კი იცის, რომელიმე სენსაციური ამერიკული გაზეთი მილიონ დოლარს არ დაიშურებდა მის შემუარებისათვის“.

კონსტანტინე გამსახურდია. „მთვარის მოტაცება“



ერთ-ერთი თურქული საექსკურსიო გზამკვლევი გვამცნობს: „პირველად მოგიტხრობთ ყარსის შესახებ... თუ თქვენ შეხვალთ ყავახანაში, იქ მყოფი მოხუცი ყარსელი, მისთვის დამახასიათებელი თეატრალურობით, აუცილებლად მოგიყვებათ აჰმედ მუხთარ ფაშას გმირობის ან სარიყამიშთან ბრძოლისას თურქი ჯარისკაცების დაღუპვით გამოწვეული ტკივილის შესახებ“.

მაშასადამე, სარიყამიშთან განცდილი მარცხისგან გამოწვეული ტკივილი დღემდე აწუხებთ აქაურებს, ჩადენილი გმირობით სიამაყით ივსებიან ქართველები და რუსები, გერმანელები ყველაფერს თურქთა უთავბოლობასა და შემთხვევითობას აბრალებენ.

ჩვენ არ შევუდგებით ამ ტრაგიკული დღეების ყველა პერიპეტეიის აღწერას, მხოლოდ ქართველ სამხედროთა მამაცობაზე ვისაუბრებთ. ვფიქრობთ, მათი წვლილი მეტად მნიშვნელოვანია და ღირსია ცალკე განხილვისა.

1914 წლის ივლისში სარაევოში სერბი გავრილო პრინციპის გასროლას მსოფლიოში მანამდე არნახული მღელვარება მოჰყვა. ტახტის შემკვიდრის მოკვლით აღშფოთებულმა ავსტრია-უნგრეთის იმპერიამ 28 ივლისს ომი გამოუცხადა სერბეთს. მსოფლიო ისტორია-

ში ომის გამოცხადება პირველად მოხდა დეკემბით. 5 აგვისტოსთვის კი ომში ჩაება გერმანია, რუსეთი, საფრანგეთი და ინგლისი. საბრძოლო მოქმედებები ყველაზე ინტენსიურად ევროპაში მიმდინარეობდა. მთელი ზაფხულის განმავლობაში სამთა კავშირის წვერი ოსმალეთის იმპერია სიმშვიდეს ინარჩუნებდა. იმდენად მოჩვენებითი იყო თურქების მოქმედება, რომ რუსებმა კავკასიიდან ჯარის დიდი ნაწილი დასავლეთის ფრონტზე ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ გადაისროლეს. შემოდგომაზე მოკავშირეთა გეგმები შეიცვალა და გერმანელებმა ოსმალეთისგან კავკასიაში ფრონტის გახსნა მოითხოვეს სასწრაფოდ.

1914 წლის ოქტომბერში რუსეთის იმპერია და ოსმალეთს შორის მყოფე მშვიდობა დაირღვა და დაიწყო საბრძოლო მოქმედებები კავკასიის ფრონტზე. ძირითადი მოვლენები ამ მიმართულებით განვითარდა დეკემბერ-იანვარში.

ღლის წესრიგში დადგა შეტევის სარიყამიშის მიმართულებით განვითარების პერსპექტივა. ენვერ ფაშამ გერმანელ მრჩეველთა დახმარებით დაგეგმა მეტად გაბედული ოპერაცია: თურქული მე-3 არმიის სამ საარმიო კორპუსს რუსული ქვედანაყოფები უნდა შეეპოჭა



რუსეთის არმიის სანგრები სარიყამიშის ფრონტზე

სარიყამიშთან (ადგილი ყარსსა და ბასიანის რეგიონს შორის. სარიყამიშის გადასასვლელზე გადიოდა ოდითგანვე ძველი საგაჭრო გზა, რომელიც აკავშირებდა ყარსსა და არზრუმს).

სარიყამიშის მიმართულება შემთხვევით არ შეუჩრჩევიათ. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრის შემთხვევაში იმედოვნებდნენ რუსეთის მიერ 1877-78 წლების ომის შემდეგ მიერთებული ტერიტორიების (ისტორიული ტაოკლარჯეთი) დაბრუნებას, რეგიონში მცხოვრები მაჰმადიანი (ძირითადად აჭარლებისა და ქვემო ქართლის აზერბაიჯანელების) მოსახლეობის აჯანყებას, სამხრეთ კავკასიის გაუმენდასა და ბორჯომი-თბილისის მიმართულებით შეტევას.

ამ დროს დერბენტის პოლკის მე-14 ასეულის მეთაურის, კაპიტან ტარასი ვაშაკიძის გმირობამ მთლიანად შეცვალა ბრძოლის ბედი.

ეს მოხდა 22 დეკემბერს.

მოულოდნელობისგან ყველა (მტერიცა და მოყვარეც) განცვიფრებული დარჩა.

გენერალი იუდენიჩი იტყვის: „ეს ხომ შეუძლებელია!!!“; ხოლო გენერალი ბერხმანი თავის მოხსენებაში დაწერს: „უსახლგროდ მოხარული ვარ, ჩემს ხელქვეით მყოფი ყველა წოდების სამხედროს სახელით მივულოცო

თქვენს მაღალკეთილშობილებას ესოდენ დიდი და სახელოვანი გამარჯვება“.

საქმე ეხებოდა დარუბანდის 154-ე ქვეითი კაზაკთა ათასეულის (მეთაური პოლკოვნიკი თავადი ნიჟარაძე) მე-14 ასეულის მებრძოლები-სა და ასმეთაურ კაპიტან ტარასი ვაშაკიძის მიერ თურქეთის III არმიის IX კორპუსის მთელი ხელმძღვანელობის დატყვევების ამბავს, რის შემდეგაც ამ ოპერაციის ბედი პრაქტიკულად გადაწყდა – რუსულ არმიებს რამდენიმე დღე დასჭირდათ IX და X საარმიო კორპუსების დარჩენილი ნაწილების გასანადგურებლად.

რუსულ საისტორიო ლიტერატურაში ამ მოვლენას „რუსულ სასწაულს“ უწოდებენ. სინამდვილეში კი უფრო „ქართული სასწაულია“. შეიძლება ითქვას, რომ არა ტარასი ვაშაკიძის „ქართველობა“, ეს ამბავი არც მოხდებოდა. საინტერესო ის არის, რომ როდესაც ენვერ ფაშას გერმანელი მრჩეველები ოპერაციას გეგმავენ, განსაკუთრებით უსვამდნენ ხაზს რუსული არმიების ხელმძღვანელობის არაოპერატიულობასა და მოუქნელობას. თურქული არმიების გაწვრთნისას სისწრაფესა და მანევრირებაზე ამახვილებდნენ ყურადღებას. დეკემბრის შუა რიცხვებამდე მოვ-

ლენები სწორედ დასახული სცენარით ვითარდებოდა. ტარასი ვაშაკიძის გმირობის შემდეგ კი ყველაფერი თავდაყირა დადგა — თურქული არმია ერთი ხელის მოსმით განადგურდა. ყოველივე ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ რუსმა გენერლებმა გეორგი ბერხმანმა და ნიკაი იუდენიჩმა დიდების გვირგვინები ვერ გაინაწილეს: ერთს არ ჰქონდა სარდლობა გადაბარებული, მეორეს კი — მიღებული.

ტარასი ვაშაკიძე დაიბადა 1873 წლის 8 ივნისს დავით და ირინე ვაშაკიძეების ოჯახში ქუთაისის გუბერნიაში, ზონის უბნის სოფელ დიდ გუბში. მოგვიანებით მისი ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა ქუთაისში. ტარასიმ 1891 წელს დაამთავრა საქალაქო სასწავლებელი, ხოლო 1892 წელს თბილისის იუნკერთა სასწავლებელში ჩაირიცხა, რომელიც 1895 წლის 18 აგვისტოს დაასრულა და ამ დროიდან მისი ცხოვრების უმთავრეს ასპარეზად სამხედრო სამსახური იქცა.

სასწავლებლის დასრულების შემდეგ დარუბანდის 154-ე ათასეულის მე-14 ასეულში გაამწესეს. სწორედ ამ ასეულში 1895-1913 წლებში განვლო მან გრძელი გზა პოდპრაპორშჩიკობიდან კაპიტნობამდე.

...22 დეკემბერს მოვლენები ამგვარად განვითარდა: თურქთა IX კორპუსის ხელმძღვანელობის დატყვევებისას ტარასი ვაშაკიძე, მიუხედავად იმისა, რომ პოლკის უფროსმა სასტიკად აუკრძალა დამოუკიდებელი მანევრი-

რება, საკუთარი ინიციატივით მოქმედებდა. დერბენტის 154-ე პოლკის მეთაურის, პოლკოვნიკ ნიჟარაძის მოხსენებით ბარათში აღნიშნულია, რომ „წინა საღამოს, 11-12 საათის შუალედში კაპიტანი ვაშაკიძე, საკუთარი ინიციატივით... პრაპორშჩიკ ლებედვეისა და პოდპრაპორშჩიკ სოროკინის თანხლებით დაზვერვაზე იმყოფებოდა. დილის 5 საათამდე დაზვერა და გამოიკვლია ტერიტორია მოწინააღმდეგის კოცონებისა და ხმაურის მიხედვით“.

22 დეკემბერს დანიშნული იყო რუსების ერთიანი შეტევა, რომელიც გვემის მიხედვით დაიწყო კიდეც დღის პირველ საათზე. კაპიტანმა ვაშაკიძემ, რომელიც შეტევის ოპერატიულ გეგმას უნდა დამორჩილებოდა, ვითარებაში სწრაფი ორიენტირების უნარი გამოამჟღავნა. მოცემულ მომენტში მისი მოქმედება ეწინააღმდეგებოდა კიდეც საერთო გეგმას, მაგრამ მიღებულმა შედეგმა რისკი სრულად გაამართლა.

იერიშის დროს ვაშაკიძემ ასეული წინა დამით ჩატარებული დაზვერვის მიმართულებით წაიყვანა. მან და მისმა მებრძოლებმა ტყვიან ზოლში ხელთ იგდეს თურქთა ოთხი ზარბაზანი და არტილერისტები. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ უკანასკნელთ IX კორპუსის მთავარი შტაბის მისაღვომების დაცვა ევალებოდათ. ამის შემდეგ ვაშაკიძემ განკარგულება მიიღო, ადგილზე დარჩენილიყო და აღარ განეგრძო მოძრაობა მოწინააღმდეგის

მეორე რიგში, მარცხნიდან მესამე კაპიტანი ტარასი ვაშაკიძე. ვარსი, 1914





თურქული არმიის სამხედრო ნაწილი მარშით მსვლელობისას

პოზიციების მიმართულებით, მაგრამ იგი ბრძანებას არ დაემორჩილა.

პოლკოვნიკი ნიჟარაძე განაგრძობს: „კაპიტანმა ვაშაკიძემ რამდენჯერმე დააპირა შეტევაზე გადასვლა, მაგრამ იგი ბატალიონის მეთაურმა შეაჩერა... საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში დარწმუნებულმა კაპიტანმა ვაშაკიძემ საერთო წყობა დატოვა და ფორსირებული იერიშით გაიჭრა წინ, სადაც მტრის ძირითადი ძალები ეგულებოდა“.

ვაშაკიძის მანევრი სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა მოწინააღმდეგისთვის.

1915 წლის 22 ივლისს დარბაზის 154-ე ათასეულის მე-14 ასეულის მეთაური, კაპიტანი ტარასი ვაშაკიძე პოლკოვნიკ სპირიდონ ესაძეს წერდა: „1914 წლის 22 დეკემბერს ასეული ათეულეზად დაეყავი და თურქების ბანაკისკენ დავმარი, ვუბრძანე, სროლა არ აეტეხათ, რათა თურქები ცეცხლის მიხედვით ჩვენს რიცხოვრებულ სიმცირეს არ მიმხვდარიყვნენ. მე კი მარტო გავემართე მტრის პოზიციებისკენ. როდესაც მათგან ორასიოდე ნაბიჯიდა მაშორებდა, დამტვრეული თურქულით შევძახე: „დაგ-

ვნებდით, დაყარეთ იარაღი, თორემ ყველას ამოგზოცავთ“. ცოტა ხნის შემდეგ ჩემთან თურქი ოფიცერი მოვიდა და დამტვრეული რუსულით მითხრა: „ბატონო ოფიცერო, ყველაფერი გადაწყვეტილია. კორპუსის მეთაური გთხოვთ, რომ სისხლი არ დაიღვაროს, გნებდებით“.

ვხედავთ, ისინი ძალზე ბევრნი არიან, ყველა შეირადებულია, მარტო ოფიცერი 100-ზე მეტი იქნება. საჭიროა მათი განიარაღება, მე კი საკმარისი რაოდენობის ხალხი არ მყავს. მიხვდებიან, ცოტანი რომ ვართ. გამოსავალს ეშმაკობაში ვხედავ, ვუახლოვდები გენერალს (როგორც შემდგომ გამოირკვა, კორპუსის სარდალს ისხან ფაშას) და ხმამაღლა ვუბნები: — ბატონო ოფიცერო, იარაღი შეგიძლიათ დაიტოვოთ.

გენერალი (მოგვიანებით ისხან ფაშას ისტორიკოსები თურქ კორნილოვს დაარქმევენ. — ავტ.) ფრანგულად მეკითხება. ვპასუხობ, რომ ვარ რუსეთის არმიის კაპიტანი, რომელსაც მათი დატყვევება აქვს დაუალებული და რუსეთის არმიის ნაწილები პასუხს დაუყოვნებლივ ელიან.

— რა ძალები გყავთ? — მეკითხება გენერალი.

— აქეთ დივიზია დგას, იქით შვედრაგოთ ბრიგადა, აქვე კი ორი ბატალიონია ჩასაფრებული.

ამის შემდეგ მკითხა, — საიდან ბრძანდებიო.

მეც ვუპასუხე: — ქართველი ვარ, ქუთაისიდან.

— ვიცო, ვიცო ქუთაისიო, — და ისევ მკითხა: — სად არიან თქვენი ოფიცრები?

— გორაკს მიდმა! — გულში კი ვფიქრობ, რომ ასეულში სულ ორი პრაპორშჩიკი მყავს.

ამით ჩვენი მოლაპარაკება დასრულდა. ყველას ცხენებზე შესხდომა შევთავაზე. მე კი ფეხით გავეშურე. თურქებს ეს გარემოება მხედველობიდან არ გამოჰპარვიათ და გენერალმა თავისი სამარქაფო ცხენი შემომთავაზა. გზაში სულ ვფიქრობდი, ეშმაკობა არ შემიტყონ, თორემ სულ ჯოხებით გაგვრეკავენ-მეთქი.

ბედმა გამიღმა. როგორც კი ხეობიდან გამოვედი, რუსეთის არმიის ჩამორჩენილი ნაწილები დავინახე.

როდესაც ჩვენს შტაბს მივუახლოვდით, ისხან ფაშასთან მივედი და ვუთხარი:

— გენერალო, მე თქვენი კორპუსი ერთი ასეულით დავატყვევე.



წმინდა ანას
ორდენი



წმინდა გიორგის
მეორე ხარისხის
ორდენი



medaille militaire
(საფრანგეთის
სამხედრო მედალი)

ისხან ფაშა შეცბა, გაკვირვებისგან თვალები გაუფართოვდა (მისი სახე არასოდეს დამავიწყდება), ხელი შუბლზე მიირტყა და წამოიძახა: — შაითან კაპიტან, შაითან კაპიტან!

ამ სიტყვების მნიშვნელობას ვერ მივხვდი და იქვე მდგომ სომეხს ვკითხე, — რას ამბობს-მეთქი და მანაც მითარგმნა: — „შაითანი“ ეშმაკს ნიშნავს.

ამ ოპერაციის შედეგად ტარასი ვაშაკიძის ასეულმა დაატყვევა თურქეთის არმიის IX კორპუსის სარდალი ისხან ფაშა, სამი დღე-ღამის მეთაური, ორი დღე-ღამის მეთაურის თანაშემწე შტაბბითურთ, 107 ოფიცერი და 1306 ჯარისკაცი; ხელთ იგდო 8 ზარბაზანი, 24 ტყვიამფრქვევი, დიდი რაოდენობით ცხენები, ტყვია-წამალი და სხვა სახის ნადავლი.

პირველი მსოფლიო ომის მკვლევარი, გენერალ-მაიორი ნ. კორსუნი აღნიშნულის შესახებ აცხადებს, რომ „შაითან კაპიტანს“ მოქმედებათა შემდეგ სამხედრო სტრატეგიის სახელმძღვანელოებში შევიდა პუნქტი, რომ შტაბების მოწყობა დაუშვებელია მთიან ადგილებსა და უსაფრთხოების განსაკუთრებული პირობების გარეშე.

ამ გმირობის გარდა, ტარასი ვაშაკიძის სახელს უკავშირდება 1914 წლის 19 დეკემბერს („შაითანობამდე“ სამი დღით ადრე) მტრის ერთი პოლკოვნიკის, ორი პოდპოლკოვნიკის, სამი კაპიტანის, ოთხი უმცროსი ოფიცრისა და 182 ჯარისკაცის დატყვევებაც.

ყოველივე ამის გამო პოლკოვნიკმა ნიჟარაძემ ფრონტის სარდლობის წინაშე აღძრა შუამდგომლობა ვაჟაკობითა და მოხერხებულობით გამორჩეული კაპიტან ვაშაკიძის წმინდა გიორგის მეოთხე ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ;

1915 წლის 31 ივლისს კი ტარასი ვაშაკიძეს კავკასიის მეფის ნაცვალთა ვორონცოვ-დაშკოვი ატყობინებდა, რომ ანტანტის წევრი ქვეყნის, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის — რაიმონ პუანკარეს ბრძანებით მას მიენიჭა საფრანგეთის სამხედრო მედალი **medaille militaire** (ჯილდოს მნიშვნელობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ამ მედალის კავალერი თვით იმპერატორი ნიკოლოზ II იყო).

გარდა ამისა, პირველი მსოფლიო ომის დროს სხვა ოპერაციებისას გამოჩენილი გმირობისთვის ტარასი ვაშაკიძე დაჯილდოვდა წმინდა სტანისლავის მეორე ხარისხის ორდენით, ხმლითა და ბაფთით; წმინდა სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენით; წმინდა ანას მესამე ხარისხის ორდენით, ხმლითა და ბაფთით.

1915 წლის 18 ნოემბერს ტარასი ვაშაკიძე გიორგობის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად ქალაქ მოგილიოვში გაგზავნეს, სადაც ნიკოლოზ მეორეც იმყოფებოდა. 26 ნოემბერს ამ უკანასკნელმა ქართველი კაპიტანი პირადად მიიღო და გამოჩენილი მამაცობისთვის პოდპოლკოვნიკის ჩინი უბოძა.

1917 წლის თებერვალში რუსეთში რევო-

ლუცია მოხდა, ნიკოლოზ II ტახტიდან გადა-
აგდეს, ხელისუფლებაში დროებითი მთავრო-
ბა მოვიდა... რუსეთის არმია კი ბრძოლას
კვლავ განაგრძობდა.

იმევე წლის მარტში ტარასი ვაშაკიძე დერ-
ბენტის 154-ე პოლკის მეთაურად დაინიშნა, მა-
ლე პირველი ქართული მსროლელთა პოლკი
შეიქმნა და ტარასი უკვე მისი მეთაურის რან-
გში გვევლინება. 1917 წლის ნოემბრამდე იგი
კავკასიის ფრონტზე იმყოფებოდა. ამის შემ-
დე რუსეთის ჯარმა დაშლა დაიწყო. ჯარის-
კაცთა უმეტესობა რუსეთში დაბრუნდა.

ამჯერად უკვე ამიერკავკასიის კომისარი-
ატი განაგრძობდა თურქებთან ომს.

1918 წლის პირველ აპრილს ოსმალებმა ბა-
თუმი აიღეს. მათ ბევრი სამხედრო პირი, მათ
შორის პოლკოვნიკი ვაშაკიძეც დაატყვევეს.
რამდენიმე დღის შემდეგ თურქებმა ტყვეები
ხოფას მიმართულებით წაიყვანეს.

კინი გეგეჭკორის „მოგონებებიდან“: „ტა-
რასი ვაშაკიძე იცნო ერთ-ერთმა მეზადრაგემ.
ხმლის ქარქაში ზურგში ჩაჰკრა და შეუძახა
ისხან ფაშას სიტყვები: „შიითან კაპიტან“. გა-

ვიარეთ 5-6 კილომეტრი. ცხენოსანი მღვეარი
დაგვედევნა და უცბად უკან დაგვებრუნეს. ბა-
თუმში რომ ჩავედით, კომენდანტმა ყველა გაგ-
ვათავისუფლა“.

ოსმალთა ტყვეობიდან ტარასი ვაშაკიძე
24 აპრილს გათავისუფლდა, 8 მაისს კი მას
გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა. საქარ-
თველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და-
არსების შემდეგ, 1918 წლის აგვისტოში, ტა-
რასი პირველი ქართული დივიზიის მეთაუ-
რის თანაშემწედ დაინიშნა. ქართულ ჯარში
იგი ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაპყ-
რობამდე მსახურობდა. მეთაურობდა შენა-
ერთებს აფხაზეთსა და სოჭის რეგიონში; ერ-
თხანს იყო ტუაფსეს გენერალ-გუბერნატო-
რი. საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ
(1921 წ.) ვაშაკიძე გადადგა სამხედრო სამ-
სახურიდან, თუმცა ქვეყანა არ დაუტოვებია
და მუშაობდა ფინანსთა სახალხო კომისა-
რიატში (1922-1932 წწ.). გარდაიცვალა 1937
წელს. დაკრძალულია თბილისში, ვაკის სა-
საფლაოზე.

ბიოგრაფიული

მარჯვნიდან მარცხნივ: გენერალი თ. ართმელაძე, ქუთაისის მოურავი დ. კლანდარიშვილი, კ. დათეშიძე, გენერალი კრეს ფონ კრესენშტაინი, გენერალი ტ. ვაშაკიძე, კრესენშტაინის ადიუტანტი ბარონი ჰაში და მწერალი დ. კლდიაშვილი (ი. კვიციანიის ფურნალ-გაზეთების კანტორა იმერეთში. ქუთაისი, 1919 წლის ანგარი)



ნაპოლეონის ბედისწერა

„სიკვდილი არაფერია, მაგრამ
ცხოვრობდე დამარცხებული,
ყოველდღე სიკვდილს ნიშნავს“.

ნაპოლეონი

წმინდა ელენეს პირქუში და ცივი
კუნძული, რომელიც ატლანტის ოკეანის
სამხრეთით მდებარეობს,
გადასახლებული ნაპოლეონისთვის
საბოლოო ნაესაყუდელი აღმოჩნდა.
სწორედ აქ გარდაიცვალა 51 წლის
ნაპოლეონი 1821 წლის მაისში. ცნობაში
მითითებულია, რომ იმპერატორი კუჭის
სიმსივნით გარდაიცვალა, მაგრამ მას ამ
დაუჯადების არც ერთი კლასიკური
სიმპტომი არ გამოემყდარებია.
თანამედროვე მეცნიერები ფიქრობენ,
რომ ნაპოლეონი მოწამლეს. თუ ასეა,
ვინ იყო მკვლეელი, რა გამოიყენა
საწამლაჟად და როგორ?

ნაპოლეონი 1815 წლის ივნისში, ვატერლო-
ოს ბრძოლაში დამარცხების შემდეგ გადასახ-
ლეს წმინდა ელენეს კუნძულზე. ყოფილ იმპე-
რატორს კაემანმა დარია ზელი და მხოლოდ
ცხენით ჯირითი თუ შველოდა. ნაპოლეონს ახ-
ლა საკუთარი თავის გარდა არაფერი აინტე-
რესებდა. ინგლისელთა ფრეგატზე ყოფნისას
თვითმკვლელობაზეც კი ფიქრობდა. მას ყველ-
გან თან დაჰყვებოდა ინგლისელი ჯარისკაცე-
ბის ფხიზელი თვალი, რაც უფრო მძაფრად აგ-
რძნობინებდა თავისი მდგომარეობის სიმძიმეს.
თუმცა ზედამხედველები ყველაფერს აკეთებ-
დნენ, რომ თავი კომფორტულად ეგრძნო.
ლონგუდ-ჰაუსიდან, სადაც ნაპოლეონი და-
აბინავეს, ზღვისა და მთების მშვენიერი ხედი
იშლებოდა. გარდა ამისა, მას ჰქონდა სააბა-
ზანო, წიგნებითა და რუკებით სავსე ოთახი და
დიდი საძინებელი. ნაპოლეონს ნება მისცეს,
ჰყლოდა ოცი მსახური. კარგადაც კვებავ-
დნენ, მზარეული საუცხოო ნუგბარს — შაქ-
რის ტრიუმფალურ თაღებსა და ქარვისფერ





სახლი (ლონგვეუდ-ჰაუსი) წმინდა ელენეს კუნძულზე, სადაც ნაპოლეონმა სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა. „საფლავში ვარ, — აქ უთხრა 1816 წელს მან გრაფ ლას კაზს, — მხოლოდ სიკვდილს ველოდები, რომ ბოლო მოეღოს ჩემს წამებას“.

სასახლეებს უშზადებდა. საჭმელს ფაიფური-სა და ვერცხლის თეფშებიდან შეეცქეოდა. ასე რომ, უკანასკნელ დღემდე არაფერი აკლდა. ნაპოლეონ ბონაპარტი 1821 წლის 5 მაისს, 51 წლისა გარდაიცვალა.

ნაპოლეონი მაშინ საკმაოდ მსუქანი იყო და ეს არავის უკვირდა. დასკვნაში სიკვდილის

მიზეზად მითითებული იყო კუჭის სიმსივნე. სიმსივნე ავადმყოფის კახექსიას, დაუძღურებას იწვევს. იმპერატორი კი, პირიქით, სუქდებოდა. მას შემდეგ ისტორიკოსები და მეცნიერები ცდილობდნენ იმპერატორის გარდაცვალებისთვის ახსნა მოეძებნათ და ნამდვილი მიზეზი ახლახან გახდა ცნობილი, როცა ნაპოლეონის ცხოვრების მკვლევარმა კანადელმა ბენ უაიდერმა და შვედმა ტოქსიკოლოგმა სტენ ფორშუფეუდმა ნაპოლეონის თმის კულულის ტესტირება ჩაატარეს.

თმა ნაპოლეონს გარდაცვალების მეორე დღეს შეჭრეს და საგანგებოდ შეინახეს. უკანასკნელ პერიოდის დნმ-ის ანალიზმა ცხადყო, რომ თმა ნამდვილად მას ეკუთვნოდა. დეტალური შესწავლის შემდეგ ბენ უაიდერმა და სტენ ფორშუფეუდმა დაადგინეს იმპერატორის გარდაცვალების მიზეზი: თმაში აღმოჩნდა დარიშხანის მაღალი კონცენტრაცია — ნორმაზე 38-ჯერ მეტი, თანაც თმის სხვადასხვა ნაწილზე სხვადასხვა კონცენტრაციის, რაც იმას ნიშნავს, რომ იმპერატორს სიკვდილამდე ყოველდღე დარიშხანის სხვადასხვა დოზას აძლევდნენ.

ანალიზის სიზუსტე აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს საწამლაკების დეპარტამენტმა დაადასტურა და ვერც ერთმა ექსპერტმა ვერ შეძლო მისი გაბათილება.

ნაპოლეონი შეიძლება მოწამლულიყო სასმელი წყლით, თმის კრემით, შპალერის სუნის შესუნთქვით. მოწამვლა შეიძლება წინას-

1814 წელს ტახტიდან ჩამოვდებული და სულიერად განადგურებული ნაპოლეონის ფანშრთელობა ძალზე შეირყა. მან წონაშიც მოიმატა, რამაც კიდევ უფრო გაართულა მისი მდგომარეობა



წარაც იყო დაგეგმილი. ამის დამადასტურებელი სამხილები ჰქონდათ იმ პირებს, ვინც წმინდა ელენეს კუნძულზე ნაპოლეონს თან ახლდნენ. განსაკუთრებით ლუი მარშანს — ნაპოლეონის ერთგულ მსახურს, ჭკვიანსა და დაკვირვებულ კაცს. მარშანის ჩანაწერებისთვის, რომელშიც დარიშხანით ნაპოლეონის მოწამელის დამახასიათებელი სიმპტომებია აღწერილი, დიდხანს ყურადღება არაუქცევია, სანამ თმის ანალიზი არ ჩაატარეს. ანალიზისა და მარშანის ჩანაწერების შედარებამ ცხადყო, რომ ის დღეები, როცა ნაპოლეონი იმ სიმპტომებით იტანჯებოდა, რაც დარიშხანით მოწამულაზე მიუთითებს, ზუსტად ემთხვეოდა დარიშხანის მიღების დღეებს. შეჯერებულმა მტკიცებულებებმა აჩვენა, რომ ნაპოლეონი მოკლეს.

ყოფილი იმპერატორი მხოლოდ დარიშხანს არ მოუკლავს. მას ორ ეტაპად უღებდნენ ბოლოს: პირველად დარიშხანი არა უგვიანეს 1816 წლის ივნისში მისცეს (ვატერლოოს ბრძოლიდან ერთი წლის შემდეგ), ხოლო სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში დოზას თანდათან უმცირებდნენ, რათა შთაბეჭდილება შეექმნათ, თითქოს ნაპოლეონი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა. ბოლო ეტაპი 1821 წლის მარტის ბოლოს დაიწყო, როცა ფრანჩესკო ანტომარკიმ, ყოფილი იმპერატორის პირადმა ექიმმა, სიკვდილის პირას მყოფ ნაპოლეონს სასაქმეველი დაალევინა. სასაქმეველს ნაპოლეონს დროდადრო ასმევდნენ, რამაც პირღებინების რეფლექსი დაუქვეითა. ასეთ დროს გაწმენდილი კუჭი საწამლავს უფრო იოლად შეიწოვს და აღარ ძალუძს მისი გამოდევნა. ნაპოლეონი მართალი იყო, როცა თავს არიდებდა მის მიღებას. ბოლოს, 1821 წლის 21 მარტს, ნაპოლეონი დათანხმდა სასაქმეველის მიღებას მას შემდეგ, რაც ანტომარკიმ დაჟინებით მოსთხოვა. ექიმს მხარი აუბა ნაპოლეონის კამერგერმა გრაფმა შარლ დე მონტოლონმა. იმპერატორს ორი დოზა მისცეს და ლუი მარშანმა დღიურში ჩაწერა: „ძალად გამოწვეული ღებინების დროს მხოლოდ მცირე ნერწყვი ამოანთხია!“

ერთი თვის შემდეგ ნაპოლეონს ორშადი — ფორთოხლის ყვავილისა და მწარე ნუშის გამაგრილებელი სასმელი დაალევინეს და დაარწმუნეს, წყურვილს მოგიკლავთო. გაძლიერებული წყურვილი დარიშხანით მოწამელის კიდევ ერთი სიმპტომი იყო. ნაპოლეონს სულ უფრო უძლიერდებოდა წყურვილი და სულ

ლუი მარშანი ნაპოლეონის ერთგული მსახური იყო. მართალია, იმპერატორთან სიახლოვის გამო მასზე ეჭვი მიიტანეს, მაგრამ ისტორიკოსები შეთანხმდნენ, რომ თავისი ბატონის მოსაწამლად მას საფუძველი არ გააჩნდა.



ეჭვობენ, რომ დე მონტოლონს მონარქისტები მფარველობდნენ. გრაფს დიდად არ მოსდოდა თვალში ნაპოლეონი, რომელმაც ერთ დროს დიპლომატიური სამსახურიდან გადააყენა. დე მონტოლონი ნაპოლეონის ანდერძის მიხედვით მისი მთავარი მემკვიდრე იყო.



უფრო მეტ ორშადს სვამდა. ექიმმა ანტომარკიმ უთხრა, ეს ლიმონათიაო. „ლიმონათი! — თქვა ნაპოლეონმა, — რა საშინელი დასალეუვია“.

მარტო ორშადი არ ყოფილა ნაპოლეონის სიკვდილის მიზეზი. ლუი მარშანმა დამტკბარ წყალში გახსნილი კალომელი (ვერცხლისწყლის ქლორიდი) დაალევინა, რითაც სურდა ნაპოლეონისთვის ყაბზობა შეემსუბუქებინა. ყაბზობაც ერთ-ერთი სიმპტომია დარიშხანით მოწამელისა. კალომელის სამკურნალო დოზა მარცვლის 1/4-ს შეადგენდა, ნაპოლეონს კი 10 მარცვალი გაუხსნეს დამტკბარ წყალში. რით შეიძლება აიხსნას ასეთი მაღალი დოზის მიღება?

იმ დღეს დე მონტოლონმა ექიმ ანტომარ-



ნაპოლეონის სასიკვდილო სარეცელოან, წითელ მუნდირში დგას სერ პადსონ ლოუ, უდრეკი ბრიტანელი გენერალი, წმინდა ელენეს კუნძულის გუბერნატორი. იყო თუ არა ლოუ გარეული იმპერატორის მკვლელობაში, დამტკიცებული არ არის, მაგრამ თავად ნაპოლეონს სჯეროდა, რომ ლოუს მისი სიკვდილი სურდა

კის ნაპოლეონის ავადმყოფობის სიმპტომების ჩამონათვალი მოსთხოვა.

ამ დროს მასთან ერთად იყვნენ კუნძულის გუბერნატორი სერ პადსონ ლოუ და ორი ინგლისელი ექიმი — შორტი და მიჩელი. ავადმყოფს ინგლისელმა ექიმებმა გამოუწერეს 10 მარცვალი კალომელი, რაც ანტომარკიმ გააპროტესტა — იმპერატორი ძალზე დასუსტებულია და ასეთ დიდ დოზას ვერ გაუძლებსო. დე მონტოლონი, ამ „კონსილიუმის“ მოთავე, ინგლისელებს დაეთანხმა. ლუი მარშანმა იმ დღეს დღიურში ჩაწერა: „ბოლოს დაეთანხმდი, კალომელი ცოტადენ შაქრიან წყალში გაემერია... როცა იმპერატორმა მთხოვა, რამე დამალევიყო, ის დამტკბარი წყალი მივუტანე. მან გაკვირვებით კი გადაყლაპა, მაგრამ სცადა, უკან გადმოეწიხა“.

ორგზის მიცემული კალომელი და ორმადი ავადმყოფის კუჭში მომაკვდინებელ საწამლავად — ვერცხლის ციანიდად იქცა. იმ საღამოსვე კრიზისი დაიწყო. უკანასკნელ საათებში ნაპოლეონს აუტანელი ტკივილი ტანჯავდა, სიკვდილამდე სამი კვირით ადრე კი ჯერ კიდევ ხუმრობდა და იტალიურ სიმღე-

რებს მღეროდა. ნაპოლეონს ოფლიანობა დაეწყო და მალე გონიც დაკარგა.

იგი 1821 წლის 5 მაისს გარდაიცვალა. ექიმმა ანტომარკიმ აუტოფოსია ჩაატარა. იმპერატორს კუჭის გარსი საშინლად დაზიანებული ჰქონდა — ექიმის დასკვნით, ნაპოლეონი კუჭის სიმსივნით გარდაიცვალა. ექიმმა ერთი უცნაურობაც შენიშნა — მას სხეულზე თითქმის აღარ ჰქონდა თმა. ეტყობა, ანტომარკიმ არ იცოდა, რომ ესეც დარიშხანით მოწამვლის ნიშანი იყო.

სავსებით ცხადია, ნაპოლეონი მოკლეს, მაგრამ ვინ მოკლა? ბუნებრივია, დაახლოებულია პირმა, ვინც მასთან ერთად წმინდა ელენეს კუნძულზე იყო. ალბათ, ისიც ღონგვუდ-ჰაუსში ცხოვრობდა და არა მარტო იმპერატორის უკანასკნელ დღეებს შეესწრო, არამედ თვეებისა და წლების განმავლობაში მის გვერდით ტრიალებდა. ამგვარად, ეჭვიმტანილთა სია სულ უფრო ვიწროვდება და მხოლოდ ორი ადამიანი შეიძლება დასახელებდეს: ლუი მარშანი და დე მონტოლონი. ისეთ თავდადებულსა და ერთგულ მეგობარს, როგორც ლუი მარშანი იყო, საეჭვოა, ნაპო-

ლეონისთვის ედალატა. აი, მონტოლონი კი შეიძლება რაღაცით უკმაყოფილო ყოფილიყო და ჯავრი ეყარა. მის წინააღმდეგ ხუთი სამხილი მეტყველებს:

— ნაპოლეონი იმავე კერძებს შეექცეოდა, რომელთაც მასთან ერთად სუფრასთან მსხდომნი, მაგრამ მხოლოდ ის სვამდა ღვინო „კონსტანციას“, რომელიც საგანგებოდ მისთვის ჩამოიტანეს სამხრეთ აფრიკიდან. 1818 წლის თებერვლიდან იმპერატორს დე მონტოლონი ამარაგებდა ამ ღვინით.

— როგორც სერ ჰადსონ ლოუს დაახლოებულმა ერთ-ერთმა პირმა განაცხადა, სწორედ დე მონტოლონმა ჩაამატებინა ორშადში მწარე ნუში, რომელიც საწამლაფთან რეაქცივაში შედის.


— ნაპოლეონის სიკვდილამდე ორი დღით ადრე ანტომარკისა და ინლისელი ექიმების კამათში დე მონტოლონმა ამ უკანასკნელთ დაუჭირა მხარი, როცა დაიჟინეს ავადმყოფისათვის ათი მარცვალი კალომელის (ვერცხლისწყლის ქლორიდი) მიცემა.

— ერთადერთი საბუთი, რომელშიც ნათქვამია, რომ იმპერატორი დაუძღვრებოთ გარდაცვალა, დე მონტოლონის მემუარებია, რომელიც 1848 წლით თარიღდება. ყველა სხვა ჟურნალსა და ჩანაწერში მითითებულია, რომ იმპერატორი სიკვდილის წინ ძალზე გასუქებული იყო. ნუთუ დე მონტოლონმა ყალბი ჩანაწერი გააკეთა, რათა გა-



გარდაცვალების შემდეგ ნაპოლეონის სახიდან აღებული ნიღაბი. მსოფლიოში ცნობილი ოთხი ნამდვილი ნიღბიდან ერთ-ერთი ზუგდიდის მუზეუმში ინახება

ნაპოლეონი ლონგვეუდ-ჰაუსში, სასიკვდილო სარეცელზე. XIX ს-ის 20-იანი წლების ნახატი



ემყარებინა აზრი ნაპოლეონის სიმსივნით სიკვდილზე?

— დასასრულ, ნაპოლეონის ანდერძის მიხედვით, სწორედ დე მონტოლონს ერგო მისი ქონების დიდი ნაწილი — იმ დროისათვის უზარმაზარი თანხა — 2,2 მლნ ფრანკი.

ყველა ეს სამხილი მეტ-ნაკლებად სარწმუნოა. არ არსებობს სხვა რაიმე ჩანაწერი, რომელიც დაადასტურებდა, რომ ნაპოლეონის ღვინო მოწამლული იყო. სამართლებრივი თვალსაზრისით შეიძლება დე მონტოლონზე ეჭვი გასწეოდათ, მაგრამ ისტორიკოსებს არსებული სამხილები არ აკმაყოფილებდათ. ვიღაცამ მართლაც მოკლა ნაპოლეონი და შესაძლებელია, ეს სწორედ დე მონტოლონი იყო.

თუ გრაფი მართლაც მკვლელი იყო, ხომ არ ასრულებდა ის ხელისუფლების დაჯილბასს? ხომ არ იყო ინგლისის მთავრობისა და საფრანგეთის მეფე ლუი XVIII-ის აგენტი? ერთხელ ნაპოლეონმა თურმე თვალებში გამოძვრულად ჩახედა სერ ჰადსონ ლოუს და უთხრა: „სიმათლე გითხრათ, სერ? დიახ, გითხრათ სიმათლე? ვიცი, რომ ჩემი მოკვლა დაგავალეს. დიახ, ჩემი მოკვლა“.

სწორედ ლოუ იყო, დე მონტოლონს მწარე ნუში რომ მისცა. ნაპოლეონის ადიუტანტის, გენერალ გასპარ გურგოს დღიურის მიხედვით, ლოუმ აიძულა ექიმები, „შეეცვალათ აუტოფსიის დასკვნა და არ ჩაეწერათ ღვიძლში აღმოჩენილი ცვლილებები“. ლოუ ის კაცი არ იყო, დამოუკიდებლად გაეცა ეს განკარგულება. ალ-

ნაპოლეონის საფლავი პარიზში



ნაპოლეონის საფლავი წმინდა ელენეს კუნძულზე, საიდანაც იგი პარიზში გადასვენეს. 1840 წელს, გვამის ექსპუმაციისას, ბრიტანელები გაოგნდნენ — გვამი არ გაზრწნილიყო, ნაპოლეონს თითქოს ეძინა. ცნობილია, რომ დარიშხანით მოწამლულის ცხედარი დიდხანს ინახება უზრწწელად.

ბათ, ის მითითებებს ინგლისის მთავრობისგან იღებდა, რასაც საფრანგეთის მეფეც ეთანხმებოდა. ბურბონებსა და ინგლისელებს საკმარისი მიზეზი ჰქონდათ ნაპოლეონის პოლიტიკური აუანსცენიდან გასაქრობად. ერთი რამ ცხადია: ამ საიდუმლოს ფარდა არასოდეს აუხდება.

მომზადებულია National Geographic-ის გამოცემა „ისტორიის საიდუმლოებანი“ მიხედვით



ისტორიის გამყარებაზე და წინადადება



რუკა ამოღებულია 2002 წელს ვლადიკავკაზში დაბეჭდილ „ოსეთის ისტორიული ატლასიდან“. მდინარე მტკვრამდე შიდა ქართლის ნაწილი გამოცხადებულია ოსთა ისტორიულ საცხოვრისად. დვალეები კი, რომლებიც ძირბველ ქართველურ ტომს წარმოადგენდნენ, ატლასში ოსებადაა გამოცხადებული.

საქართველოს ისტორიის ქურდები

სათური მკითხველისთვის, ალბათ, უცნაური იქნება. დიან, ისტორიის ქურდები მართლაც არიან და ჩვენს შემთხვევაში ისინი ქართველ ხალხს სტაცებენ ისტორიას და კულტურას. ლაპარაკია ოსებსა და მათ წამქეზებელ რუსებზე, რომლებიც სწორედ ისტორიის ქურდობით ცდილობენ, საფუძველი მოუძებნონ საქართველოს ძირბველი მიწა-წყლის მიტაცებას.

ისტორიის ფალსიფიკაციამ და მითოლოგიების შექმნამ განსაკუთრებული მასშტაბები ბოლო ოცი წლის განმავლობაში მიიღო, აგვისტოს ომის შემდგომ ხომ ამგვარმა პუბლიკაციებმა ყველაფერი წალეკა. იქნება ატლასებიც (თანაც, სასკოლო!), რომლებშიც ქართლის მტკვრის მარცხენა მხარე ალანის (ოსეთის) განუყოფელ ნაწილადაა წარმოდგენილი. ასეთი ავტორებისთვის არც საისტორიო წყარო და არც საბუთი არ არსებობს. ფალსიფიკაცია და ხშირად ქართული წყაროების გადაბრუნებული თარგმნა კი ისტორიის ქურდებისთვის ჩვეულებრივი ამბავია.

იმდენი ნაქურდალია უკვე დაგროვილი, რომ მიმტაცებელთა სამხილებლად იმავე მოცულობის ნაშრომები შეიძლება დაიწეროს, თუმცა ზოგჯერ უფრო დიდი ფორმატის პუბლიკაციის გამოქვეყნება შეიძლება დაგეგმოდეს. მაგალითად, 2010 წელს მოსკოვში დაბეჭდილი სქელტანიანი წიგნის — „აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი აღიარების შემდეგ: ისტორიული და თანამედროვე კონტექსტი“ — ავტორები (ვლადიმერ ზახაროვი, ანდრეი არეშევი, ელენა სემერიკოვა) წერენ (მითითების გარეშე), რომ სოფელ ერედუში, 1830-1831 წლების კამერალური აღწერით, ცხრა ოსუ-



შიდა ქართლის რუსეთის მიერ ოკუპირებული (ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი) ტერიტორია, XII საუკუნეში აგებული თილის ეკლესიის სარკმელი

რი და მხოლოდ ერთი ქართული გვარი ცხოვრობდა და 1970-იან წლებში სოფელი უკვე ქართული იყო. გამოდის, ქართველებს თანდათან ოსები ერედიდან გაგვიყრია და მათი სახლ-კარი მიგვითვისებია. ისტორიული ფაქტის შეგნებულ გაყალბებას რით უნდა ვუპასუხოთ? საბედნიეროდ, საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულია ერედვისა და შიდა ქართლის ყველა სოფლის მოსახლეობის აღწერის დაფორები, რომელსაც რუსეთის იმპერია აწყოდა. იმპერიამ ასეთი აღწერა თბილისის გუბერნიაში ექვსჯერ მოაწყო. ჩვენი ისტორიული სიმართლისთვის კი ქართველები ვაღდებული ვართ, ზემოხსენებული 1830-1831 წლების კამერალური აღწერის დაფორების დედნები დაუბეჭდოთ: მკითხველს, განსაკუთრებით არაქართველს, ვაჩვენოთ ჩვენი სიმართლე და ისტორიის ქურდების სიაკაცე.

ქვემოთ ერთ, სრულიად ახალ, შეგნებულ უვიცობის ნიმუშს გაგაცნობთ. ესაა ცხინვალში გამოქვეყნებული რუსულენოვანი გაზეთის „რესპუბლიკა“ (2011 წლის №9-10) პუბლიკაცია, უფრო სწორად, ინტერვიუ დოცენტ ზარბეგ ძაბითთან. მაშ ასე, მივეყვით დოცენტის სიცრუეთ: ცხინვალს იქით, დიდი ლიახვის ხე-

ობის ათი ქართული სოფლის (ქურთა, აჩაბეთი, კეხვი, მონასტერი, თამარაშენი, გუჯაბაური, მარწეში, ქემერტი, ხეითი, სვერი) მოსახლეობა ძველად არასდროს ქართული არ ყოფილა და ქართველებად მხოლოდ 1920 წელს, ჟორდანაიას მთავრობის ნაციონალ-შოვინისტთა შეჭრის შედეგად ქცეულან. „ამ ტერიტორიებზე ყოველთვის ცხოვრობდნენ ოსები, ებრაელები და მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით სომხები და ქართველები. ერთი ჩემი ნაცნობი გვარად ბასიშვილი, რომელიც აქ 1989 წლამდე ცხოვრობდა, მიყვებოდა, რომ მისი წინაპრები რამდენიმე თაობის განმავლობაში მკვიდრობდნენ სოფელ აჩაბეთში და XIX საუკუნეში ბასითის გვარს ატარებდნენ. მისი პაპა იხსენებდა, რომ 1920-იან წლებში მენშევიკების შემოჭრის მოლოდინში მათ განაყურძოკვრით იცოდნენ ქართველი ნაციონალისტების სისხლის მწყურვალობის შესახებ და დასჯისა და ანგარიშსწორების შიშით (აქ კი მრავალი ოჯახი ცხოვრობდა) თავიანთი გვარი ქართული ვარიანტით შეიცვალეს. მეტიც, შიშობდნენ, რომ ბანდიტები წინაპართა საფლავებს წაუბილწავდნენ და მათაც საფლავის ქვები გადაატრიალეს, რომლებზედაც მითითებული იყო გვარები და სხვა მონაცემები ოსურ და რუსულ ენებზე“.

რა უნდა ვთქვათ ამ ნაბოდვარსა და უვიცობაზე? უბრალოდ, საქმე გვაქვს არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიის მიტაცების, არამედ ისტორიის მიტაცების ფაქტთან. აღნიშნული სტრიქონების ავტორს ისტორიაში შეიძლება ახალი თეორიის შექმნაზე კი ჰქონდეს პრეტენზია: ერთი თოფის გაგარდნაზე ეთნიკური ცნობიერების შეცვლა ეთნოსის თეორიაში გაცნობიერებული ყველა ავტორისთვის აღმოჩენა იქნება. ანდა ოსებს საკმაოდ მყიფე ეთნიკური ცნობიერება ჰქონიათ, თუ ასე, შიშის გამო, დამფრთხალნი ქართველებად იქცნენ. სინამდვილეში დასახელებულ სოფლებში, ისევე როგორც თანამედროვე ე.წ. სამხრეთ ოსეთში, ყოველთვის ქართველები ცხოვრობდნენ. ფაქტები უამრავი შეიძლება მოუყვანოთ ფალსიფიკატორ ავტორს. რადგან ის აჩაბეთისა თუ ქურთის, კეხვისა თუ თამარაშენის, ხეითისა თუ ქემერტის მოსახლეობას საბჭოთა პერიოდში, XX საუკუნის 20-იან წლებში გაქართველებულად მიიჩნევს, ნებისმიერ დინტერესებულ მკითხველს შეუძლია ზემოხსენებულ საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არ-

ქვემო დაცულ რუსეთის იმპერიის შედგენილ მოსახლეობის 1818, 1830-1831, 1840, 1860 და 1873 წლების აღწერის დაგორებსა და 1886 წლის საოჯახო სიებს გაეცნოს, რომლებშიც არა მხოლოდ ზემოთ ნახსენები სოფლებია შეტანილი, არამედ ე.წ. სამხრეთ ოსეთის სხვა სოფლებიც, რომლებშიც ასევე ქართველები მკვიდრობდნენ და სადაც იმ პერიოდში ინტენსიურად ხდებოდა ოსთა მიგრაცია შიდა ქართლის მთის სოფლებიდან. რაც შეეხება ბასიშვილების გვარს, რომლებიც, თურმე, ბასიშვილებად იწერებოდნენ 1920-იან წლებამდე, სოფელ ქურთის (და არა აჩაბეთის) 1860 წლის აღწერაში რვა კომლი ბასიშვილია აღრიცხული. ამ სოფლების მთელ მოსახლეობას და, კონკრეტულად, ბასიშვილებსაც მიწერილი აქვთ: **Все грузины**. ბასიშვილთა ქართული გვარი სოფელ ქურთაში 1773 წლის ფიცის წიგნშიცაა მოხსენიებული. გარდა გიორგი ბასიშვილისა, ამ დოკუმენტში მისი მეზობელი სხვა ქართველებიც არიან დასახელებული: შოშია საყვარელიძე, გოგია ხაბარელი, ხოსია ბაბუციძე, ღვთისია ზეკაშვილი და სხვები. მეტიც: უფრო ადრეც ეს ქართული გვარი არაერთხელაა მოხსენიებული საისტორიო საბუთებში, მაგალითად, სუხიტა და გიუნა ბასიშვილები მაჩაბლების 1690 წლის წყალობის წიგნის მოწმეები ყოფილან.

„გაქართველებულ ოსებს“ თავიანთი ოსური წარმომავლობა რომ წარუხოცათ, თურმე საფლავის ქვები გადაუტრიალებით, რათა აღარ გამოჩენილიყო ოსური და რუსული წარწერები. ფანტაზიას დიდი გასაქანი აქვს, მაგრამ ფალსიფიკატორებისა და ისტორიის ქურდების მხილება აქაც შეიძლება, თუ, რა თქმა უნდა, ამ ორი წლის განმავლობაში ოსებმა ქართველთა საფლავის ქვები სამშენებლო მასალად არ გამოიყენეს. საფლავის ქვებზე ეპიტაფიები სამ მხარეზე კეთდებოდა. გადატრიალებულ საფლავის ქვაზე ხომ დარჩებოდა კიდევ ორი გვერდი, რომელზედაც მათი წარმომავლობა და ოსური თუ რუსული წარწერები გამოჩნდებოდა? ორივე ლაზხვის ხეობის საფლავის ქვები საფუძვლიანად შეისწავლა მკვლევარმა იოსებ მგერელიძემ და მთელი კატეგორიულობით უნდა ითქვას, რომ ყველა მათგანი ქართულ ენაზე იყო შესრულებული, არა მარტო აღნიშნულ სოფლებში, არამედ მთის ოსურ სოფლებშიც. სად ჰყავდათ ოსებს საფლავის ქვების მკეთებელი ხელოსნები, ანდა სად არსებობდა ოსური დამწერლობა? ან-

და საფლავის ქვის რომელმა ხელოსანმა იცოდა XVIII საუკუნესა და, თუგინდ, XIX საუკუნეში ოსური და რუსული ენები?

ზარბეგ ძაბითის მიხედვით, ზემოთ დასახელებულ ქართულ სოფლებში, სადაც ყოველთვის თავანკარა ქართულით ლაპარაკობდნენ, ოსებთან ერთად ებრაელებსაც და მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით სომხებსა და ქართველებს უცხოვრიათ. ოსები რომ არასდროს ცხოვრობდნენ აქ, უკვე აღვნიშნეთ, რაც შეეხება დანარჩენ ეთნიკურ ერთეულებს — ქართველ ებრაელებს და ასევე ქართულენოვან სომხებს — ისინი მხოლოდ ქართველებთან ერთად ცხინვალში მკვიდრობდნენ და უმნიშვნელო რაოდენობით — ცხინვალის მიმდებარე სოფელ თამარაშენში, რომლებიც ასევე თავად მაჩაბლების ყმა გლეხები იყვნენ. 1830-1831 წლებში თამარაშენში ოთხი ოჯახი ეთნიკური ოსიც მკვიდრობდა, რომლებიც, როგორც დავთარშია მითითებული, 1820-იან წლებში ჯავის ხეობის სოფლებიდან (მუგუთი და კროჟა) იყვნენ მიგრირებული.

იგივე შეიძლება ითქვას ცხინვალის შესახებაც. აქ ოსური მოსახლეობა კანტიკუნტად მხოლოდ XX საუკუნის 10-იან წლებში გაჩნდა. ზემოხსენებული კამერალური აღწერის დაგორებში ცხინვალში არც ერთი ეთნიკური ოსი არ არის მითითებული. მხოლოდ 1828

ისე როგორც ქართული კულტურის არაერთ უძველეს ძეგლს, შიდა ქართლში თირის ტაძარსაც თავისად მიიჩნევენ ოსები





სვეტიცხოველს მკანძა
ოსეთიცხოველიც კი უწოდა(!)

წელს ჩამოსახლებულა მთიდან ერთი ოჯახი (ხუთი სული) ოსი, რომლებიც მალევე აქედან გადაბარგებულან. XIX საუკუნის პირველ მესამედში გერმანელი აიხვალდიც აღნიშნავდა, რომ ოსები ცხინვალს იქით, მთებში ცხოვრობენ. მისი სიტყვით, ადრე ისინი განუსაზღვრელად ძარცვავდნენ ქალაქს და ზოცავდნენ მის მცხოვრებთ. ახლა კი ქართველებს, ცხინვალის მცხოვრებთ, სთხოვენ შვილების მონათვლას.

კიდევ ერთ „შედევრს“ შემოგთავაზებთ ზარბეგ ძაბითის ინტერვიუდან: „ხალხში ძველთაგანვე ლაპარაკობდნენ, რომ ალან-ოსეთის ტერიტორია მინიმუმ მცხეთამდე ვრცელდებოდა. ძველად მცხეთის სასულიერო კომპლექსს ქართველები **ოსეთიცხოველს** უწოდებდნენ და მხოლოდ უკანასკნელ წლებში ოფიციალურმა სახელწოდებამ ახალი ინტერპრეტაცია შეიძინა — „სვეტიცხოველი“. მთაზე მდებარე ალანური მონასტერი, რომელსაც თბილისი შუა საუკუნეების საქართველოს სიმბოლოს უწოდებს, ჯვრის სახელს ატარებს. ეს რომ თარგმანია, ამაზე დაფიქრებაც არ ღირს, მით უმეტეს, რომ სიტყვა „ჯვარი“ ქართულ ენაში ოსურიდანაა შესული“.

საინტერესოა, მომავალში კიდევ რა სიურპრიზებს შემოგვთავაზებენ ოსი ავტორები? როგორც ჩანს, აღნიშნულის დამწერს არასდროს უნახავს არც ჯვრის მონასტერი და არც სვეტიცხოველი. მათზე განთავსებულ ქართულ ეპიგრაფიკას, ალბათ, მომავალში ოსური დამწერლობის ძეგლებად წარმოგვიდგენენ. ოსური „ძუარი“-დან ქართულში ჯვრის სახით შემოსვლაც იმის წინაპირობაა, რომ სულ ახლო მომავალში დაგვიწერენ: საქართველოში ქრისტიანობას ოსები ავრცელებდნენო. საკითხს ცოტა სერიოზულად რომ მივუდგეთ, ოსმა ახლაგაზრდებმა, რომელთათვისაც ზარბეგ ძაბითის წერილია განკუთვნილი, იქნებ ეთნოგრაფ ბორის კალოვეის, ტოპონომისტ აზა ცაგავასა და ენათმეცნიერ ოლღა თედეევას წიგნებში ჩაიხედონ, რომლებშიც შავით თეთრზე წერია, რომ ოსურ ენაში სიტყვა „ძუარი“ ქართულიდანაა შესული და არა მხოლოდ ოსურ ენაში, არამედ იბერიულ-კავკასიურ ენებშიც (მაგალითად, ადიღურში). საინტერესოა, აღიარებულ ოს ავტორთა ნააზრევსაც აღარ უწევენ ანგარიშს თანამედროვე „მეზღაპრეები“?

ოსებს ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან საკმაოდ დამორბეულ უნიკალური ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებზე აქვთ პრეტენზია, და ბუნებრივია, მთლად თავისად წარმოუდგენიათ შიდა ქართლის ჩრდილოეთ მონაკვეთში არსებული ქართული კულტურის ძეგლები. ამის შესახებ კი 2008 წლის 11 აგვისტოს რადიოსადგურ „ეხო მასკვიდან“ ალექსანდრ კიბოვსკი და ანატოლი რახავეი გვამცნობდნენ და ქართული კულტურის 600 ძეგლს ალან-ოსური კულტურის ძეგლებად აცხადებდნენ. მათ ისიც აუწყვეს მსმენელთ, რომ თურმე, ე.წ. სამხრეთ ოსეთი ძველთაგანვე ალანიის ეპარქიაში შედიოდა, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში, დიდი ზელენჩუკის ხეობაში მდებარეობდა.

ზემოხსენებული დოცენტი მკითხველს იმასაც უამბობს, რომ მას ჰყავდა ნათლია, გვარად კარჩიძე, რომელიც საქართველოში ცხოვრობდა და მისი ყველა ნათესავი ოსად თვლიდა თავს, მათი ადრინდელი გვარი კი კარჩითი ყოფილა. ნათლიასთან ხშირი სტუმრობისას დაიარებოდა მრავალ სოფელსა და ხეობაში. ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობა კი არ მალავდა თავის ალანურ-ოსურ წარმომავლობას. მითოლოგიების შემქმნელი ოსი ავტორი მხოლოდ ზო-

გადად საუბრობს: მალაგს ნათლიის სახელს, არ იცის ნათლიის გვარი, რადგან ასეთი ქართული გვარი არ არსებობს. ქარჩაიძეები კი ცხოვრობენ მთიულეთში, მაგრამ მათ არავითარი ოსური წარმომავლობა არ აქვთ. აღნიშნულ ავტორს კონკრეტულად არ დაუსახელებია სოფლები და ხეობები, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ოსყოფილებად, ნაოსრებად აცნობდა მას თავს.

ზემოხსენებული ზღაპარი კი იმისთვის სჭირდებოდა ისტორიის მიმტაცებელ ავტორს, რომ დაამტკიცოს ოსთა საქართველოში უძველესი დროიდან მკვიდრობის ფაქტი. ამისათვის კი აღიარებულ ქართველ მეცნიერებსაც მოიხმობს — ივანე ჯავახიშვილსა და გერონტი ქიქოძეს. თურმე ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი ტომის 1960 წლის გამოცემაში წერია, რომ ქართველების აქ — საქართველოს ტერიტორიაზე — მოსვლამდე ალანები ცხოვრობდნენ. გერონტი ქიქოძეს კი, თურმე, 1917 წლის გაზეთ „საქართველოში“ დაუწერია: თანამედროვე ოსების წინაპარმა ალანებმა ქართველები შეგვიფარეს, მოგვცეს მიწა, გვასწავლეს სამხედრო საქმე, გადმოგვცეს თავიანთი კულტურა, წეს-ჩვეულებები და გვიცავდნენ გარეშე მტრისგანო. რა უნდა უპასუხო ზნეობაზე ხელაღებულ ხანში შესულ ავტორს, რომელსაც, თავის დროზე ფილოლოგიის სამეცნიერო ხარისხი ქართველმა ირანისტებმა უბოძეს და რომელიც, ცხინვალელთა სიტყვით, თავიდანვე

ქართველთა სიძულვილით გამოირჩეოდა? არც ივანე ჯავახიშვილსა და არც გერონტი ქიქოძეს ანალოგიური რამ არსად უწერიათ. სიმართლის დამალვის გამოა, რომ ძაბითი არც „ქართველი ერის ისტორიის“ შესაბამისი გამოცემის გვერდს და არც ყოველდღიური გაზეთის ნომერს უთითებს.

ცხინვალურ გაზეთში იმასაც ვკითხულობთ, რომ თურმე 1989 წლის აღწერით, საქართველოში 1,5 მლნ ოსი ცხოვრობდა და ეს რაოდენობა ერთ-ერთ თბილისელ პროფესორს, ეთნიკურ ოსს, გამოუთვლია. რომ თურმე მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში, იმავე პროფესორის სიტყვით, საქართველოს არქივსაცავებში ქართველები შეგნებულად ანადგურებდნენ ოსი ხალხის ისტორიის დამადასტურებელ ყველა საბუთს, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტოპონიმები ესაა ოსურ ტოპონიმთა დამახინჯებული და კალკირებული ფორმები (ოსურ ტოპონიმებადაა გამოცხადებული: თუძამი, დუშეთი, ჭონტილი, შინდისი, ბაკურიანი, ნადარბაზვეი, ერგნეთი, კუცხოეთი, სარაბუკი...). ისტორიის ქურდობის, ძარცვის ანალოგიური ფაქტი მეცნიერებამ არ იცის. ძირითადი მიზანი კი რუსი და ოსი ახალგაზრდების სულის დამახინჯება და ქართველთა სიძულვილით აღზრდაა. როგორც ჩანს, ასეთი პრიმიტივიზმის, პროვინციული შოვინიზმის, ისტორიის ძარცვის ფაქტებს მომავალშიც უნდა ველოდოთ.

როლანდ თოფჩიშვილი



„ძუარის“ მონასტრად
„მონათლული“ გვარი(!)

თავდასხმა პერლ-ჰარბორზე

იაპონიის იმპერიის საბედისწაიო მუხრომა

1941 წლის 7 დეკემბერს იაპონელთა თავდასხმა აშშ-ის წყნარი ოკეანის ფლოტზე პერლ-ჰარბორში ამერიკელი ზღვისთვის მოწმენდილ ცაზე მენის გავარდნას ჰგავდა. შეურაცხყოფილი და თავზარდაცემული ამერიკელები, უყოყმანოდ დაირაზმნენ პრეზიდენტ რუზველტის მოწოდებაზე, შური ეძიათ ამ „ამერიკის სირცხვილის დღისთვის“. ნუთუ რუზველტმა და მისმა უახლოესმა მრჩეველებმა იცოდნენ, რომ თავდასხმა მზადდებოდა და არაფერი იღონეს მის თავიდან ასაცილებლად, რათა შემდგომ აშშ-ს მეორე მსოფლიო ომში ჩართვა გაადვილებოდა?



30-იან წლებში იაპონიასა და აშშ-ს შორის ურთიერთობა ძალიან დაიძაბა. 1931 წელს იაპონიამ დაიპყრო ჩინეთის პროვინცია მანჯურია, 1937 წელს კი ჩინეთის ცენტრალურ ნაწილში ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია წამოიწყო. აშშ-ის გაღიზიანება გამოიწვია სისასტიკემ, რომელსაც იაპონელები ჩინეთში იჩენდნენ. ამას თან დაერთო იაპონიის გაერთიანება ჰიტლერის ნაცისტურ გერმანიასთან სამხედრო ალიანსში, 1940 წელს. მომდევნო წლის შემოდგომისთვის ჰიტლერის უძლეველი შეიარაღებული ძალები მთელ კონტინენტურ ევროპაში გაბატონდნენ და საბჭოთა კავშირისკენ იკაფავდნენ გზას. იმ დროისათვის ძლიერმა დიდმა ბრიტანეთმა თავისი შეიარაღებული ძალები საბერძნეთიდან და კრეტიდან გამოიყვანა, რამდენჯერმე მარცხი იწვნია ჩრდილოეთ აფრიკაშიც.

გარდა ამისა, ატლანტის ოკეანეში გერმანელებმა წყალქვეშა ნავებით ძლიერი იერიში მიიტანეს ინგლისის ფლოტზე და ამით აი-

ძულეს ბრიტანეთი, უარი ეთქვა შორეულ აღმოსავლეთში სამხედრო ზომადლებით, შეიარაღებული ძალებითა და ავიაციით გაძლიერებაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაზე დიდი გავლენა იქონია იმ დროისთვის მსოფლიოში მიმდინარე მეტად მნიშვნელოვანმა პროცესებმა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ში ძალზე სკეპტიკურად უყურებდნენ ევროპაში ომში ჩართვის შესაძლებლობას. პოლიტიკური მოძრაობა „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“ საჯაროდ აკეთებდა მწვავე განცხადებებს იზოლაციონიზმის შესახებ. პრეზიდენტი რუზველტი ანგარიშს უწევდა ქვეყანაში გაეფუძვლნ ანტისაომარ განწყობას და პირობას დებდა, რომ ქვეყანა ომში არ ჩაერთვებოდა. თუმცა დარწმუნებული იყო, რომ დიდი ბრიტანეთის გადარჩენასა და იაპონიის შეჩერებას ამერიკისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. მომავალი შეიძლება კომმარული ყოფილიყო.



პერლ-ჰარბორის სამხედრო-საზღვაო ბაზა თავდასხმამდე

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირს გაანადგურებდა, გერმანია სამხედრო რესურსებს ბრიტანეთის წინააღმდეგ მიმართავდა — ან კაპიტულაციას აიძულებდა, ან მიწასთან გაასწორებდა. ეს კი პიტლერს მთელი ვეროპის ბატონ-პატრონად აქცევდა — მის ხელში აღმოჩნდებოდა აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი, აზია, ვიდრე ინდოეთის საზღვრამდე. ამასობაში გააფთრებული იაპონია წაღკეკავდა სამხრეთს, რათა ხელთ ეგდო შორეულ აღმოსავლეთში დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ჰოლანდიის ტერიტორიები, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, ავსტრალია და ახალი ზელანდია, აგრეთვე ბრიტანეთის ინდოეთი. მსოფლიოს დაინაწილებდნენ გერმანია, იტალია და იაპონია, აშშ-ს კი მხოლოდ ამერიკა შერჩებოდა ხელთ.

ამ საშინელების თავიდან ასაცილებლად რუხველტი გერმანიასთან კონფლიქტში იძით ჩაება, რომ დიდი ბრიტანეთი უზრუნველყო ყოველგვარი დახმარებით, გარდა ომში თავი-

სი ჩართვისა. ეს გულისხმობდა ლენდ-ლიზის სახელმწიფო პროგრამის ამუშავებას, რომლის თანახმადაც აშშ დიდ ბრიტანეთს მოამარაგებდა საბრძოლო მასალით, იარაღითა და სტრატეგიული ნედლეულით.

ბრიტანელებს შეეძლოთ ამისთვის ხარჯები არც გაედოთ. რაც შეეხება იაპონიას, აშშ-მა მას შეუმცირა ნუთობისა და სხვა ნედლეულის მიწოდება, რაც სასიცოცხლო იყო იაპონიის ეკონომიკისათვის. ამ გადაწყვეტილებამ ორივე ქვეყანა კონფრონტაციამდე მიიყვანა, დიპლომატიური მოლაპარაკებები ომის თავიდან ასაცილებლად მარცხით დამთავრდა. 1941 წლის 26 ნოემბერს სახელმწიფო მდიანმა კორდელ ჰალმა იაპონელებს ჩინეთისა და ინდოჩინეთის დატოვება მოსთხოვა. იაპონიას სხვა არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ ამერიკისთვის ომი გამოეცხადებინა. მართლაც, იაპონელებს უკვე მიღებული ჰქონდათ ეს გადაწყვეტილება.

აშშ-ს ორი ფლოტი ჰყავდა: აზიური — ფილიპინებზე და წყნარი ოკეანის — ჰავაის კუნძულ ოაჰუზე, პერლ-ჰარბორთან ახლოს.

1941 წლის ოქტომბერში იაპონიის გენერალურმა შტაბმა მიიღო იაპონიის ფლოტის მთავარსარდლის, აღმირალ ისოროკუ იამამოტოს მიერ შემუშავებული გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა პერლ-ჰარბორში აშშ-ის წყნარი ოკეანის ფლოტზე მოულოდნელ თავდასხმას. სტრატეგიულ ჩანაფიქრს, რომელიც გულისხმობდა ფილიპინებსა და პერლ-ჰარბორ-



აღმირალი ისოროკუ იამამოტო

პერლ-ჰარბორზე
თავდასხმის მომენტი



ზე ერთდროულ თავდასხმას, უნდა გადაეწყვიტა ის მწვავე სამხედრო-საზღვაო პრობლემა, რომელიც რეგიონში იაპონელთა გამარჯვებას ხელს უშლიდა.

ნოემბრის ბოლოს იაპონელთა უზარმაზარმა ოპერატიულმა ჯგუფმა, რომელშიც შედიოდა 6 ავიამზიდი, 24 სამხედრო ხომალდი და წყალქვეშა ნაუბი, საბრძოლო პოზიციები დაიკავა. 7 დეკემბერს, გამთენიისას, ოპერატიული ჯგუფი კუნძულ ოაჰუს ჩრდილოეთით 320 კილომეტრზე იდგა. დღის 8 საათზე პერლ-ჰარბორის კვირადღის სიშშიდე 180 იაპონური ბომბდამშენის გამაყრუებელმა გუგუნმა დაარღვია. იმ დროს, როცა პერლ-ჰარბორის ნავსადგურში 90 გემი იდგა, იაპონელთა ბომბდამშენებისა და ტორპედომზიდების მთავარი სამიზნე იყო 8 ამერიკული საბრძოლო ხომალდი, აქედან 7 მათგანი ბეთელშიპ-როუს ნავმისადგომში ერთრიგად ჩამწკრივებული იდგა და მტრისთვის კარგ სამიზნეს წარმოადგენდა. ყველა დაბომბეს, სამი კი ჩაძირეს. მარტო აშშ-ის საზღვაო ძალების გემ „არიზონაზე“ ჩაძირვის მომენტში 1100 კაცი იმყოფებოდა.

იერიშის მეორე ტალღა ნახევარ საათში განმეორდა და 10 საათისთვის იაპონელთა თვითმფრინავები, რომლებმაც წყნარი ოკეანის ფლოტს გამანადგურებელი დარტყმა მი-

აყენეს, უკან გაბრუნდნენ. 21 სამხედრო ხომალდის ჩაძირვის ან განადგურების გარდა, იაპონელებმა ამერიკელთა 188 თვითმფრინავი დაბომბეს, სანამ მათი უმეტესობა მიწაზე იდგა. შეიძლებოდა უარესიც მომხდარიყო, რადგან იაპონელებს იმედი ჰქონდათ, რომ მათი თვალთახედვის არეში ამერიკელთა კიდევ სამი ავიამზიდი მოხვდებოდა, მაგრამ მოტყუვდნენ, რადგან ორი მათგანი ზღვაზე წვრთნებს გადიოდა, ხოლო მესამე შესაკეთებლად იყო წაყვანილი. ამერიკელთა დანაკარგი 2403 სამხედრო მოსამსახურეს შეადგენდა, ამ რაოდენობის ნახევარი კი დაჭრილი იყო.

იაპონელებმა კოორდინირებული თავდასხმებით თითქმის მიწასთან გაასწორეს ფილიპინებზე აშშ-ის საჰაერო ძალები, მაგრამ ყველაზე მეტად პერლ-ჰარბორზე შეტევამ განარისხა ამერიკელები. პრეზიდენტ რუზველტს კონგრესმა მაშინვე მიანიჭა უფლებამოსილება, ომი გამოეცხადებინა იაპონიისთვის, რამდენიმე დღის შემდეგ კი გერმანიამ მოკავშირეთა წინაშე თავი მოუალელ მიიჩნია, აშშ-ისთვის ომი გამოეცხადებინა. პერლ-ჰარბორზე თავდასხმიდან ოთხი დღის შემდეგ აშშ უკვე ორ ფრონტზე იყო ჩართული ომში — გერმანიასა და იტალიასთან, ევროპულ და ჩრდილოეთაფრიკულ საომარ მოქმედებათა არეალში, და იაპონიასთან — წყნარ ოკეანეში.

პერლ-ჰარბორზე თავდასხმა იაპონელთა უდიდესი შეცდომა იყო, ამით იმპერია განადგურებისთვის გაწირეს.

გამარჯვებით აღტაცებულ იაპონელთა თვითკმაყოფილებამ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო ამერიკელები, რომლებსთვისაც გადატანილი უბედურება შეურაცხყოფის ტოლფასი იყო. ომის დროს და მის შემდგომაც ოფიციალურ გამოკვლევებში რამდენჯერმე სცადეს, ამოეცნოთ ის საიდუმლო, რომელიც ამ თავდასხმის უკან იმალებოდა და თანაბრად გადაენაწილებინათ პასუხისმგებლობა ორივე მხარეზე, რომლებმაც გასაოცარი წინდაუხედლობა გამოიჩინეს. თუ ყველამ იცოდა, რომ ომი ნებისმიერ წამს შეიძლება დაწყებულიყო, რატომ არ იყო პერლ-ჰარბორი საბრძოლო მზადყოფნაში?

პირველი გამოძიება, რომელიც თავდასხმიდან ზუსტად ექვს კვირაში დამთავრდა, მომხდარში კონტრადმირალ ჰაზბანდ ე. კიმელსა და გენერალ-ლეიტენანტ ვალტერ ქ. შორტს ადანაშაულებდა, რომლებიც ჰავაიზე საზღვაო და სამხედრო მეთაურების მოვალეობას ასრულებდნენ, მათ სამსახურებრივ გულგრილობაში დასდეს ბრალი. კიმელმა და შორტმა თხოვნით მიმართეს სამხედრო ტრიბუნალს, მათთვის თავის მართლების უფლება მიეცა, მაგრამ უარი ეთქვათ. ისინი ჩამოაქვეითეს და სამსახურიდან დაითხოვეს.

შემდგომმა გამოძიებამ ცხადყო, რომ კიმელისა და შორტის განტყვევის ვაცად გამოყვანა უსამართლობა იყო, რადგან მათ არ აწვდიდნენ იმ საიდუმლო ინფორმაციას, რომელსაც ვაშინგტონი ფლობდა. ოჯახების ცდა, მათთვის რეკუზაცია აღედგინათ, მხოლოდ 2001 წელს დასრულდა წარმატებით, როდესაც კონგრესის კომისიამ კიმელსა და შორტს სამხედრო წოდებები სიკვდილის შემდგომ აღუდგინა.

ექვგვარეშეა, რომ 7 დეკემბრამდე ვაშინგტონს ჰქონდა საიდუმლო ინფორმაცია, სადაც მინიშნებული იყო, რომ ახლოვდებოდა იაპონელთა თავდასხმა და პერლ-ჰარბორი მათი მთავარი სამიზნე გახლდათ. ამერიკელ და ბრიტანელ დამშიფრავებს ადვილად შეეძლოთ გაეშიფრათ იაპონურ რადიოეთერში გადაცემული ცნობები, სადაც სავსებით ნათელი იყო მათი განზრახვა. განსაკუთრებით ნოემბრის ბოლოს განშირდა იაპონელთა სიგნალები, რომლებიც მიანიშნებდნენ, რომ თავდასხმის შესახებ ცნობა დაშიფრული იქნებოდა ტო-



აშშ-ის წყნარი ოკეანის მეთაური ადმირალი კიმელი. მას ბრალად სდებდნენ, რომ იაპონელთა თავდასხმას სრულიად მოუშაადებელი შეზღადა. თავად ადმირალი კი ამტკიცებდა, ვაშინგტონს დროულად რომ მოეწოდებინა ინფორმაცია, ფლოტი მომზადებული შეზღებოდა თავდასხმასო



გენერალ-ლეიტენანტი ვალტერ ქ. შორტი ჰავაიზე საზღველეთი ჯარების მეთაური იყო. კიმელის მსგავსად, ისიც იძულებით გადააყენეს და სამსახურიდან დაითხოვეს. ორივე ამტკიცებდა, რომ არაფერი იცოდნენ მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ



ამერიკულ სამხედრო ბაზაზე ნამდვილი ჯოჯოხეთი ტრიალებდა...

კიოს ამინდის პროგნოზში, რომელშიც სიტყვა „წვიმა“ წინსაზღა ომს, ხოლო „აღმოსავლეთი“ — აშშ-ს. მართლაც, ამერიკელებმა 4 დეკემბერს დაიჭირეს ამინდის რადიოპროგნოზი „აღმოსავლეთის ქარი, წვიმა“.

ის, რომ კიშელი და შორტი არ გაუფრთხილებიათ მოახლოებული საფრთხის შესახებ, შეიძლება რამდენიმე ფაქტით აიხსნას:

სხვადასხვა სამთავრობო და სამხედრო უწყებამ მიიღო საიდუმლო შეტყობინება, რომ ვაშინგტონში დეპარტამენტთა შიდასაკომუნიკაციო ქსელი მოიკოჭლებდა. არმია და საზღვაო ფლოტს შორის ურთიერთჯიბრი იმის მაუწყებელი იყო, რომ მათ შორის ინფორმაცია არ იცვლებოდა. ოფიციალურ წრეებში უფრო სარწმუნოდ მიაჩნიათ ის ვერსია, რომ აშშ-ში გამეფებული იყო ბიუროკრატიული დაუდევრობა და ამიტომაც ვერ სერხდებოდა საიდუმლო ინფორმაციის სათანადო და დროული დამუშავება.

ეს ვერსია კიდევ უფრო ამყარებს იმ ვარაუდს, რომ წარმოუდგენელ უნიათობას საბედისწერო კატასტროფა მოჰყვა. მაგალითად, გენერალ-ლეიტენანტ შორტის თვითმფრინავები ასაფრენ ბილიკზე ისე იყვნენ გვერდიგვერდ ჩამწკრივებული, რომ იაპონელებისთვის იოლ სამიზნეს წარმოადგენდნენ. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ შორტის აზრით, საბოტაჟის

რეალური საფრთხე არსებობდა (პერლ-ჰარბორი იაპონელი ჯაშუშებით იყო საცხე) და თვითმფრინავები, გაშლილ ადგილზე განლაგებით, მესაბოტაჟეებიდან მომდინარე საფრთხისგან უფრო დაცული იქნებოდა.

დაბნეულობა გამოიწვია ინფორმაციამ, რომელმაც იაპონელთა ზრახვები გამოამჟღავნა. 6 დეკემბერს, გვიან ღამით, ამერიკელ დამშვიფრავებს ხელში ჩაუვარდათ ვაშინგტონში იაპონიის საელჩოსთვის გაგზავნილი 14-ნაწილიანი შეტყობინება, რომლის პირველი 13 ნაწილი გაშიფრეს და პრეზიდენტ რუზველტსა და სახელმწიფო მდივან პალს გადაუგზავნეს. შეტყობინებაში გარკვევით იყო ნათქვამი, რომ თავდასხმა მოკლე ხანში მოხდებოდა, მაგრამ სამიზნე მითითებული არ ყოფილა. მეორე დღით, დაახლოებით დილის 9 საათზე (ჰავაის დროით დილის 4 საათზე), შეტყობინების ბოლო, დაშიფრული ნაწილი თეთრ სახლში გაიგზავნა, რომელშიც მითითებული იყო, რომ იაპონია აშშ-თან დიპლომატიურ კავშირს წყვეტდა. ერთი საათის შემდეგ გაიშიფრა კიდევ ერთი, მორიგი შეტყობინება, რომელშიც იაპონიის საელჩოს სთხოვდნენ, მთავარი შეტყობინება ღამის პირველ საათზე (ჰავაის დროით დილის 8 საათზე) გადაეგზავნათ აშშ-ის მთავრობისთვის.

ამრიგად, ამერიკელებს ხელთ ჰქონდათ ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც პერლ-ჰარბორს შეეხებოდა. მასში მინიშნებული იყო, რომ თავდასხმა დილით ადრე დაიწყებოდა. თავდაცვის დეპარტამენტმა სცადა ეს შორტისთვის ეცნობებინა, მაგრამ რადგან რადიოკავშირი დროებით გაწყვეტილი იყო, ინფორმაცია დეპეშით გაგზავნეს. დეპეშა შეტყობინების დაწყებამდე 20 წუთით ადრე მივიდა, თუმცა გაგზავნამდე ჯერ კიდევ 7 საათით ადრე იყო გაშიფრული. მეორე დიდი შეცდომა დაუშვეს კუნძულ ოაჰუზე დილის 7:02 საათზე, როცა ჩრდილოეთ სანაპიროს სარადარო სადგურის ორმა ოპერატორმა იაპონელთა თვითმფრინავები შენიშნა და ამის შესახებ უფროს ოფიცერს შეატყობინა. ეს უკანასკნელი ინფორმაციას უყურადღებოდ მოეკიდა, რადგან ეგონა, ეს იყო ამერიკული B-17 ტიპის თვითმფრინავები, რომლებიც ამერიკის დასავლეთ სანაპიროდან მოფრინავდნენ.

საბედისწერო მოვლენათა ჯაჭვმა და პასუხისმგებელ პირთა შეცდომებმა კატასტროფა გამოიწვია.

მოვლენათა ოფიციალურ ვერსიას ეწინა-


აღმდევება სხვა, ალტერნატიული ვერსია: პრეზიდენტმა რუზველტმა და მისმა გარემოცვამ კარგად იცოდნენ, რომ პერლ-ჰარბორზე თავდასხმა ახლოვდებოდა. თუ ამ მოვლენებს თავს გადავუვლებთ, უამრავ სამხილს აღმოვაჩენთ, რომ პრეზიდენტ რუზველტს სურდა, აშშ ნაცისტურ გერმანიასთან ომში რაც შეიძლება მალე ჩართულიყო. თუმცა ისიც კარგად იცოდა, რომ ამას ვერ გააკეთებდა მანამდე, სანამ ამერიკელი ხალხი ერთსულოვნად არ აღიარებდა, რომ ომი გარდაუვალი იყო.


მხოლოდ ამერიკისადმი აგრესიას შექმლო ამერიკელი ხალხის გაერთიანება. რუზველტის

მცდელობამ, ინგლისისთვის მხარდაჭერის გამოცხადებით პროოკაციაზე წამოეგო ჰიტლერი, რათა მას აშშ-ისთვის ომი გამოეცხადებინა, შედეგი ვერ მოიტანა. სამაგიეროდ, ამ მიზნის მისაღწევად ჰიტლერისა და იაპონიის ალიანსის გამოყენება სცადეს.

რუზველტმა იაპონელები თავდასხმისკენ წააქეზა და მალე დარწმუნდა, რომ ჩანაფიქრმა გაუმართლა, რადგან შორტსა და კიმელს ინფორმაცია არ მიეწოდებოდათ. თავდასხმის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში ჰიტლერი იფიქრებდა, რომ აშშ დასუსტებული იყო და იაპონიასთან დადებულ გარიგებას შეას-

პერლ-ჰარბორის სამხედრო-საზღვაო ბაზა იაპონელებთან თავდასხმის შემდეგ





ხანძრის ჩაქრობას სამხედრო მეზღვაურები დაუყოვნებლივ შეუდგნენ

რულებდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რუზველტი კონსპირაციულად მოელაპარაკა უახლოეს მრჩეველებს, რომლებმაც, ალბათ, იცოდნენ კიდევ, რა მოხდებოდა და პერლ-ჰარბორში მყოფი ადამიანები გაწირეს (რომ აღარაფერი ვთქვათ კიმელისა და შორტის რეპუტაციასზე), რათა გერმანიასთან ომი დაეწყოთ. როგორც მაკიაველი იტყვოდა, მიზანი ამართლებს საშუალებას.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ უნდა მოქ-

ცეულიყო ასე რუზველტი, აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ზოგიერთის მტკიცებით, რუზველტი ისე იყო შეძრწუნებული იმით, რომ შეიძლებოდა გერმანიასა და იაპონიას მსოფლიო ჰეგემონია მოეპოვებინათ, მზად იყო ყველაფერი გაეკეთებინა ომში ამერიკის ჩასაბმელად. თუ მიზნის მისაღწევად ერთადერთი საშუალება პერლ-ჰარბორის მსხვერპლად შეწირვა იყო, ასეც უნდა მომზდარიყო. თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ირწმუნებოდნენ, რომ რუზველტი გულის სიღრმეში კომუნისტი იყო და აშშ-ის ომში ჩართვით საბჭოთა კავშირის გადარჩენა უნდოდა.

პრეზიდენტ რუზველტისთვის წაყენებული მძიმე ბრალდებები რომ გვერდით გადავდოთ, მაინც გაურკვეველია საკითხი, რა გააკეთა ან რა არ იცოდა მან პერლ-ჰარბორზე თავდასხმის დაწყებამდე. ერთი რამ ცხადია — რა მიზეზიც უნდა ყოფილიყო, ამერიკელები მზად არ აღმოჩნდნენ იაპონელთა იერიშის მოსაგერიებლად. იქნებ უნდა გახსენებოდით, რომ იაპონელებმა რუსეთთან ომი 1904 წელს დაიწყეს და სწორედ ისევე მოულოდნელად დაესხნენ თავს რუსების მთავარ ბაზას, პორტ-არტურს. აშშ-ის ჩართვამ მეორე მსოფლიო ომში ფაშისტური ქვეყნების ალიანსის (ე.წ. ღერძის სახელმწიფოები — ღერძი ბერლინი-რომი-ტოკიო) დამარცხება გარდაუვალი გახადა.



პრეზიდენტმა რუზველტმა იაპონელთა თავდასხმას „ამერიკის სირცხვილის დღე“ უწოდა

მომზადებულია National Geographic-ის გამოცემა „ისტორიის საიდუმლოებანი“ მიხედვით

ყოველ პარასკევს,
 ჟურნალ „საბავშვო
 ჯარუსულთან“ ერთად,
 დიდი ქართველების
 ბიოგრაფიების
 თითო წიგნი!



- 1 ვახტანგ გორგასალი
 - 2 ვაჟა-ფშაველა
 - 3 ფიროსმანი
 - 4 ილია ჭავჭავაძე
 - 5 თამარ მეფე
 - 6 ბორის ჰაიჭაძე
 - 7 გალაქტიონ ტაბიძე
 - 8 ივანე ჯავახიშვილი
- და სხვა
 დიდი ქართველები



ვახტანგ გორგასალი

გამოქვეყნდა
ალამიანების ბიოგრაფიები

წიგნების სერია ბავშვებისთვის



წიგნის ფასი: 2.50
 (ჟურნალთან ერთად 3.50)

ამბავი „სამეფოს სანატრალი“ თამარის მეფობისა

საუკუნეთა განმავლობაში იბერიასა და კოლხეთს, ერთიან საქართველოს თუ დაქუცმაცებულ ქართულ სამეფო-სამთავროებს მრავალი მეფე, მთავარი თუ ერისმთავარი ჰყოლია. ბევრ მათგანს დიდი სახელიც დაუტოვებია, დიდების შარავანდედითაც შემოსილა და წმინდანადაც არაერთი შეურაცხავთ... მაგრამ ისეთი საყოველთაო სიყვარული და თავგანისცემა ლამის დღესაც ოდინდელი სიამაყით რომ აღავსებს ქართველთ, — გამოჩნეულად მეფეთ მეფე თამარს ერგო.



თამარ მეფის ხელრთვა

XII საუკუნის ბოლო მეოთხედში დავით აღმაშენებლისა და გიორგი მესამის აღზევებული საქართველო წინა აზიის უძლიერესი სახელმწიფო იყო. აილაგმა გარეშე მტერი, დაითრგუნა შინაური მოქიშპეც... თუმცა კი იყო ერთი რამ, რასაც საგონებელში ჩაეგდო სამეფო კარიც და მეფე გიორგიც. ეს მეფის უძეობა გახლდათ. უმშვენიერესმა დედოფალმა, ოვსთა მეფის ასულმა ბურდუხანმა ორი ასული შესძინა მეფეს — თამარი და რუსუდანი. ქალის გამეფების ტრადიცია აქამომდე არ არსებულა საქართველოში. ამიტომაც წინასწარ დაიჭირა თადარიგი მეფე გიორგიმ და მეცამეტე წელში გადამდგარი ასული თანამესაყდრედ გაიხადა. ექვსი წელი მართავდნენ ერთად მამა-შვილი ქვეყანას. გონიერებით, სიბრძნითა და შორსგამხედვარობით აცვიფრებდა სამეფო კარს მეფექალი. 1184



თამარ მეფე. ვინწვისის ფრესკა

წელს გასრულდა გიორგი მესამის ოცდარვაწლიანი მეფობა. 18 წლის თამარს უნდა ემეფა ამიერიდან...

ისნის კარავი — ქვეყნის ბედის გამგებელი...

სამეფო დარბაზის გადაწყვეტილებით ხელახლა უნდა ეკურთხათ მეფედ თამარი. წესისამებრ, დასავლეთ საქართველოს დიდებულებს უნდა მოეკანზათ სამეფო ინსიგნიები (სკიპტრა, გვირგვინი, ხმალი...) მეფექალი, რაც დიდებულმა ვარდანისძეებმა, საღირისძეებმა და ამანელისძეებმა აღასრულეს შვიდობიანად. თუმცა კი საფრთხემ თავიდანვე იჩინა თავი. სახელოვან გვართა დიდებულებმა თამარის მამის აღზევებულ უგვარო და უჯიშო უმაღლეს მოხელეებზე მიიტანეს იერიში. ველარ ჰგუობდნენ ნაყოფიერი ყუბასარის მან-

დატურთუხუცესობასა და ამირსპასალარობას; ვერც „აზნაურის ნაყმევი“ აფრიდონის მსახურთუხუცესობას. დაჰყვა თამარი დიდებულთა ნებას. ატყდა ერთი ჩოჩქოლი მათ ადგილთა დასაკავებლად. ყუთლუ-ასლანი მოთავეობდა რეფორმებს. იმ დროისთვის არგაგონილი მოთხოვნით გამოვიდა მომხრეთა დასთან ერთად: მეფის სასახლის გვერდით ისანში საგანგებო სასახლე, ისინი კარაგი შეიქმნას და სწორედ მან გადაწყვიტოს ქვეყნის ბედი — მიიღოს კანონები, გასცეს წყალობა და გადაუწყვიტოს შერისხვაო... გაუგონარი კადნიერება გახლდათ. იზღუდებოდა მეფის უფლებანი. თანაც, მოთხოვნას იარაღის ჟღარუნიც ამაგრებდა.

პირველად აქ გამოჩნდა სამგზის სანატრელი თამარის გონიერება. საომრად გამზადებულ მოქიშპეთ მათთვის მოულოდნელი სვლა შესთავაზა: მოსალაპარაკებლად გაგზავნა კეთილშობილი და უსპეტაკესი მანდილოსნები — ქართლის ერისთავთ-ერისთავის, რატის დედა ზვაშაქ ცოქალი და კრაუაი ჯაყელი. სწორედ მათ მოახერხეს ამბოხებულთა დაშოშმინება. თამარმა კი აღუთქვა სამეფო დარბაზის უფლებათა გაფართოება — უმნიშვნელოვანეს საკითხებს „დარბაზის თანადგომითა და ერთნებაობით“ გადავწყვიტოთ...


სასჯელად ქცეული საქორწინო გვირგვინი

თამარი გონიერულად მართავდა ქვეყანას, რომლის ინტერესებიც აჩქარებდა მის გათხოვებას: ჯარს მხედართმთავარი სჭირდებოდა, სამეფო ტახტს — მემკვიდრე.

უფლისწულ დემნას დაღუპვის შემდეგ აღარ არსებობდა ბაგრატიონთა გვერდითი შტო, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მეფე სარდლის საკითხი. სასიძოთა ნაკლებობა ნამდვილად არ იყო. თამარის პირველი ისტორიკოსი „ისტორიანი და აზმანი შარაუანდედთანში“ გვაუწყებს, რომ „მოსულ იყვნენ ოვსთა მეფეთა შვილნი, მშვენიერნი და სახე კეთილნი მოყმენი“, აგრეთვე „ბერძენთა მეფის ძმისწული ალექსი“ და მრავალი უფლისწულნი მაჰმადიანური სასულთნოებიდან, რომელნიც მზად იყვნენ შესდგომოდნენ ქრისტეს რჯულს, თუ ბედი გაუდიმებდათ. საქმროს შერჩევა დიდხანს გაგრძელდა. ბოლოს შეიკრიბა დარბაზი. წამოდგა აბულასანი, ამირა ქართლისა და თბილისისა, რომელმაც თამარის ღირსად ცნო რუსი უფლისწული, ვლადიმირ-სუზდალის

მთავრის, ანდრია ბოგოლიუბსკის ვაჟი იური, ნოვგოროდიდან ბიძის, ვსევოლოდ დიდბუდის მიერ გამოძევებული და ჩრდილოეთ კავკასიაში, ყოვჩაყებში, ქალაქ სუნჯას შეფარებული. მართლმადიდებელი რუსეთის ავტორიტეტი დიდი ყოფილა საქართველოში. დარბაზმაც ერთნებაობით გადაწყვიტა: მოეწვიათ იური, ანუ გიორგი რუსი. სამოციქულოდ თბილელი დიდვაჭარი ზანქან ზორაბაბელი შეარჩიეს. შესახედავად გიორგი რუსი რიურიკთა გვარისა, მშვენიერი აღნაგობისა ყოფილა. ერი და ბერიც მოზიბლულა. ამას თამარის ორივე ისტორიკოსი ერთხმად აღიარებს. მოვიდა სასიძო: „...მოყმე სახე-კეკლუცი, სრული აღნაგებითა და მჭურეტთაგან საჩენი გუარისშვილად“.

გაიმარჯვა სამეფო კარზე რუსი უფლისწულის მომხრეთა დასმა, რომელიც თამარის სურვილის გათვალისწინებით მინცდამაინც თავს არ იწუხებდა და საქმის მოგვარებას მისი გამზრდელი მამიდის, რუსუდანის დაყოლიებით ცდილობდა. დაობლებული თამარისთვის ახლა ყველაზე ახლობელი და შინაური სწორედ რუსუდანი იყო. თვით რუსუდანი ერთ დროს ერაყის სასულთნოს რძალი — სულეიმან შაჰის ცოლი ქმრის დაღუპვის შემდეგ, 1161 წლიდან საქართველოში დაბრუნდა. ერთი სიტყვით, კულუარებში ყველაფერი „მოაგვარეს“ და „პატრიარქმან, დიდებულთა, ვაზირ-



თამარ მეფის
გულსაკიდი
ჯვარი

თა და სპათა, — მოახსენეს თამარს და მათგან ნებადაურთავი განამზადეს ქორწილი“. ერთი პირობა თამარი გაოგნდა და აღშფოთდა კიდევ ასეთი თაყნებობით, მაგრამ საბოლოოდ კატეგორიულ უარს ვერ ამბობს და რუსი უფლისწულის გასაცნობად დროს მოითხოვს. საკითხს ასე აყენებს: როგორ შეიძლება საქმის ასე გადაწყვეტა? — „არა ვიცით კაცისა ამისა უცხოთა ქცევა და საქმე, არცა მხედრობისა, არცა ბუნებისა და არცა ქცევისა“... ბოლოს და ბოლოს, დაჰყვა თამარი მოუაღლებას, უფრო ბედისწერას, დარბაზის ერთნებობას, მამიდის რჩევას და „თვინიერ ნებისა თამარისა ყვეს ქორწილი“.

მინი... ზეობის ჟამს

...მემატიანენი ფრთხილად ეკიდებიან და ფრთხილადვე ეჭვს გამოთქვამენ ამ ქორწინების სვებუნებურებაზე.

როგორც მხედარს, გიორგი რუსს მაინცდამაინც არაფერი გაუფუჭებია. მისი მეთაურობით ქორწინებიდან მეორე წელსვე, 1188 წლიდან მცირე ბრძოლებში ქართველთა ჯარმა ორი წლის განმავლობაში წარმატებებსაც მიაღწია — კარის, კარნიფორის, გელაქუნის, შამელთა წინააღმდეგ...

და აი, უეცრად, მოწმენდილ ცაზე მუხი გა-

ვარდა... საყოველთაო ზეობის ჟამს მეფედ დედოფლის ბუდუარიდან გამოაღწია რუსის მანკიერების ამბავმა. ორწელიწად-ნახევარი ითმენდა გაუმხელელად თამარი „ვითარცა გურდემლი“, „...იხია მრავალი ღონე განკურნებისა მისისა“ და როგორც თამარის მეორე ისტორიკოსი, ბასილი ეზოსმოდღარი დასძენს — „ვეკურნებით ბაბილონს და არა იკურნებოდა“. თამარის ორივე ისტორიკოსი აღწერს გიორგი რუსის მანკიერებებს. მათ შორის ლოთობას: „სიმთვრალეთა შინა იწყო მრავალთა საძაგელთა და უშუერთა საქმეთა ქმნად“, რომლის თქმაც კი უხერხულიაო. ერთი სიტყვით, განუზომლად სვამდა, ყველას დასანახად ეტორღილებოდა ქალებს, იგინებოდა და ყოველგვარ სისაძაგლეს სწადიოდა... მიუჩინეს მკურნალი, მაგრამ ამაოდ. გიორგი რუსი არავის იკარებდა, მკურნალებსა და ჭკუის მარცებლებს ლანძღავდა და სცემდა — „...შერაცხმნილნიცა კაცნი უბრალოდ გუემნა და ასოთა ამოგდებითა ტანჯნა“.

მაგრამ ეს ყველაფერი არ იყო სრული ჩამონათვალი იმ მანკიერებისა, რომელიც გამოაუღლინა ჩრდილოელმა უფლისწულმა. უფრო საშინელი ზნეც შეიტყო ერმა და ბერმა — მამრისადმი ლტოლვაც — „უბოროტესთა პირველისათა სოლომურიცა მოიბოჯა ქცევა“...

ვარძიის მონასტერი



მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა. როცა ეს ყველაფერი ცნობილი გახდა, ყველას ამოწურა მოთმინების ფიალა.

ბანაკატიშება გიორგი რუსისა და თამარის მორეკორდინება

შეიკრიბა კვლავაც დარბაზი. მატთანეში გიორგი რუსის განპატივებასთან დაკავშირებით შემორჩენილია თამარის სიტყვები, რომელიც მეფური ღირსების, ქალური კდემამოსილებისა და ღრმად განსწავლულობის გასაოცარი ნიმუშია: „არა ჯერ არს მის თანა დათმენა, რამეთუ შემაგინებელ არს ტაძრისა ღმრთისა. მე არ მიძლავს აჩრდილისა მრუდისა ხისასა განმართვად და უბრალოდ განვიყერი მტურესაცა, რომელი აღმეკრა შენ მიერ“.

გამკვებული გიორგი რუსი ზღვამდე მიაცილეს, ჩასვეს ხომალდში, გაატანეს „აურაცხელი ლარი, სიმდიდრე და საჭურჭლე“ და გაუყენეს საბერძნეთის გზას...

კვლავაც დაიძრა ოთხივ კუთხიდან სხივმოსილი თამარის გულისა და ხელის მთხოვნელთა ლაშქარი. უმშვენიერესი მეფექალის გულის მოგება ეწადათ იერუსალიმის სამეფოს, ანტიოქიისა და ედესის სამთავროების წარჩინებულთ. აღმოსავლეთიდან მობრძანდა შირვანშაჰი აღსართანი, განსწავლულობითა და სიმდიდრით ცნობილი მუსლიმი შხად იყო ქრისტიანობა მიელო. იწყინა ქართველთა სამეფო კარმა: ვითარ გაბედაო ვასალმა და ყმანდაფიცმა სურვილის გამქედანება...

საარაკო გახლდათ თამარის სიყვარულით გახელებული მუსლიმის, არზრუმის სულთნის, მუტაფრადინ სალდუხის ძის ამბავი. არად მიანნდა სჯულის გამოცვლა, საბოძვარიც უხვად გასცა მეფექალის ხელის საძიებლად მოსულმა. ბევრი გულშემატკივრობდა კიდევ უსამანოდ შეყვარებულ სულთანს. არც ის ჩათვალეს თამარის ღირსად... თუმცა კი თამარის ნახევარდა (გიორგი მესამის უკანონო შვილი), მშვენიერი რუსუდანი შერთეს ცოლად, მზითვეიც უხვად გაატანეს და ისე გაისტუმრეს (თამარის ღვიძლი და კი, რომელსაც ასევე რუსუდანი ერქვა, ოს უფლისწულზე გაათხოვეს, მალე დაქვრივდა და სამშობლოს დაუბრუნდა). ბიზანტიელი უფლისწულნიც — იმპერატორ მანუელ პირველის მეძვიდრე ანდრონიკე, მანუელისვე უკანონო შვილი ალექსი და სხვა მრავალი გულდამშვიდებით ვერ უყურებდნენ თამარის სილამაზესა და გონიერებას.

სხვაც არაერთი ეტრფოდა უიმედოდ თა-



ბრძოლის სცენა. „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებული ხელნაწირიდან

მარს. უმშვენიერესი ლეგენდის სახით შემორჩენილია თამარისადმი ქართველთათვის ყველა დროის გენიის, შოთა რუსთველის გაუმხელელი და უნუგეშო ტრფობის ამბავი და თვით განუმეორებელი „ვეფხისტყაოსნის“ მიძღვნა მეფეთ მეფისადმი. ლეგენდის ერთი ვერსიით ზომ სწორედ ამ უნუგეშო სიყვარულმა გადახვეწა პალესტინაში რუსთველი.

...თამარის გული დავით სოსლანმა დაიყვრო, ქართველთა მეფის, გიორგი პირველის შთამომავალმა და ბაგრატიონთა ოსეთში გადახვეწილი შტოს წარმომადგენელმა. როგორც კავკასიის არაერთი ქვეყნის უფლისწული, პატარა დავითიც საქართველოში იზრდებოდა და იწვრთნებოდა. იზრდებოდა იგი იკონიის ანუ რუმის სასულთნოს ყოფილი დედოფლის, გიორგი მესამის დის, რუსუდანის ზედამხედველობის ქვეშ, თამართან ერთად და რო-



გორც ჩანს, გაუბედავი და წმინდა სიყვარულის პირველი სხივები სწორედ ყმაწვილობიდან იღებდა სათავეს...

1188 წელს თამარმა და დავით სოსლანმა დიდუბის ეკლესიაში დაიწერეს ჯვარი.

უბედური რუსის ბოლო ბაზრობლება

...გაძვეებული გიორგი რუსი ოპოზიციონერ ქართველ დიდებულთა სათამაშო ტიკინად იქცა. პირველად იგი 1191 წელს შემოვიდა ტაოკლარჯეთთან და შავშეთთან. მომხრენიც გამოუჩნდნენ — ამ მხარის პატრონი გუზანი, სამცხის სპასალარი ბოცო, ვარდან დადიანი ლიხთიქითა საქართველოდან. სერიოზული ძალა შეიკრიბა — მთელი დასავლეთი და სამხრეთი საქართველო. ბევრს ეცადა თამარი, არ დაეღვარა მოძმეთა სისხლი და მშვიდობიანად მოეგვარებინა ურთულესი პრობლემა, მაგრამ მუამბოხეები ლიხთაქეთაც გადმოიჭრნენ და გორი-ნაჭარმაგვეამდე მოარბიეს სოფლები, სამცხეშიც გააჩაღეს ცეცხლი. მშვიდობა აღარ გამოვიდა. თამარის მხედრობამ დაიცვა სამეფო ტახტი... მაგრამ კვლავ იჩინა თავი მეფე-ქალის ლმობიერებამ და ჰუმანურობამ — თამარმა ყველას შეუნდო, ქმარყოფილი გიორგი რუსიც გაათავისუფლა და „მისსა სვეუბედურსა გზასა გაემართა“.

...არ მოასვენა გამჩენმა უბედური რუსი. „აფრთაწვევტილი ნავივით ბორიალობდა“... 1193 წელს კვლავ გამოემართა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. ამჯერად რანის ათაბაგის ჯა-

რებით კამბეჩოვანში (ქიზიყში) შემოჭრილა, მაგრამ ხორნაბუჯის პატრონმა საღირ მახატელის ძემ თავის სამ ძესთან ერთად მცირე ლაშქრით ისე დაამარცხა წერასატანილი რუსი, რომ მეფე თამარისთვის მაშველი ძალაც არ უთხოვია... 1193 წლის მიწურული იყო. ...თამარის დევნილი ნაქმარევი კვლავ გადაიხვეწა, უკვე საბოლოოდ... ასე დასრულდა დიდგრომელი უბედური რუსის უბედური ეპოპეა.

თამარის ორივე ისტორიკოსი გიორგი რუსის შესახებ „ჭირმა თავი არ დამალას“ პოზიციიდან მოგვითხრობს. უღირსი სიძის ავ საქმეთაგან მხოლოდ ისაა თქმული, რაც ამჯერად წარმოვიდგინეთ. სხვა ისტორიულ მასალებში ასევე ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ გაძვეებული უცხოტომელის უგვანო საქციელს. გვიანი პერიოდის მხატვრულ ნაწარმოებებშიც კი ისე აღწერენ წმინდანად შერაცხული მეფეთ მეფის ცხოვრების ამ ორ-ნახევარ წელიწადს, რომ თამარის სახელს ოდნავი ჩრდილიც არ მიადგეს... რაც შეეხება ფანტაზიამომძალეულთა წარმოსახვებს გიორგი რუსის ფარშავანგებითა და კრუხებით „გატაცების“ გამო, რას ვიზამთ, ადამიანის გონებას მართლა არ ჰქონია „სამანია“...

ჯერ იყო უამჟორი...

ქალ-ვაჟი შეეძინა თამარს და დავით სოსლანს. ვაჟს გიორგი დაარქვეს, პაპის სახელი, მეორე სახელიც დაურთეს, ლაშა ანუ „მანათობელი ქვეყნისა“. ქალიშვილს (პირისახით

დედის მსგავსს) რუსუდანი უწოდეს, თამარის აღმზრდელი მამიდის სახელი. ურიცხვი მოწყალება გაიღეს...

კვლავ განმრავლდა გამარჯვებანი. იძლიენენ მუსლიმნი, უფრო გონიერებმა ყმადნაფიცობა, თამარის მფარველობის ქვეშ ყოფნა ირჩიეს. მათ შორის შირვანშაჰი აღსართანიც იყო, შირვანის მფლობელი და ერთ დროს თამარის თავყანისმცემელი. აღსართანს და მის სიძეს, ამირ-მირანს თურქებმა შემოუტყეს. სათავეში ადარბადაგანის მფლობელი აბუბაქარი ჩაუდგათ. მრავალი სასულთნო-საამირო მიიმზრეს, ბაღდადის ხალიფაც მფარველობდათ... დღიდან თამარის გამეფებისა, მუსლიმთა ყველაზე დიდ კოალიციასთან უწევდათ ქართველთ ხმალთაკვეთა. თამარმა ბრძანა ლაშქრის შეყრა. მიმოიხილა საომრად გაშხადებულნი, გაამხნევა: „ძმანო ჩემო, ყოვლად ნუ შეძრწუნდებთან გულნი თქუენნი სიმრავლითა მათისათვის და სიმცრისა თქუენისა“... გამორჩეულად დიდი ბრძოლების წინ თამარი ფეხშიშველი მიეახლებოდა ხოლმე ტაძარს, მოილოცავდა და შეავედრებდა ლაშქარს. ამჯერად მეტეხის ტაძარს მიეახლა...

შამქორთან მოხდა მუსლიმთა ზღვისა და ქართველთა ბობოქარი მდინარის შერკინება 1195 წელს. დავით სოსლანი მეთაურობდა ქართველთა ლაშქარს. ზერდაგ (ანუ შავ-ყვითელ) ცხენზე შეჯდა მეფეო, — მოგვითხრობს მემატთანე. იმასაც დასძენს, ვახტანგ ხაჩენელისგან ერთი ციხისა და სოფლის ფასად შეუძენია მართლაცდა ზღაპრული მერანი...

სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. ხალიფას წარმოგზავნილი ღაზო ანუ მეწინავე დროშა ამხნევებდა თურქთ. შეავიწროეს კიდევ ზაქარია და ივანე მხარგრძელების მოლაშქრენი. მაგრამ აი, მოულოდნელად, გააღმასებით შემო-

იჭრა დავითი თავისი მხედრობით. წინ მრავალბრძოლაგადატანილი გორგასლიანი დროშა მოუძღოდათ. თავზარი დაეცა თურქებს. უღმობლად ჩეხეს დუშმანი ქართველებმა. ერთი შეპკივლა საზარლად შალვა ახალციხელმა და ხმალდახმალ გადაეშვა ბრძოლის მორევში, უკან კი თურქთა მეწინავე დროშით გამობრუნდა. გატყდნენ თურქები, უკუიქცნენ. განძამდე სდიეს ქართველებმა, შემდგომ გელაქუნიც აიღეს: „დაათერნეს ისარნი სისხლითა და ზრმალნი ჭამდეს ზორცთა მტერთა მათისა“... ხალიფას უძღვევლობის დროშა მიართვეს თამარს, — ფერხით დაუდეს. თამარმა კი „დროშა იგი ხალიფასი, რომელი მოიღო შალვა ახალციხელმან, წარგზავნა ესე მონასტერსა დიდსა წინაშე ხახულისა ღმრთისმშობლისასა“, — გვაუწყებს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“.


სახელიანი ბრძოლები და ლაშქრობანი დაუსრულებლივ გრძელდებოდა. განძას გელაქუნი მოჰყვა, მერე ამბერდი, ბიჯნისი, დვინი შემოიერთეს. მოარბიეს ხლათის შაჰარმენთა სასულთნო, არჭუში, მანასკერტი...

უზმდგომ იყო გასიანი...

XIII საუკუნის პირველი წლებია. თამარის ბრძნული პოლიტიკით, რომელიც ნაზავი გახლდათ სიძლიერის, სიმტკიცის, სათნოებისა და შემწყნარებლობისა, კიდევ უფრო შორს განიტყვორცნა საქართველოს დიდება. შამქორის ბრძოლიდან შეიდი წელი გასულიყო. ამ ხნის მანძილზე ქართველებმა სამხრეთით თურქებს მრავალი ქალაქი და ციხე წაართვეს. ზოგი შემოიერთეს, ზოგის ყმადნაფიცობას დასჯერდნენ. თურქების სასულთნო-საამიროები და სრულიად მუსლიმანური სამყარო კვლავ განემზადა საქართველოს წინააღმდეგ კოალი-

შამქორის ციხესიმაგრე, რომლის მიდამოებშიც ვაიმართა ბრძოლა აბუბაქარსა და ქართველებს შორის





საქართველო XIII საუკუნის პირველ ნახევარში

ციური ლაშქრობისთვის. მოთავე რუმის სასულთნო გახლდათ (სულთანი რუქნადინი). ისტორიულ წყაროებსა თუ ლიტერატურულ თხზულებებში მრავალჯერ აღწერილია ყველა ქართველისთვის საამაყო ბასიანის ბრძოლა. 400-ათასიანი ლაშქარი შეკრიბა და თამარს მოციქული აახლა კანდიერი წერილით, რომელმაც სიტყვიერადაც გადასცა სულთნის დანაბარები: „უკეთუ მეფემან თქვენმან დაუტევოს სჯული, იყრას სულთანმან ცოლად და უკეთუ არა დაუტეოს სჯული, იყოს ხარჭად სულთნისა“. ამ სიტყვების ბაგეთაგან ამოსვლისთანავე ზაქარია მხარგრძელმა „უხეთქა ხელითა პირსა“ და ელჩი მკვდარივით დაეცა. მოსულთაგან შემდეგ კი მიმართა: „თუ მოციქული არა იყავ, პირველად ენისა აღმოკუეთა იყო შენი სამართალი და შერმედა თავისა“. სულთნის ელჩი განზრახ დააყოვნეს. ამასობაში ლაშქარი შეკრიბეს, ქართველთა ჯარი დავით სოსლანის მეთაურობით დაიძრა ბასიანისკენ. თამარმა ჯარი თვადავე გააცილა, შემდეგ სამცხისკენ შემობრუნდა, მოვიდა ოძრხეს და იქ მთელი დამე ლოცულობდა.

რუქნადინი არ ელოდა ასეთ შემოტევას და თავი ციხესიმაგრისთვის შეუფარებია. დავით სოსლანის ლაშქარმა იოლად სძლია ციხეში შეფარებულ მტერს. ძირითადი ბრძოლა კი ბასიანის სანახებში გაიმართა. აქაც იმამაცა

ქართველთა უპირველესმა სარდალმა. მის თავდადებას შალვა ახალციხელის, ზაქარია და ივანე მხარგრძელების საარაგო სიმამაცე დამატა და რუქნადინის ლაშქარი გააცამტვერეს. ცნობილი ფაქტია, რომ ტყვედ ჩაგარდნილი რუქნადინის ძმა ჯორის ერთ ნაღში გაუცვალეს მტერს ქართველებმა. ამ გამარჯვებებით და ბიზანტიის შესუსტებით ისარგებლეს ქართველებმა. დალაშქრეს შავი ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთით ქართული ტომებით დასახლებული ოლქები და აქ შექმნეს საქართველოს გაგლენის ქვეშ მყოფი ტრაპიზონის იმპერია.

1204 წლისათვის ქართველები სამხრეთის სამანებში კარს (ყარსს) მიაღწენ და ალყაში მოიქციეს. მეციხოვნენ უშუერი სიტყვებით „ამკობდნენ“ ქართველებს. როგორც ჩანს, ესეც მათი ბრძოლის „ხერხი“ იყო. კარელებს გამოელიათ სურსათი, წყალი. დანებებასაც ფიქრობდნენ, მაგრამ ეშინოდათ „გადმოფრქვეული“ ავსიტყვაობის გამო. ასეთ დროს უღმობელი იყო დავით სოსლანი. კარელებმა შემოთვალეს, იარაღს დავერით და ქალაქს ჩაგაბარებთ, თუ თვით თამარი მობრძანდებო. მისი განთქმული გულმონწყალების იმედი ჰქონდათ. თამარმა მართლაც შეიწყალა ძლეულნი, 11 წლის ლაშაც იახლა თან და ჩაიბარა დედა-შვილმა კლიტენი ქალაქისანი...

ზეიმი სუფევდა მთელ ქვეყანაში, სრულიად საქართველოში, მაგრამ ამ სიხარულს თამარისა და ქვეყნისთვისაც დიდი მწუხარება მოჰყვა. 1205 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა დავით სოსლანი... ღირსეულად მიუჩინეს საუკუნო განსასვენებელი ქართველ მეფეთა სძვალეში, გელათში. თამარმა იმავე წელს თანამესაყდრე მეფედ თორმეტი წლის ლაშა გიორგი დაისვა.

აღსასრული და... საფლავი თამარისა

კიდევ უფრო გაძლიერდა სახელი და დიდება იმდროინდელი საქართველოსი. დავით აღმაშენებლის დროს დაწყებული აღმასვლა ქვეყნისა თამარმა განასრულა. სამწუხაროდ, უდროოდ აღესრულა მისი ლამაზი სიცოცხლეც. ტრადიციული თარიღი თამარის გარდაცვალებისა 1213 წელია. ასახელებენ 1207 და 1210 წელსაც. მემატეიანემ შვექალის ამაჟვენიდან გარდასვლის განსაცვიფრებელი ამბავი შემოგვინახა. ჯერ ისევ პირმშვენიერსა და ახალგაზრდას მოეძალა უცხო სენი, არავის უმხელდა, მარტო ებრძოდა და ერთხანს სძლია კიდევ. ბოლოს კი, როცა იგრძნო აღსასრულის მოახლოება, „არ ინება სიკვდილი სარეცელზე“. აგარის სამეფო ციხე-დარბაზში მყოფი სამეფოდ აღიკაზმა, ტახტზე დაბრძანდა და შვილნი და დიდებულნი მოიხმო. ასე მიმართა მისი ფერდაკარგული სახის ხილვით გაოგნებულთ, — მოწამე ხართ, თქვენთვის არაფერი დამიკლია, „ვიდრე განგებისა, ღმერთისათა ვიყავ თქვენ ზედა მეფედ. აწ მეცა წაგალ მამათა ჩვენთა თანა გზასა უცხოსა. გვევდრები ყოველთა, რათა მარტოს კეთილსა შინა იყვნენ მახსენებელი ჩემდა. აჰა, ესერა მკვიდ-

რად სახლისა ჩემისა დაგიტყვენ... შვილნი ჩემნი, გიორგი და რუსუდან... მაგათ აღმოგიკვეთონ დაკლებული ჩემი...“ შემდგომ ამისა, უფალს შეავედრა საქართველო, მერე მოდგმა ადამთა, შვილნი და სულ ბოლოს — სული თვისი... მშვიდად დაითხოვა სასახლეში მყოფნი, მარტო დარჩენა ისურვა და ტახტზე მჯდომარემ „დაიძინა ძილითა მართალითა“...

ისტორიულ წყაროებში მრავალგზის აღუწერიათ, გელათის ტაძარში დაკრძალეს თამარიო... თავდაპირველად, მცირე ხნით, მცხეთას დაუსვენებიათ, შემდგომ კი გელათში, სადაც ახლაც არსებობს მისი სახელობის ეკვდერი (თუმცა კი ექვთიმე თაყაიშვილს ეს ეკვდერი გაუთხრია, საფლავი კი ცარიელი აღმოჩენილა). ლამის თამარის გარდაცვალებიდანვე მოდის ლეგენდათა მთელი წყება მზეთამხის საიდუმლო დამარხვის შესახებ. იქნებ ყველაზე ახლოს სინამდვილესთან ფრანგი დეზობუას წერილი იყოს, რომელშიც ვკითხულობთ: „მიემართება 15 წლის ჭაბუკი მეფე და მისავენებს დედამისის ძვლებს“. თამარს ანდერძად — იერუსალიმს დამკრძალეთო, დაუბარებია. ლაშა-გიორგისაც ხომ შეეძლო ლაშქრის თანხლებით წაესვენებინა დედის ნეშტი. მით უმეტეს, იგი დიდხანს ემზადებოდა პალესტინაში სალაშქროდ. ვინ იცის, იქნებ ბიზანტიის იმპერატორის ან ეგვიპტელი მამლუქების დახმარებითაც შეძლო ლაშა-გიორგიმ საიდუმლოდ აღესრულებინა დედის ანდერძი. ვინ იცის, იქნებ პალესტინის რომელიმე ქართულ სავანეში განისვენებს მეფე თამარი...

ქართულმა ეკლესიამ თამარ მეფე წმინდანად შერაცხა და მისი მოხსენიების დღედ 14(1) მაისი დააწესა.

ნოღარ შოშიტაშვილი

*თამარ მეფის
საგარეულო საფლავი
გელათში*



საიდუმლო სერობა. დამიანე. უბისის ეკლესიის ფრესკა

წმინდა გრაალი ანუ ბურუსით მოცული საიდუმლო

წმინდა გრაალი, რომელსაც გადმოცემის თანახმად, თან ახლდა არნახული ძლიერება, დღემდე ბურუსითაა მოცული. ჯერაც აუხსნე-ლია, თუ რა არის იგი სინამდვილეში.

ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა ვერსია არსებობს. ერთის მიხედვით, გრაალი რელიკ-ვიაა — ნოეს კიდობნის ოქროს გამოსახულებით, მეორის მიხედვით ქვაა... მოგვიანებით გრაალი სიმბოლურად ინახავდა იმ საიდუმლო ცოდნას, რომელიც მხოლოდ საგანგებოდ შერჩეულ ადამიანებზე გადადიოდა თაობიდან თაობაზე. ყველაზე გავრცელებულია აზრი, რომ ეს არის ოქროს თასი საიდუმლო სერობიდან ჯვარცმული ქრისტეს სისხლით. ლეგენ-დის მიხედვით, შეტაკების დროს ლუციფერის გვირგვინიდან მთავარანგელოზმა მიხეილმა ცეცხლოვანი შუბით ამოაგდო თვალისმომ-ჭრელად მბრწყინავი მწვანე ფერის ქვა **Lapis Exilis**. ამ ქვისგან შემდეგ დამზადდა თასი, სა-იდანაც საიდუმლო სერობაზე ქრისტე ღვინოს სვამდა. კამათობდნენ იმაზეც, წმინდა გრაა-ლი თუფში იყო თუ სასმისი. თუმცა ხელოვნე-

ბაში ის ყოველთვის გამოისახება არნახული სილამაზის თასად.

ლეგენდის თანახმად, ჯვარცმის შემდეგ ქრისტეს სხეული შესანახად გადასცეს ორ პირს, რომელთაც სახარება მოკლედ მოიხსენებს. ესენი იყვნენ ნიკოლომი და იოსებ არი-მათიელი. იოსებ არიმათიელმა წმინდა გრაა-ლის მარადიული სიმბოლოები — ჯვარცმუ-ლი ქრისტეს სისხლით სავსე თასი და შუბი, რომლითაც ქრისტეს ჭრილობები მიაყენეს და რომლის წვერიდანაც სისხლი მოწვეთავდა, თან წაიღო ინგლისში, გლასტონბერიში, სა-დაც მისთვის ადგილი იყო მოშადებული ეკ-ლესიის ასაშენებლად. ასე დაარსდა გლას-ტონბერის სააბატო. ეს რელიკვიები მოთავ-სდა გლასტონბერის ძველ ეკლესიაში, რომე-ლიც 1184 წელს ცეცხლმა გაანადგურა. რე-ლიკვიები არ დამწვარა, უკვალოდ გაქრა.

მეორე ვერსიით, იოსებ არიმათიელის მი-ერ შეგროვებული ჯვარცმული ქრისტეს სის-ხლით სავსე თასი მარიამ მაგდალინელმა ჩა-მოიტანა სამხრეთ საფრანგეთში, სადაც შემე-

დგომ წმინდა გრაალზე თქმულებებისა და რომანების მთელი ციკლი შეიქმნა.

ყველაზე ადრეული ვარიანტი წმინდა გრაალზე შექმნილი მოთხრობებისა, არის **Gon-
te du Graal**, რომელიც 1180 წელს გამოაქვეყნა ცნობილი პოეტმა და ტრუბადურმა კრეტიენ დე ტრუამ. მოთხრობა დაუმთავრებელი დარჩა. მისი გმირი, რაინდი პერსევალი უელსელია. მისი ლიტერატურული სახე აგებულია ძველ უელსურ საგაზე გოლიათზე, სახელად პრიდერზე და იმ მოთხრობებზე, რომლებშიც ხშირად ახსენებენ მაგიურ თასს. უელსური ეპოსის გმირები კი, თავის მხრივ, წარმოშობილი არიან უფრო ძველი კელტური გმირებიდან. მეფე ლირი, მაგალითად, დაიბადა ლერასგან, იდუმალებით მოცული ხალხის ტუატუ დე დანანისაგან (ღმერთ დანის ტომი). მისმა ხალხმა, მითის თანახმად, ჩრდილოეთიდან კელტურ მიწაზე ჩამოიტანა მაგიური საგნები: ჯადოსნური თასი, შუბი და დაუმარცხებელი მახვილი. ეს საგნები მოგვიანებით მეფე არტურზე შექმნილ ლეგენდებში ტრანსფორმირდა წმინდა გრაალთან.

იმის შესახებ, თუ როგორ მოხვდა გრაალი ბრიტანეთში, მოგვითხრობს რობერ დე ბორნი თავის პოემაში „იოსები არიმათიიდან“, რომელიც დაწერილი უნდა იყოს 1200 წელს. კრეტიენ დე ტრუას მსგავსად, დე ბორნი ევრდნობა გადმოცემას ძველი წიგნებიდან, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, თუ როგორ იხმო ქრისტემ იოსები და მისცა გრაალი — საიდუმლო სერობის თასი.

გრაალზე შექმნილი ციკლიდან აღსანიშნავია აგრეთვე ანონიმური რომანი „პერსელვაუსი“. რომანის მთავარი გმირი პერსევალი პოულობს გრაალს და მის ცენტრში ხედავს ჯერ „ბავშვის სახეს“, შემდეგ „გვირგვინოსან მეფეს, რომელიც ჯვარზეა მიღურსმული“. შემდგომში მესის მსვლელობისას გრაალი გარდაიქმნება 5 სხვადასხვა სახედ, რომლებზეც ლაპარაკის უფლება არაა აქვს იმათ გარდა, ვისაც ღმერთი გაენდობა. ერთ-ერთი მათგანი მეფე არტურია, რომელიც ხუთი სხვადასხვა გარდასახვიდან ხუთივეს ხედავს. უკანასკნელი მათგანი საიდუმლო თასია.

გრაალის მცველობა ნიშნავდა დედამიწაზე უდიდეს პატივსა და უმაღლეს მიღწევას. ეს იყო ზეადმატებული ყოველივეზე, რაც კი შეიძლება ინატროს ადამიანმა. XII-XIII საუკუნეებში გრაალის მცველებად ითვლებოდა

ყველაზე ძლიერი და გავლენიანი ორდენი ტამპლიერებისა.

ტამპლიერების ორდენის განადგურების შემდეგ ლეგენდებმა გრაალზე ხალხური ხასიათი მიიღო. მაგრამ რელიკვიის აჩრდილმა შუა საუკუნეების მრავალი მოვლენა უზილავად გაანათა. ჩები თაბორიტები ომში მიდიოდნენ დროშებით, რომლებზედაც გამოსახული იყო გრაალის თასი. არც გნოსტიკოსებისა და ტამპლიერების საიდუმლო ცოდნა დაკარგულა და სიცოცხლე განაგრძო მრავალრიცხოვანი საიდუმლო ორდენისა და ორგანიზაციის სახით, რომლითაც სავსეა XII-XIX საუკუნეების ისტორია. გასული საუკუნის დასაწყისში, 1918 წელს, გერმანიაში აღმოცენდა ოკულტური საზოგადოება „ტულე“. ეს იყო ფაქტობრივად, ნაციონალურ-სოციალისტური მისტიკური ორგანიზაცია, რომელმაც წმინდა გრაალის საკითხი ისევ წინ წამოსწია.

გრაალის ძიებას სათავეში ჩაუდგა ვინმე ოტო რანი, ნორდული თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1930 წელს მან მოინახულა დანგრეული მონსევიური, რის შედეგადაც გამოსცა წიგნი „ჯვაროსნული ლაშქრობა გრაალის წინააღმდეგ“. თავის წიგნში ოტო რანი გრაალს „ნიბელუნგების თასს“ უწოდებს. 1937 წელს თავისი მეორე გამგზავრების შემდეგ

ტამპლიერი რაინდი





ოტო რანი, რომელსაც გერმანულმა ნაციონალ-სოციალისტებმა გრაალის მოძებნა დააფლეს

ლანგედოკში, რანი უკვალოდ გაქრა. 1943 წლის ივნისში გერმანიიდან მონსეგიურში ჩავიდა დიდი ექსპედიცია, რომელიც მუშაობდა მონსეგიურის გამოქვაბულებში, 1944 წლის გაზაფხულამდე. მართალია, მათ ვერაფერი იპოვეს, მაგრამ კარგად შეისწავლეს მონსეგიურის ქვიანი გრუნტის მიწისქვეშა გასასვლელების რთული სისტემა და იმედი გამოთქვეს, რომ გრაალი შეიძლება იქ ყოფილიყო დამალული. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ შუა საუკუნეების ევროპაში ასეთი საიდუმლო ლა-

ბირინთები უამრავი იყო და მონსეგიურის მიწისქვეშეთი არც ყველაზე სრულყოფილი უნდა ყოფილიყო მათ შორის.

გერმანელი მეცნიერი ჰერმან ფონ სკერსტი თავის წიგნში „გრაალის ტაძრები კავკასიაში; თაურქრისტიანობა სომხეთსა და საქართველოში“ ამტკიცებს, რომ კავკასიაში გრაალის ტაძრები არსებობდა. კერძოდ კი, როცა იგი სვეტიცხოვლის აშენების ლეგენდას ანალიზებს, გვეუბნება, რომ როდესაც გოლგოთაზე მაცხოვრის ჭრილობებიდან სისხლი მოწვეთავდა, მოხდა ქრისტეს მისტიკური დაკავშირება დედამიწასთან. ამის შემდეგ იესო ნაზარეტელის ეთერული, ასტრალური სხეული და „მე“-ს ხატი მრავალმხრივ და მრავალნაირად არსებობს სულიერ სამყაროში. ეს ყოველივე კობირებულია წმინდა ავგუსტინეში, თომა აქვინელში, ფრანჩესკო ასიზელში და სხვ. სკერსტს მიაჩნია, რომ წმინდა ნინოშიც, რადგანაც სვეტიცხოველი წმინდა ნინოს მითითებით იმ ადგილზეა აშენებული, სადაც ქრისტეს კვართი დამარხა, ამიტომ სვეტიცხოველიც გრაალის ტაძარიაო.

დასასრულ, კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ წმინდა გრაალის ძიება ქრისტიანისათვის — ეს არის ჭეშმარიტების მარადიული ძიება, საკუთარი „მე“-ს ძიება. ეს არის ღვთაებრივი ცოდნა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ რჩეულებისთვისაა და რომელიც თაობიდან თაობას სიმბოლოებისა და ალეგორიების სახით გადაეცემა.

ლილა ხუაზვილი

მონსეგიურის ციხესიმაგრე





მარიამ ლორთქიფანიძე — ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი. გამოქვეყნებული აქვს ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის ათი წიგნი (მონოგრაფიები, დამხმარე სახელმძღვანელოები, საშუალო სკოლის VIII კლასის ისტორიის სახელმძღვანელო). რუსულად თარგმნა ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები: „მატიანე ქართლისა“, სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“.

1997 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. ამერიკის ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა (ABI) მიანიჭა „მეორე ათასწლეულის ღირსების მედალი 2000“.

ღვაწლმოსილი პროფესორი ივანე ჯავახიშვილთან პირველ შეხვედრას იხსენებს, ყველა, როგორ იწერებოდა საბჭოთა პერიოდში საქართველოს ისტორია და იმ სიძნელებებზეც საუბრობს, რომელსაც ქართველი ისტორიკოსები აწყდებოდნენ.

ნამდვილი აზრები მარიამ ლორთქიფანიძისგან

„კომპაზშირელთა“ პროპოკანცია ივანე ჯავახიშვილის ლექციაზე

უნივერსიტეტში 1939 წლის პირველ სექტემბერს მივედი. ისტორიის ფაკულტეტზე ამ წელს პირველად გამოცხადდა მიღება ცალკე ხელოვნების ისტორიის სპეციალობით. ჩაბარება უახლოეს მეგობრებთან, გივი კილურაძესთან (ის ევროპის ისტორიის კათედრის გამგე იყო წლების განმავლობაში), ოთარ ჯაფარიძესა (ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი არქეოლოგი) და კიდევ სამ მეგობართან ერთად გადავწყვიტე.

ოჯახში ყველას გაგონილი გვექონდა ივანე ჯავახიშვილის სახელი. ლექციების ცხრილში მისი გვარის ძებნა პირველ სექტემბერსვე დავიწყეთ, მაგრამ ვერ ვიპოვეთ. მაშინ ივანე ჯავახიშვილი ისტორიის ფაკულტეტზე ლექციების კითხვას მესამე კურსიდან, სპეციალურ ჯგუფებში იწყებდა. შემდეგ გამოვარკვიეთ, რომ ქართული სამართლის ისტორიის კურსს კითხულობდა იურიისტებთან და მოვინდომეთ მის ლექციებზე დასწრება. ნებართვაც მივიღეთ.

შემობრძანდებოდა ბატონი ივანე დიდი შავი პორტფელით ხელში. ამოიღებდა ბარათებს, რომელზეც წყაროებიდან ციტატები ჰქონდა ამოღებული და შემდეგ დაიწყებდა ლექციის კითხვას. ჯერ ჩამოაყალიბებდა დებულებას, შემდეგ წაიკითხავდა ბარათებზე ამონაწერებს ბაგრატის, ვახტანგისა და სხვათა სამართლიდან. ან პირიქით, ჯერ წაიკითხავდა ამონაწერებს ძეგლებიდან და შემდეგ ჩამოაყალიბებდა დებულებას.

სამართლის ისტორიაში ჩვენ არავითარი მოშხადება არ გვექონია და ზოგი რამის გაგება გვიჭირდა, მაგრამ ლექციები იმდენად საინტერესო იყო, რომ გატრუნული ვუსმენდით. ლექციის ბოლოს ყოველთვის მოითხოვებდა რამდენიმე წუთს შეკითხვების წერილობით მისაღებად. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები საინტერესო შეკითხვებს უგზავნიდნენ. ბატონი ივანეც პასუხობდა და დიდი სიხარულით შესვენებაზეც გრძელდებოდა.

ერთ მშვენიერ დღესაც მოუვიდა შეკითხვა. ახლაც ვხედავ იმ ფურცელს... ბატონი ივანე



ივანე
ჯავახიშვილი

კითხულობს ხმამაღლა: — სტალინური მოძღვრების თანახმად, ქართველები ერთად მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდნენ, თქვენ კი საიდან იწყებთ მის ისტორიას?

წარმოგიდგენიათ, სამარისებური სიჩუმე აუდიტორიაში! ბატონმა ივანემ ეს ფურცელი წვრილ-წვრილად დახია, სამელნის ჩასადებში ჩაყარა, აკრიფა თავისი ბარათები, ჩააწყო პორტფელში და უხმოდ გავიდა.

ავტენტურ ჩურჩული რა მოხდა, როგორ მოხდა. მე ვაკაპასობდი იმაზე, თუ რატომ არ გასცა პასუხი. ბიჭები კატეგორიულად მიმტკიცებდნენ, რომ ყველაზე მართებული გადაწყვეტილება მიიღო. მხოლოდ გვიან, წლების შემდეგ მივხვდი, რომ ეს მართლაც ყველაზე მართებული პასუხი იყო.

რა უნდა ეპასუხა, სტალინის კრიტიკას ხომ არ დაიწყებდა. არა, 39 წელია, ხალხო!

ამ ლექციის შემდეგ არ გვმორიდებოდა ფიქრი — გააგდებენ უნივერსიტეტიდან? მაგრამ ივანე ჯავახიშვილი 1930 და 1936 წლების შემდეგ, სრულად რეაბილიტირებული იყო და თან მეტად მაღალ დონეზე. უზენაესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმის წევრი და საბჭოთა კავში-

რის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გახლდათ.

სიმართლე გითხრათ, დღემდე ვერ ამიხსნია, მისდამი საბჭოთა ხელისუფლების ასეთი შემობრუნება რამ განაპირობა. ოჯახში კი მომისმენია აზრი, იყო ასეთი, ალექსანდრე სვანიძე. სტალინის პირველი მეუღლის ძმა. მეტად განათლებული ადამიანი, მაღალი დონის ისტორიკოსი, რომელიც ამ დროს კრემლში სტალინთან ცხოვრობდა. ის იყო ჟურნალ *Вестник древней истории*-ს დამაარსებელი და რედაქტორი. ამბობდნენ, რომ ივანე ჯავახიშვილის მდგომარეობის შეცვლაში სწორედ სვანიძემ შეასრულა მნიშვნელოვანი როლი.

ამის შემდეგ ჩვენ ივანე ჯავახიშვილს აღარ შევხვედრებოდით, რადგან მალევე გარდაიცვალა.

სამართველოს ცეკა და ქართულ-სომხური დავა მცხეთის ჯვრის გარშემო

თანამედროვე ქართული ისტორიული მეცნიერების სათავეებთან უშუალოდ ივანე ჯავახიშვილის მოწაფეები იდგნენ. მათ შორის სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი და ლევან მუსხელიშვილი. სამწუხაროდ, ლევან მუსხელიშვილი ადრე გარდაიცვალა.

მაშინ ძალიან ჭირდა ისტორიაში და საკუთრივ საქართველოს ისტორიაში მუშაობა. თუმცა ივანე ჯავახიშვილის სკოლამ მოახერხა, რომ უმძიმესი კომუნისტური ზეწოლის პირობებშიც, ქართველ მეცნიერთა ნაშრომებში, ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის გაყალბება არ მომხდარა.

იმის მიუხედავად, რომ თავის დროზე სტალინის, შემდეგ კი მარქსის, ენგელსისა და ლენინის შრომები ყველგან იყო მითითებული, ეს მითითებები ფაქტობრივად იყო გარნირი ნაშრომის გასასვლელად. ეს დიდი დამსახურებაა თვით ივანე ჯავახიშვილისა და მისი მოწაფეებისა, რომელთაც ეს შექმნეს. რთული იყო მუშაობა, მაგრამ იმდენად იყვნენ მომზადებული, რომ შესანიშნავად იცოდნენ, რა მიეწერათ სქოლიოში და რაც მთავარია, შესანიშნავად იცოდნენ საქართველოს ისტორიის ის წყაროები, რომელიც იმ პერიოდისთვის არსებობდა.

შემდეგ თავადაც მომიხდა ამ პროცესებში ჩართვა. რომ გითხრათ, ძალიან რთული იყო მეთქი, არ ვიქნები მართალი. მაგრამ რთული ნამდვილად იყო. რამე დებულებას რომ დავა-

მუშავებდით, მერე ვეძებდით შესაფერის მონაკვეთებს სქოლიოში მისათითებლად.

როელი იყო ჩვენს მეზობლებთან, განსაკუთრებით, სომხებთან ურთიერთობა. მახსოვს, დამიძახა გიორგი წერეთელმა, მაშინ ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ვმუშაობდი, გიორგი წერეთელი კი მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი იყო. მივედი, ხელში უჭირავს წიგნი და მეუბნება, ეს სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ჟურნალია, წაიღებთ ახლა ამ ჟურნალს, აქ არის პარუერ მურადიანის სტატია, რომელშიც საუბარია, რომ მცხეთის ჯვარი სომხების ამენებულია და ათ დღეში თქვენი, ისტორიკოსის პოზიციიდან დაწერეთ, რისი დაწერაც შეგიძლიათ, დაწერეთ რუსულად, ოღონდ არავინ უნდა იცოდეს, რომ თქვენ ამას წერთ და მე მომიტანთო.

ვათენე, ვაღამე, დავეწერე და მივუტანე ბატონ გიორგის. დაბრძანდითო, მითხრა და კითხვა დაიწყო. ვნერვიულობ, მაგრამ არაფერს მეუბნება. წაიკითხა, აილო ტელეფონი, დაურეკა გიორგი ჩუბინაშვილს და ეუბნება: — გიორგი ნიკალაევჩი, მარიკას სტატია წაიკითხე, ვფიქრობ, დაბეჭდვა შეიძლება და ახ-

აკადემიკოსი გიორგი წერეთელი



ლა ის თავად მოგიტანთ ამ სტატიას და თქვენს ვერდიქტს დაველოდები.

ერთი მხრივ, შვებით ამოვისუნთქე, თუმცა უფრო მეტად ავლელი, რადგან მაგზავნის გიორგი ჩუბინაშვილთან, რომელსაც ორი ტომი აქვს დაწერილი ჯვარის მონასტერზე.

მანაც ერთადერთი ის მითხრა, დაჯექიო და კითხვა დაიწყო.

არაერთი რეაქცია, გული მისკდება, ისევ საშინლად ვნერვიულობ. დაასრულა კითხვა, აილო ტელეფონი და ურეკავს გიორგი წერეთელს: — გიორგი ვასილევჩი, წაიკითხე მარიკას სტატია და შეიძლება, რომ დაიბეჭდოს. იცი, რა დამემართა? დაჯექე ხელი ჩემს სტატიას და არც დავშვებობებოვარ, ისე წავედი წერეთელთან.

გიორგი წერეთელმა სტატია დაიტოვა და მითხრა, — ამ თემაზე არავისთან არაფერს იტყვიო.

გამოხდა ხანი და მირეკავს შოთა შენგელია, მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის დირექტორი და დიდი პატრიოტი. დამიბარა, მომცა კორექტურა ჩემი სტატიის, მითხრა, ჩემს ოთახში ჩაგკეტავ, ვიდრე კორექტურას დაასრულებ და არავინ უნდა იცოდეს სტატიის შესახებო.

ინფორმაციამ მაინც გაჟონა და სათანადო ორგანოებს შეატყობინეს.

ამ ამბის გაგრძელება მოგვიანებით ისევ გიორგი წერეთლისგან შევიტყვე.

ჩემს სტატიასთან ერთად ამ ნომერში იბეჭდებოდა ილია აბულაძის სტატია მცხეთის ჯვარის წარწერასთან დაკავშირებით, რომელსაც ევრდნობოდა მურადიანი. ცენტრალური კომიტეტის მდივანი იდეოლოგიურ დარგში იმჟამად დევი სტურუა იყო. გამოიძახა გიორგი წერეთელი და უკვე აწყობილი ჟურნალიდან ჩემი და აბულაძის სტატიის ამოღება მოსთხოვა. გიორგი წერეთელს უთქვამს, რომ მან თავად დაუკვეთა ილია აბულაძეს ეს სტატია და ვერ ამოიღებდა. მით უმეტეს, რომ აბულაძე სტატიის გამოქვეყნებამდე გარდაიცვალა. მაშინ სტურუას უთხოვია, აბულაძის სტატია დატოვებო და ლორთქიფანიძის ამოიღებო. გიორგი წერეთელს განუმარტავს, რომ ეს ორი სტატია ავსებდა ერთმანეთს.

გიორგი წერეთელმა საკუთარი პოზიციის გატანა შეძლო, თუმცა ამის გამო მისთვის დიდი მადლობა არ უთქვამთ.

იმევე წელს გახლდით პარიზში და ვნახე გამოცემა „რევიუ დე არქეოლოგი“, სადაც



სიმონ გაუხჩიშვილი, ნიკო კეცხოველი, უჩა ჯაფარიძე და მარიამ ლორთქიფანიძე ივალთოს აკადემიაში

მურადიანის იგივე სტატია ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა.

რაც შეეხება საქართველოს XIX-XX საუკუნის ისტორიას, ეს არ იყო ისტორია, ეს იყო პოლიტიკა და მორჩა. მართალია, იმ პერიოდის სპეციალისტები ცდილობდნენ, სიმართლევც ეთქვათ, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, — ეს იყო პოლიტიკა!

როგორ ცდილობდა კრემლი საქართველოს რუსიფიკაციას

1970-იანი წლების შუა ხანებია. საბჭოთა კავშირში, უმაღლესი განათლების ეროვნულ ენაზე მიღება მხოლოდ თბილისისა და ერევანის უნივერსიტეტებშია შესაძლებელი. ეროვნული ისტორიის კათედრებიც კი იშვიათობას წარმოადგენს. სხვადასხვა შეკრებისას, მაგალითად კიევის უნივერსიტეტის თანამშრომლები არ იჯერებენ, რომ ლექციები ქართულად იკითხება.

გაზაფხულის პირია და მომავალი წლის სალექციო კურსსა და გეგმებს ვადგენთ. უნივერსიტეტის რექტორი გახლავთ დავით ჩხიკვიშვილი. მოდის ჩემთან უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილის გამგე მარიკა პირველი და მეუბნება, რექტორმა შემოგითვალა გაითვალისწინო, რომ მომავალ წელს, ერთი-ორი საგანი რუსულად წაიკითხო. უცხრად ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა და ვუპასუხე, რომ ჩვენ რუსულ ფილოლოგიურზე, ჟურნალის-

ტიკის რუსულ განყოფილებაზე ისედაც რუსულად ვკითხულობდით საქართველოს ისტორიას. მან მიპასუხა, რომ ეს თხოვნა არა რუსულ, არამედ ქართულ ფაკულტეტებს შეეხებოდა.

მაშინვე მივხვდი, რაშიც იყო საქმე და ვუპასუხე, რომ თავად დაველაპარაკებოდი რექტორს. მარიკამ კი მითხრა, რექტორმა გამაფრთხილა, ჩემთან არავენ მოვიდესო.

მაინც ჩავედი დავით ჩხიკვიშვილთან. კარგი ურთიერთობა მქონდა მასთან, ერთი თაობისანი ვიყავით. ვეკითხები, — დათიკო, რა მოიგონე ეს-მეთქი. მიპასუხა, მე კი არ მოვიგონე, წერილობითი ბრძანება მივიღე და ეს უნდა გაგაკეთოთო და ბრძანების ძეგნი უჯრაში დაიწყო.

მეც შესანიშნავად ვიცი და მანაც, რომ ასეთ ბრძანებებს წერილობით მოსკოვი კი არა, ჩვენი ცენტრალური კომიტეტიც არ იძლევა. ვუთხარი, — ტყუილად ნუ ეძებ ბრძანებას, რაც გინდა ქენი, ის ბრძანება რომც არსებობდეს, ვიდრე მე კათედრის გამგე ვიქნები, ამას არ დავუშვებ-მეთქი.

დაიწყო ყვირილი და მაგიდაზე მუშტების ბრახუნი. გამიკვირდა, არ გექონდა ასეთი ურთიერთობა. მეც ვეღარ შევიკავე თავი, ხმას ავუწიე და მეც დავბრახუნე მუშტი მაგიდაზე. მისი კაბინეტიდან რომ გამოვიდი, მითხრა, — შენც გაგაგდებენ აქედან და მეცო.

როცა მისაღებში გამოვედი, მაშინ მივხვდი,

რატომ აყვირდა. მისაღებში იჯდა კაცი, რომელსაც უნდა გაგონა, რა ხდება და მიეტანა ამბავი იქ, სადაც ჯერ არს.

უნივერსიტეტი ფეხზე დადგა. ლექციების რუსულად წაკითხვაზე გვიგინი ჟორდანია უარი განაცხადა. უარი განაცხადა ასევე ეკონომიკის ისტორიის კათედრის გამგე ვასილ ჩანტლაძემ, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანმა გოგი ფუთურიძემ.

უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი შხია ლეკვეიშვილი მაშინ სულ ახალგაზრდა იყო. მეორე კორპუსის ფოიეში აქცია მოაწყო. ჩვენ ახლა აქცია არაფრად მიგვაჩნია, მაგრამ მაშინ სიტყვა აქციის თქმის კი არა, გაგონებისა გვეშინოდა.

ფეხზე დადგა სტუდენტობა. მოსინჯეს ნიადავი ამ ცვლილებების გასატარებლად, მაგრამ ვეღარ გაატარეს. ნახეს, რომ ამ გზით არაფერი გამოვიდოდა.

მეორე ეტაპი იყო ამ ბრძოლისა, როდესაც ახალ კონსტიტუციაზე დაიწყო მუშაობა. ჩვენს კონსტიტუციაში მაშინ წერა, რომ ქართული ენა არის სახელმწიფო ენა. ერთ მშვენიერ დღეს, გამოდის ტელევიზიით ედუარდ შევარდნაძე და ამბობს, რომ უნდა ვიმუშაოთ კონსტიტუციის ახალ პროექტზე, ზოგიერთი რამ იცვლება და მათ შორის ეს მუხლი უნდა იყოს ამოღებულიო.

თქვენს მტერს, იმისთანა ამბავი ატყდა. მთელი უნივერსიტეტი ფეხზე დადგა და უნივერსიტეტიდან წავიდა იმპულსები საზოგადოებაში. რა მოხდა შემდეგ, ეს ყველას კარგად მოეხსენება.

ჩემი კაბინეტი დავით ჩხიკვიშვილის კაბინეტის თავზე იყო. 12 აპრილს მირეკავს და მის კაბინეტში ჩასვლას მთხოვს. არ მინდა ჩასვლა. თანაც უნივერსიტეტი საუსვია სტუდენტებით. მითხრა, მოინდომე ჩამოსვლა და გამოგატარებენო. ჩავედი და მეუბნება, მე და შენ უნდა გავიდეთ ბავშვებთან და დაველაპარაკოთო. ვკითხე, — რა ვუთხრათ-მეთქი. მიპასუხა, — მოვიფიქროთო.

გავედით. ზელები ჩავჭიდეთ ერთმანეთს და... ორივეს გვიკანკალებს ზელები. გვეშინია, ხალხო! ორივემ ვიცით, საქმე მარტყვად არ არის.

— შვილებო! — მიმართა მან სტუდენტებს, — თქვენ არ იცით, ვისთან გაქვთ საქმე. მე და თქვენმა პროფესორმა, მარიამ ლორთქიფანიძემ კი ვიცით. დაფიქრდით და ფრთხილად მოიქცით. მე მაქვს ინფორმაცია, რომ ყველა

ქუჩაზე, რომელიც რუსთაველის პროსპექტზე ჩამოდის, სამხედრო ტექნიკა უკვე განალაგეს. ანუ ფუნქციონერი, უნივერსიტეტის რექტორი ეუბნება, რომ ფრთხილად მოიქცნენ. ჩვენ ხომ გვაქვს 1956 წლის გამოცდილება.

ჩემი ჯერია, სტუდენტებს რამე მეც უნდა ვუთხრა, მაგრამ რა. ვუთხრა წადით და რამე რომ მოხდეს, როგორ უნდა ვიცხოვრო მერე. იმას კი, რომ არ წავიდნენ, — ვერ ვეტყვი. ვიცი, რომ თითოეულს ჯიბეში უდევს პასპორტი ან სტუდენტის მოწმობა. ყველამ იცის, რაზე მიდის. ეს არ არის მათი სპონტანური გადაწყვეტილება, არამედ შეგნებული არჩევანი. იციან, რომ ეს ნაბიჯი შესაძლოა სიცოცხლის ფასად დაუჯდეთ.

ამას წინათ, ერთ რუსულ გადაცემაში მკითხეს, რატომ მოხდა, რომ 70-იან წლებში მხოლოდ საქართველომ აღიმადლა ხმა ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის შესანარჩუნებლად. მხოლოდ ამ კითხვის შემდეგ დაფიქრდი სერიოზულად ამ კითხვაზე და ალბათ იმიტომ, რომ ჩვენ გამუდმებით ვიბრძოდით საკუთარი მეობის დასაცავად და ქართულმა ენამ ამ ბრძოლაში განსაკუთრებული როლი შეასრულა.

წინა ვაჭარბიძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრები: მარიამ ლორთქიფანიძე, ოთარ ჯაფარიძე და როინ მეტრეველი





მენახშირობა

ძველი თბილისის ისტორიიდან

ძველ საქართველოში მოსახლეობის ერთი ნაწილი სათბობის ძირითად საშუალებად ხის ნახშირს იყენებდა. მასზე განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა თბილისში იყო. თავდაპირველად მენახშირობა რაჭველებმა და იმერლებმა დაიწყეს. თუმცა ახალ საქმეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმაც ადვილად აუღეს ალღო. ამიტომ, მენახშირობა ყველაზე მეტად თბილისის მიმდებარე სოფლებში – წყნეთში, ბაგებში, ნახშირორავზე, დილომში, შინდისში, ტაბახმელაში, გუდელისში, კოჯორში, ბორბალოსა და მარტყოფში განვითარდა.

თბილისის გარშემო არსებული ტყეები, რაც კი მტრის გაუთავებელ შემოსევებს გადაურჩა, სარეწაო ნახშირისა და შეშის გამო იჩენებოდა და ნადგურდებოდა. ტყე ამ დროს ძირითადად მემამულეთა ხელში იყო. გლეხები და უმეტესად ვაჭრები შეშას ყიდულობდნენ და საგანგებოდ გამართულ ორმოებში ერთ ადგილას წვადნენ, ნახშირს ამოარჩევდნენ, ნამწვავი და ნაცარი კი ადგილზე რჩებოდა. ამ საქმიანობის ნაკვალევი, ანუ ნახშირის დამზადების ადგილები ტყეებში დღემდე გვხვდება.

ძველად ხელოსანთა გაერთიანებას ამქარი ეწოდებოდა. ხელოსნობის თითოეულ დარგს საკუთარი ამქარი ჰყავდა. ამქრის გამგეობას უსტაბაში განაგებდა. ყველა ამქარს ჰქონდა თავისი დროშა, გერბი, წესდება, სალარო; ჰყავდა თავისი მფარველი წმინდანი. თბილისის მენახშირეებიც, ქალაქის სხვა ხელოსანთა მსგავსად, ამქარში იყვნენ გაერთიანებული. ერთად წვადნენ ნახშირს და მოგებულ ფულსაც თანაბრად ინაწილებდნენ, ხოლო ტყის მეპატრონეს გამოსაწვავი ორმოდან კვირაში ერთი გოდორი ნახშირის საფა-

სურს უხდიდნენ. განსაზღვრული იყო ნახშირის წვის სხვადასხვა ხერხი, ხარისხის განსაზღვრისა და გასაღების ადგილები.

მენახშირეობა განსაკუთრებით XVIII საუკუნიდან იწყებს განვითარებას.

როგორც ჩანს, ქალაქის მიმდებარე სოფლებს შეშითაც ვეალებოდათ სახელმწიფო ბეგარის გადახდა. შემორჩენილია 1796 წლის საბუთი.

„ქ-ის უბდ (1796) იანვარს, კვ. (26) ქალაქის ნაპირის სოფლებს შეშა შესწერდა და ეს იმისი პირია... ვ (6) ურეში ქ. ტაბახმელას...“

1779 წლის უცნობი პირის ქორწილისთვის გაწეული ხარჯების ნუსხაში ჩამოთვლილია შეშა და ნახშირი. აქედან შეიძლება შევიტყოთ, რა ღირდა იმ დროს ნახშირი და შეშა.

„გ (3) ცალი ნახშირი – მარჩილი ერთი ურეში ნახშირი – სამი მინალთუნი და ორი აბაზი

ერთი ურეში შეშა – ერთი მინალთუნი და სამი შაური“.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მსგავსი დოკუმენტები უამრავია, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მენახშირეობის განვითარებას ერეკლე II-ის მიერ გატარებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა და საქალაქო ცხოვრების განვითარებამაც შეუწყო ხელი.

ძველი თბილისისთვის გათბობის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება სწორედ ხის ნახშირი გახლდათ. ქალაქელები ყოველდღე რამდენიმე ათეულ ფუთ ნახშირს მოიხმარ-



თბილისელი მენახშირეები

დნენ. თბილისელები ნახშირს როგორც სათბობად, ისე საკვების მოსამზადებლად იყენებდნენ. ქალაქში ოჯახს ვერ ნახავდით, მაყალი და ქურსი არ ჰქონოდა. მაყალზე თუ მწვადსა და ქაბაბს წვავდნენ, ქურსი ერ-

მენახშირე ბიჭები





მენახშირები ძველი თბილისის ქუჩებში

საოცარი სანახაი იყო, შეშით, ნახშირით და ფიჩხით დატვირთული სახედრებისგან შემდგარი ქარავანი, დაღმართზე დამძიმებული ტვირთით, ძლივს რომ მოდიოდა...



შეშისა და ნახშირის ბაზრობაზე

თგვარი გადასატანი ღუმელი იყო, რომელშიც გაღვივებული ნახშირი იყრებოდა. მაყალი ოთხ ფეხზე შემდგარი მოგრძო სწორკუთხა (ოთხკუთხა) ფორმის იყო, ქურსი კი დაბალი, ოთხ ან ექვს ფეხზე შემდგარი, ექვსკუთხა ან რვაკუთხა, აჭურული გვერდებით მოხარატებული. ქურსი ძირითადად ხელოსნებსა და ვაჭრებს ჰქონდათ ღუქნებში, ზამთარში ფეხებქვეშ იდგამდნენ და თბებოდნენ. ამიტომ ნახშირზე განსაკუთრებული მოთხოვნა იყო მჭედლების, მეთევზეების, ყასბების მხრიდან. ნახშირს იყენებდნენ ასევე ძველი თბილისის სასადილოები, სახაშეები, საჩაიეები და საბაყლოები.

დღევანდელი ბარათაშვილის ქუჩის ადგილას უზარმაზარი ხევი იყო, რომელსაც თბილისელები ავანანთ ხევს ეძახდნენ. ხევის ორივე მხარეს პატარა მოედნები იყო, სწორედ აქ იყიდებოდა შეშა და ნახშირი, ამიტომ ქალაქის მოსახლეობა ამ ადგილს შეშის მოედანს ეძახდა. შეშის მოედანი XIX საუკუნის 40-იან წლებში გაუქმდა, ამ დროს პასკევიჩ ერევანსკის მოედანზე (დღევანდელი თავისუფლების მოედანი) გამავალი ავანანთხევი გადახურეს და იქ ქარვასლა ააშენეს. ამის შემდეგ ნახშირის გასაღების მთავარ ად-

„ისტორიანი“

საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის ნაცნობი და უცნობი ფაქტები, პიროვნებები, მოვლენები-ახალი კუთხით!



თოქოუს ავტორი და წამყვანი ჯაბა სამუშია

ჩვენთვის გაუდადეგული თემები არ არსებობს!



უსმინეთ!

FM 103.9

www.palitratv.ge

უყურეთ!



ყოველ საშუაგათს
16.00 სთ-ზე
განმეორებით კვირას
17.00 სთ-ზე



შეშის გაშვიდველი XIX საუკუნის თბილისში

გილად თათრის მოედანი შეიქმნა. იგი დღევანდელი გორგასლის მოედნის ადგილზე მდებარეობდა. თათრის მოედანს სხვა სახელებითაც მოიხსენიებდნენ: ქვემო მოედანი, შეითანბაზარი, შეიდანო. გვიანფეოდალურ ხანაში ეს სახელები ერთმანეთის პარალელურად იხმარებოდა. ქალაქში შეშასა და ნახშირს მალაკნების ბაზარსა და რიყეზეც ყიდდნენ.

მენახშირეობა აისახა ქართულ ფოლკლორში და ქართველი მწერლების შემოქმედებაში (ეკატერინე გაბაშვილის „მაგდანას ლურჯა“, მიხეილ ჯავახიშვილის „ორი განაჩენი“ და სხვ).

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნეში ტექნოლოგიების განვითარებამ და სატობის ახალი საშუალებების ფართოდ გავრცელებამ ხის ნახშირზე მოთხოვნილება თანდათან შეამცირა.

თბილისის გარშემო არსებული ტყეები, რაც კი მტრის გაუთავებელ შემოსევებს გადაურჩა, სარეწარო ნახშირისა და შეშის გამო იჩეხებოდა და ნადგურდებოდა



წინეთელი მენახშირეები. ოსკარ შერლინგის ნახატი

აღმსანდრე აზოზიშვილი

ბიძინა კვერნაძე: უნდა ბამოხენო სამყაროდან შენი მუსიხა...

ერთ ფილმში საჭირო იყო ქურდი კაცის სიმღერა დამეწერა... მეც დაეწერე პეტრე გრუზინსკის ლექსზე „ასეთია ქურდი კაცის ბედი“. მაშინ ვერც წარმოვიდგენდი, რომ ამ სიმღერას ასე აიტაცებდნენ. არ დაიძრა მთელი კრიმინალური სამყარო ჩვენგან!.. მოდიოდნენ ჩემთან ავტორიტეტები, ატანდნენ მოსაკითხს... რამდენჯერმე მოსულან და უთქვამთ, თქვენ ოღონდ გვითხარით და თუ ვინმე მოსაკლაგია, დღესვე მოკვდებოდ... არაფერს მყავს მოსაკლაგი და მე ხომ არ მომკლაგეთ-მეთქი, — ვპასუხობდი.



მასალა მომზადებულია 2008 წელს. მცირე ხანში კომპოზიტორი ბიძინა კვერნაძე გარდაიცვალა. მის მიერ განვლილი ცხოვრების გზა ისტორიად იქცა.

ნოემბრის მზიანი დღეა. შეხვედრა კონსერვატორიაში დაუთქვით. ველოდები. სადღაც აქვეა გასულიო, — სართულის მორიგე. ისევ ველოდები. მერე კიბეზე გამოჩნდა, ძალიან ნელა მოდიოდა... ამ დროს უკვე პარკინსონის მძიმე ფორმის დაავადება ჰქონდა, თუმცა ისევ ნათელ და სიცოცხლისმოყვარე ადამიანად რჩებოდა. მინდოდა თავის ცხოვრებაზე თვითონვე ეამბო. დამთანხმდა. ოვალურ ფანჯარასთან ჩამოჯდა. ეს ფანჯარა გეშე ყოფნის ილუზიასაც ქმნის. თანამედროვეობის დიდი კომპოზიტორი ბიძინა კვერნაძე ჩემკენ იხედება და ისე ხუმრობს სობერეზე, ერთი ნაკვიც არ ეცვლება... მერე მთხოვს, კართან დაკიდებული პალტოს ჯიბიდან წამალი ამომიღეთო... მორიდებით ვყოფ ხელს ჯიბეში და ნიუტებს შორის წამლის პა-

ტარა შუშას ვარჩევ. ბატონ ბიძინას ელიძება: — ბევრი რამე ყრია ჯიბეში, არა? ასე ვიცი... გააყანელი მქებუძრება, მემკვიდრეობით ის დამიტოვე, ერთ ჯიბეში რაც გაქვსო... ერთხელ ამომაწყობინა და რა არ ვიპოვეთ, ტრამვაის ბილეთები, სკრები, რეცეპტი, წამალი...

ფლაკონს ხსნის და წამალს სვამს.

წარსულზე უნდა მიაბოოს. სხვები ამ დროს სევდიანი თვალებით იყურებიან ზოლმე, ბიძინა კვერნაძე აქაც ხუმრობით იწყებს:

— სიღნაღში დაუბადე, მაგრამ ახლა იქ სახლი არა მაქვს და კარი... ერთმა მკითხა, სიღნაღში რათ დაიბადეო, ვეზუმრე: სხვაგან სამშობიაროები არ იყო და დედანქი იქ წაიყვანეს-მეთქი... სინამდვილეში იქ ცხოვრობდნენ ჩვენი მშობლები. მამა პროფესორად მუშაობდა სიღნაღის საავადმყოფოში... ახლა იქ ბოღბის დედათა მონასტერია, საბჭოთა დროს კი საავადმყოფო იყო. დედა, ნინო ნადირაშვილი შეძლებული ოჯახის შვილი იყო, მის მშობლებს უზარმაზარი სახლი ედგათ სოფელ მაჩხანში. 1924 წელს პაპა დახვრიტეს, დე-

მეუღლეხთან, ნესტან მესხიასთან ერთად საკუთარი სახლის აივანზე



დაჩემი და მისი ძმები დააპატიმრეს. პაპაჩემის სახლში შემდეგ ფორე მოსულიშვილის სახლ-მუზეუმი გახსნეს. ყველაფერი წაგვართვეს. მაშინ ზომ ხალხის დაჭერა „მებელიანად“ ხდებოდა... კახეთიდან მარტო კახური როხროხა ლაპარაკი და იუმორის გრძნობა გამოძევა, სხვა არაფერი...

დედა მუსიკოსი იყო, გერმანიაში განათლებამიღებული. თურმე სულ ოცნებობდა, კომპოზიტორი გაემხდარიყავი. 31 წლისა გარდაიცვალა. მე არ მახსოვს დედა... თითქოს ბუნდოვნად ვხედავ ვიღაც გარდაცვლილი ქალის სახეს, მაგრამ დედა იყო თუ არა, არ ვიცი...

დედა რომ არ მყავდა, ამის გამო ბევრჯერ მიტირია, გულჩათხრობილი ვიყავი... მწარეა ობლობა.

სულ კახეთში კი არ ვიყავი, თბილისშიც ჩამოვდიოდი, ბიძაჩემთან — დედის ძმასთან, გიორგი ნადირაშვილთან. მოხდენილი და გონიერი კაცი იყო. ბევრი რამ ვისწავლე მისგან.

ერთი ძალიან მყავდა თბილისში — ბობიკა, ძალიან მიყვარდა. ბიძაჩემი რომ გარდაიცვა-

ლა, ბობიკაც სამ დღეში დარღით მოკვდა.

თბილისში დამემართა მუცლის ტიფი და ძლივს გადამარჩინეს.

სხვათა შორის, მე რომ ბიძამ თბილისში ჩამომიყვანა, მტკვარზე კუნძული იყო. სად წავიდა ის კუნძული, არ ვიცი... ეჰ, ეგრე გაქრა ბევრი რამე ძველი ცხოვრებიდან...

ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი, მათემატიკას ვერ ვსწავლობდი, სამაგიეროდ, ქართული და ისტორია მიყვარდა... ცოტას ვცუღლუტობდი კიდევ. ერთი-ორჯერ მთელი დღე კუთხეშიც კი მამყოფეს მასწავლებლებმა...

პირველი სიყვარულიც სკოლაში მეწვია. მახსოვს, საჩუქრები მიმქონდა იმ გოგოსთვის...

16 წლამდე მუსიკისა არაფერი ვიცოდი. სახლში პიანინო გვქონდა, ჩემი და მეცადინეობდა ხოლმე. მეც მივდიოდი პიანინოსთან, მაგრამ კი არ ვუკრავდი, ვაბარტყუნებდი...

ომი დასრულდა და სკოლაც დაფამთავრე. ჯარში უნდა წავსულიყავი. ძალიან არ მინდოდა ჯარში წასვლა. გამოსავალიც მოეძებნე... ნიჭიერთა ათწლეულთან გაიხსნა სკოლა-ინტერ-

ნატი „ხანდაზმული“ ბავშვებისთვის. მეც ხანდაზმული ვიყავი — 17 წლისა ვხდებოდი. მისადებ გამოცდაზე მაგიდაზე დააკაკუნებდნენ და უნდა გაგემეორებინა, მე კი ვერ გავიმეორე. ყურადღებით არ ვიყავი ალბათ და იმიტომ... ოთარ ხატიაშვილიც აბარებდა ჩემთან ერთად, მერე ის გენერალი გახდა. თავიდან ის მიიღეს და მე — არა. კიდევ კარგი, ბოლოს რაღაცნაირად მეც დამრთეს სწავლის ნება, თორემ ჯარში რომ წავსულიყავი...

მუსიკალურში რომ ვიყავი, რატომღაც გული ავიცრუე და თავს ვანებებდი. ჩემმა პედაგოგმა, ტერეზა არონიშვილმა სულ ძალით გამაჩერა. მაშინ ჯარში მიპყავდათ ჩვენი თაობის ახალგაზრდები და მეც უკვე მინდოდა ჯარისკაცობა. კიდევ კარგი, დამაკავეს, თორემ ახლა სადმე კარტოფილის გამფუცქენელი ვიქნებოდი... მუსიკა რომ არა, სხვა რა უნდა მეკეთებინა? რაკი გაუწაფავი ვიყავი, იმდენს ვემეცადინებოდი დაკვრაში, ხელები გამიმეშდა, ახლაც ატროფირებული მაქვს ცალი ხელი მაშინდელი დიდი დატვირთვის გამო. დღე და დამე ვმუშაობდი. სამი წელი ამოსუნთქვის დრო არ მქონია... აბა, ისე როგორ გინდა... ბიჭისგან გასაკვირია ასეთი შრომისმოყვარეობა? სულაც არა.

აბა ნიჭი რა არის? შრომისმოყვარეობა ნიჭიერების ნაწილია. მუშაო, რომ იტყვიან... რა მუშა, რის მუშა! უნდა იჯდე და მუშაობდე და მაშინ მოგივა მუშაც და მაშინ მიაგნებ, რასაც ექვს.

მახსოვს, ინსტრუმენტი უნდა აგვერჩია, რომელზეც დავუკრავდით. ბავშვებმა ყველაფერი დაიტაცეს, როგორც ჩანს, კონტრაბასს ვერ მოერივნენ და მე რომ მივედი, მხოლოდ ისღა იდგა ოთახში... კონტრაბასი მერგო...

უმელებელი ყუთი იყო. კარგი პედაგოგი გვეყვდა, მაგრამ ნახევარი ტონით მაღლა გვიწყობდა ინსტრუმენტს, ჩვენ ნახევარი ტონით დაბლა ვუკრავდით. რომ გამოვიდოდით კონცერტზე, იქ კიდევ ერთი ტონით დაბლა ვუკრავდით და ვიყავით არეულ-დარეული... ისეთი ბზუილი გამქონდა, მეგონა, ბზიკები მჭებოდნენ და მკბენდნენ. მერე კონტრაბასს მფანებე თავი და კომპოზიციაზე გაავარძელე სწავლა. კონსერვატორიაში ადვილად მიმიღეს. აბა რას იზამდნენ, კონტრაბასზე სხვა არავინ უკრავდა!

მახსოვს, როგორ დავწერე პირველი ნაწარმოები, ნიჭიერთა ათწლეულს რომ ვამთავრებდი. ეს იყო რომანსი ვაჟას ლექსზე. სხვათა შორის, ზურაბ ანჯაფარიძე დამინახავდა თუ არა, ამ რომანსს მიმღეროდა, ვეხვეწებოდი, დაი-



კომპოზიტორები (მარცხნიდან): ბიძინა კვერნაძე, გვი ციციშვილი, სულხან ნახიძე, ტარიელ ბაქრაძე

ვიწყე-მეთქი. ამ რომანსთან კიდევ ერთი ამბავია დაკავშირებული. ზურიკოს ვიცნობდი, როგორც კარგ ბიჭს, რუსთაველზე რომ დადიოდა, კარგი ხმა რომ ჰქონდა... როცა დადგა საკითხი, რომ ვინმეს უნდა შეესრულებინა ჩემი რომანსი, მას ვთხოვე, მოსულიყო და ემღერა. კონცერტს უსმენდნენ ანტონ ბალანჩივაძე, გრიგოლ კილაძე, იონა ტუსკია. ისე შეასრულა რომანსი, რომ ატყდა ერთი ამბავი, ეს ვინ მოიყვანე, აქამდე სად იყო! მე ვიღას ვახსოვდი, ყველა ზურიკოზე ლაპარაკობდა. იმ დღიდან დაიწყო მისი კარიერა.

კონსერვატორია რომ დავემთავრე, ფილარმონიის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ღორიან კიტიამ დამიძახა თავისთან... მერე მიშა თუმანიშვილმა გამაფორმებინა მუსიკალურად „ჭინჭრაქა“... ამ სპექტაკლზეც დიდი ამბავი ატყდა, ყველას მოსწონდა. სპექტაკლს სპექტაკლი მოჰყვა. მუსიკალურად გააფორმე „ამბავი სიყვარულისა“, „თეთრი ბაირაღები“... და

ნოდარ გაბუნია, ჯანსუღ კახიძე და ბიძინა კვერნაძე





ბიძინა კველაშვილი და რევაზ ლოლაძე

მერე კიდევ რამდენი! ასე წავიდა საქმე წინ...

არაჩვეულებრივი მეგობრები მყავდა, ისინი რომ აღარ არიან, ჩემი გული თან წაიღეს...

რეზო ლალიძესთან ერთად ვყოფილვარ სათევზაოდ. ეგეთი არაფერი მინახავს, ბადეს კბილით იჭერდა ხოლმე... არადა, იმსიძიძე ბადის დაჭერა კაცს ორივე ხელით გაუჭირდებოდა... იაშა ბობოხიძესთან ერთად სანადიროდ დავდიოდი. იაშაც მოვლენა იყო... ერთხელ ართანაში წამიყვანა. იქიდან სანადიროდ უნდა წავსულიყავით. ჩამაცვეს მანქანის საბურავისგან შეკერილი რეზინის ფეხსაცმელი, ავიღეთ იარაღი, „სამასვალი“ მოიყვანეს და იმაზე დაესხედით. მივედით რაღაც ადგილამდე და ჩავიდეთო... აქ რა გვინდა-მეთქი, აქედან ფეხით წავიდეთო... დაფადეკით გზას. თან გვანლდნენ ართანელი მონადირეები, რომლებიც მთელი სერიოზულობით მიყვებოდნენ, როგორ წართვა ერთ-ერთ მათგანს „ტელეგრაფიკა“ დათვმა... ვუუბნებოდი, რას ამბობ, კაცო, დათვს რად უნდოდა შენი ტელეგრაფიკა-მეთქი... რა ექნა, დათვმა წამართვაო და...

სანადიროდ კი ვყოფილვარ, მაგრამ არასოდეს არაფერი მომიკლავს... ერთხელ ტახი გამოვარდა, ესროლეო, იაშამ. ბიჭო, როგორ ვესროლო, სიკვდილის წინ ტირიან-მეთქი...

ესროლეს სხვებმა და მოკლეს... იმ ტახის ხორცს რა მაჭმევდა...

სხვა დროს კი დათვი გამოვიდა ჩვენკენ. კაცივით მოდიოდა, ან იმას როგორ ვესროდი! სხვებმა ესროლეს. რომ დაიჭრა, თათი ისე მიიღო ნატყვიარზე, როგორც ადამიანმა. ის ჟაკანი შინ მაქვს შენახული და არც ის დათვი მავიწყდება. ძალიან მგრძობიარე ვარ.

ერთხელ მე, იაშა ბობოხიძე და პიერ კო-

ბახიძე რესტორანში ვიყავით რეზო ლალიძესთან ერთად. რეზო ამბობდა: ისეთი აზარტული ვარ, ტყეში მამაჩემი რომ შემხვდეს, შეიძლება იმას ვესროლო... პიერმა მითხრა: — შენ ამას ტყეში არ გაჰყვე, ისეთი გვარი გაქვს, ნამდვილად გესვრისო.

ჩემი მეგობარი იყო პეტრე ბაგრატიონი — უნიჭიერესი კაცი... ზოგჯერ ისე იქცეოდა, იფიქრებდი, გიჟიაო... ვუუბნებოდი, აფერისტი ხარ-მეთქი... რა ექნა, რაღაცნაირად ხომ უნდა გადაერჩინა თავი რეპრესიისგან. ერთხელ ნასვამები მოუდიოდათ საიდანღაც. პეტრემ გვითხრა, წამოდით მამაჩემის საფლავზეო. წავვიყვანა სვეტიცხოველში. ტაძარში ხელმოჭრილი კაცი იყო ყარაულად. უსიტყვოდ გაგვიღო კარი შუალამისას, რომ გაიგო, მეფის შთამომავალი მიდიოდა მამის საფლავზე. ვხედავთ, საფლავებს დიდი ქვები ადევს წარწერით. პეტრემ მამის საფლავი დაგვანახა... შავი მარმარილოს პატარა დაფა იყო. გამედიმა: ეს „ზაფიგალკის“ ქვა რამ დაგადებინათ-მეთქი... იმ ცალხელა კაცმა რომ გაიგონა, გაგვიბრაზდა, ახლავე წადით აქედანო, გამოგვრეკა.

მასსოვს პეტრეს მებრძოლი მამალი... გვეშინოდა იმ მამლის, ძალღვივით გლეჯდა ხალხს. მეზობლის ქათმებს ჭამდა... ერთხელ ერთი პოლკოვნიკი შესულა პეტრესთან, ეცა თურმე მხრებზე და პაგონები ააგლიჯა, „ჩამოაქვეითა“... პაგონიან ხალხს განსაკუთრებით ვერ იტანდა, ბაგრატიონის მამალი იყო და ასე გამოხატავდა პროტესტს. პეტრეს ერთი ძმაცაქი ჰყავდა, ფერებით წააქცია მამალი და დაკლა როგორც იქნა. მერე ვყებოდა, მღუღარე წყალში რომ ჩავაგდეო, ამოხტა და პეტრეს უთხრა, — ვის კლავთ, თქვენნი დედა ვაჭირეო... მერე ქვაბში ჩავდეო და ნოემბერში რომ ცეცხლზე დავადგიო, დეკემბრის ბოლოს იყო მზადო. ასე იყო მამამადლი მამლის ამბავი.

ჩემს ზუმრობებზე ლაპარაკობენ? რა ვიცი, აბა... მე ჩვეულებრივად ვიტყვოდი რამეს და აიტაცებდნენ მოულოდნელად... რეზო ლალიძე რომ გარდაიცვალა, ეზოში ვიდექით ეროსი მანჯგალამე, რობიკო სტურუა, ნოდარ დუმბაძე, რამაზ ჩხიკავაძე... უცაბედად ათი შავი „ვოლგა“ შემოვიდა. რობიკომ იკითხა, რა მოხდაო. ვუთხარი, არაფერი, მომავდნენ-მეთქი. უბრალოდ ვთქვი, ესენი კიდევ გადაიარევენ, ეს რა თქვიო. ატყეხს სიცილი. ასე იცოდნენ. მე უბრალოდ, სერიოზულად ვიტყვოდი რამეს და ესენი იცინოდნენ...

თუ დაუუბარებთარ ვინმეს ცეკაში? როგორ

არა! ერთხელ იმისთვის დამიბარეს, გინდა თუ არა, ოპერა დაწერო. ვუპასუხე: ლიბრეტო არ არის და როგორ დაწერო-მეთქი... „აბესალომ და ეთერი“ ხომ ოპერა არის, ლიბრეტო ხომ აქვსო? აქვს-მეთქი. მერე რაღას უყურებთ, აიღეთ ვე ლიბრეტო და ახალი ოპერა დაწერეთო. ახლა ღიმილით კი გიყვებით, მაგრამ მაშინ არ მედიმებოდა. ასეთები უნდა მოგესმინა სერიოზული სახით და სერიოზული პასუხი გაგეცა. საფრთხილო საქმე იყო...

მიწა ძალიან მიყვარს, იმდენად, რომ კავთისხეში ნაკვეთი ვიყიდე. ბევრჯერ ფეხშიშველიც დავდივარ იქ.

ბევრი სპექტაკლი გამიფორმებია მუსიკალურად, დამიწერია სიმღერები ფილმებისთვის. ერთ ფილმში საჭირო იყო ქურდი კაცის სიმღერა დამეწერა... მეც დავწერე პეტრე გრუზინსკის ლექსზე „ასეთია ქურდი კაცის ბედი“. მაშინ ვერც წარმოვიდგენდი, რომ ამ სიმღერას ასე აიტაცებდნენ. არ დაიძრა მთელი კრიმინალური სამყარო ჩვენკენ!.. მოდიოლდნენ ჩემთან ავტორიტეტები, ატანდნენ მოსაკითხს... რამდენჯერმე მოსულან და უთქვამთ, თქვენ ოღონდ გვითხარით და თუ ვინმე მოსაკლავია, დღესვე მოკვდებო... არავინ მყავს მოსაკლავი და მე ხომ არ მომკლავთ-მეთქი, — ვპასუხობდი. ხან დამეც მოსულან ჩემთან... ახლა ამ სიმღერის გამო მგონი ძლივს გადავრჩი აკრძალვას. თვითონ სიმღერა კი აუკრძალავთ... აკრძალონ, რა ვქნა. როგორიც ვარ, ეგეთი ვარ, ახლა რაც უნდა თქვან ჩემზე, ვერაფერს დამაკლებენ.

თანდათან მაკლდება ახლობლები, და აღარა მყავს... საბედნიეროდ, ძმა მყავს ერთი, მა-

მით ერთნი ვართ. მართალია, კვერნაძე არ არის, დედის გვარზეა — ირიკო ევლოშვილი... ორი შვილი მყავს. ვაჟი მხატვარია, გოგონა — ფილოლოგი. შვილებს თავისუფლად ვზრდიდი, სამი შვილიშვილი მყავს...

სვედიანი ვარ?... ახლა ასაკის გამო კი არ გაუხდი სვედიანი, ყოველთვის სვედიანი ვიყავი. ერთხელ მულტფილმისთვის მუსიკის დაწერა მოხოვეს. მოუსმინეს და ეს რა სვედიანია, ჩვენ თქვენნი იუძორი გვინდაო... იუძორი კარგია, მაგრამ ეგრე სად არი... სვედა უფრო მეტია ცხოვრებაში.

ყველაზე დიდი შიში ამ ზაფხულისდელი მახსოვს... აგვისტოს ომმა უდიდესი ტკივილი მომაყენა.

მეგობრები შემმიცირდნენ, ბევრი აღარ არის ამქვეყნად. ამაზე ლაპარაკი მიჭირს. ეროსისთან დიდი მეგობრობა მაკავშირებდა, მაგრამ წიგნი რომ გამოდიოდა და წერილის დაწერა მოხოვეს, ვერ დავწერე, ვერ შევეძელი. ჩემი განცდა მართო ჩემში რჩება, ვერ გადმოვცემთ ვერანაირად.

რა მენატრება? მენატრება ქართულ სოფელში გასვლა, ბრძენი გლეხის მოსმენა. იცი, ქართველი გლეხი ჩემთვის თავისებური მუსიკაა, ისე როგორც ყველაფერი ჩემ ირგვლივ. სამყაროს კარგად უნდა დაუგდო ყური და გამოკენკო იქიდან შენი მუსიკა.

P.S. ახლა როცა ბიძინა კვერნაძე ცოცხალი აღარ არის, კიდევ ერთხელ ვკითხულობ მის მონათხრობს და მუსიკად მესმის: იუძორის მსუბუქი საფარველით შებურულ, მაგრამ მაინც სვედიან მუსიკად...

ლელა ზიჩაშვილი

დედა მუსიკოსი იყო. თურმე სულ ოცნებობდა, კომპოზიტორი გაემხდარიყო. მე არ მახსოვს დედა...





„ცალ-ცალი კალოზიდან“ მსოფლიო ბიზნესიგაპერიაში

როგორ იქცნენ მექანადლეები და
მერეზინაები ელექტროტექნიკის ლიდერებად

„ნოკიას“ ისტორიას გასული საუკუნის
ყველაზე საოცარ ზღაპარს უწოდებენ.
80-იან წლებამდე ამ ფინურ
კონგლომერატს ფიჭურ
კაეშირგაბმულობასთან საერთო
არაფერი ჰქონია. ალბათ ცოტამ თუ
იცის, რომ მაშინ „ნოკია“ ტელეფონის
ქადალდის წარმოებითა და საბჭოთა
კაეშირში მისი ექსპორტით იყო
დაკავებული. მეოცე ასწლეულის
მიწურულს კი კიდევ ერთი
მიმართულება აითვისა და ისეთ
პროფესიონალებს გაუტოლდა,
როგორებიც „ერიკსონი“ და
„მოტროლოა“. „ნოკია“
ტელეკომუნიკაციის სფეროში მსოფლიო
მნიშვნელობის კომპანიად იქცა.
ყველაფერი კი ასე დაიწყო...



ფრედერიკ
იდეტი

1865 წლის 12 მაისს ფინელმა სამთო ინჟინერმა ფრედერიკ იდესტმა მიიღო ხის მასალის საწარმოს მშენებლობის უფლება, რომელიც მდინარე ნოკიას მახლობლად უნდა გაშენებულიყო. ასე ჩაეყარა საფუძველი მომავალ „ნოკია კორპორეიშნს“. სწორედ ამ პერიოდზე მოდის მრეწველობის ძალიან მზარდი ტემპი. ინდუსტრიალიზაციის პირობებში ქაღალდსა და მუყაოზე მოთხოვნა ყოველდღიურად იზრდებოდა და მცირე ფაბრიკა-საწარმო მალე ქაღალდის კომბინატად გადაიქცა. თანდათანობით „ნოკიას“ კომბინატში დიდი რაოდენობით მუშახელი დასაქმდა და მიმდებარე ტერიტორიაზე სენია ქალაქიც გაშენდა. დროთა განმავლობაში საწარმო ქვეყნის მასშტაბებს გასცდა. „ნოკიას“ ქაღალდი თავდაპირველად რუსეთს მიეწოდებოდა, შემდეგ კი ინგლისში, საფრანგეთსა და ჩინეთშიც იგზავნებოდა. არადა, 1860-იან წლებში ფინეთში ქაღალდზე შიდა მოთხოვნა ადგილობრივ წარმოებას მნიშვნელოვნად აღემატებოდა და ნედლეული რუსეთიდან და შვეიცარიიდან შეჰქონდათ... „ნოკია კორპორეიშნი“ 1871 წლის თებერვალში ჩამოყალიბდა. ფირმამ დაიპყრო დანიის, გერმანიის, რუსეთის, ინგლისის, პოლონეთის, საფრანგეთის ბაზრები.

აშშ-ს 1830-იან წლებში „რეზინის ციებ-

ცხელება“ მოედო, რომლისგანაც ქვეყანა მალევე „განიკურნა“, ამან კი მრავალ ინვესტორს მილიონობით დოლარის ზარალი მოუტანა. გაკოტრების მიუხედავად, მოწყობილობების მწარმოებელი ფილადელფიელი ჩარლზ გუდიერი განაგრძობდა ექსპერიმენტებს რეზინის წარმოებაზე. 1839 წლის თებერვალში მან ვულკანიზაციის მოვლენა აღმოაჩინა. შემდეგ წყალგამძლე რეზინი შექმნა, რამაც ამ მასალის სხვადასხვა პირობებში გამოყენების შესაძლებლობა მისცა. 1898 წელს ფრენკ სეიბერლინგმა ჩამოაყალიბა ფირმა **Goodyear Tire and Rubber Company** და პირველი ქარხანა შეიძინა. ათი წლის შემდეგ **Goodyear**-ი მსოფლიოში უმსხვილეს რეზინის საწარმოს წარმოადგენდა...

ფინეთში რეზინისგან დამზადებული პროდუქტი XIX საუკუნის მიწურულს გამოჩნდა. თავდაპირველად ის ფუფუნების საგანს წარმოადგენდა, მაგრამ საწვიმარმა და კალოშებმა პოპულარობა ძალიან მალე მოიპოვა ქალაქადაც და სოფლადაც. რეზინის პროდუქცია არა მხოლოდ სამომხმარებლო, არამედ საწარმოო ბაზრისთვისაც აუცილებელი გახდა. ინდუსტრიალიზაციამ გაზარდა მოთხოვნა სხვადასხვაგვარ მოწყობილობაზე, შესაბამისად, გაიზარდა მოთხოვნილება რეზინ-

„ნოკიას“ კალოშებმა პოპულარობა მოიპოვა ქალაქადაც და სოფლადაც





ალბათ ცოტამ თუ იცის, რომ თანამედროვე კომუნიკაციების ეპოქამდე „ნოკია“ ტუალეტის ქაღალდსაც აწარმოებდა და საბჭოთა კავშირში შეჰქონდა ექსპორტით

ნის ნაწარმზეც. ფინეთში ძირითადი მწარმოებელი იყო Finnish Rubber Works (FRW). როცა FRW-ის ხელმძღვანელობამ საწარმოს ჰელსინკიდან გადატანა მოისურვა, ყურადღება ნოკიას ნაპირებზე შეაჩერა. ეს გადაწყვეტილება იმან განაპირობა, რომ „ნოკიასგან“ ელექტროენერგიას საკმაოდ შედავითიან ფასად ყიდულობდა – მდინარე არა მხოლოდ ლანდშაფტს ამშვენებდა, არამედ იაფი ელექ-

ტროენერგიის წყაროსაც წარმოადგენდა. 1912 წელს ჰელსინკის ცენტრში გაიხსნა კომპანია, რომელმაც მოგვიანებით მიიღო სახელწოდება Finnish Cable Works-ი. მზარდმა მოთხოვნამ ელექტროენერგიის გადაცემაზე, ასევე სატელეგრაფო და სატელეფონო ქსელების განვითარებამ კომპანიის სწრაფი ზრდა განაპირობა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფირმა პრაქტიკულად მონოპოლისტი გახდა და სადენების მწარმოებელ თითქმის ყველა ფირმას ფლობდა. 1920 წელს სამი ფირმა: Nokia Corporation-ი, Finnish Rubber Works-ი და Finnish Cable Works-ი ერთიანი ჯგუფის სახელწოდების — Nokia Group-ის ქვეშ გაერთიანდა. მართალია, Nokia-მ კორპორაციული ავტონომია დაკარგა, მაგრამ მისი სახელწოდება საერთო დასაყრდენად იქცა დანარჩენი ფირმებისთვისაც.

1920 წელს Nokia ყველა მიმართულებით ლიდერობდა. სწორედ დივერსიფიკაცია დაეხმარა ფირმას, თითქმის უშტკიფუნულოდ გადაეტანა ეკონომიკურად მძიმე პერიოდები. როცა ეკონომიკის ერთ სექტორს პრობლემები ჰქონდა, Nokia სიცოცხლისუნარიანობას სხვა სფეროთა ხარჯზე ინარჩუნებდა.

XX საუკუნის 60-იან წლებში სამი საწარმოს გაერთიანება საბოლოოდ დასრულდა. Oy Nokia Ab-ი წარმოადგენდა საწარმოო კონგლომერატს, რომელიც ოთხი ახალი მიმართულებით მუშაობდა: სატყეო, რეზინის, სადენებისა და ელექტრონული ტექნიკის წარმოება. ყველაზე დიდი შემოსავალი სადენების წარმოებას მოჰქონდა. 60-იან წლებში Finnish Cable Works-ის პრეზიდენტმა ვესტერლუნდმა ტექნიკური ინოვაციების განყოფილება შექმნა. პერსონალის ძირითადი ბირთვი უნივერსიტეტებისა და კოლეჯების თანამშრომლებისგან შედგებოდა. განყოფილების ხელმძღვანელ კურტ ვიკსტედს კარგად ესმოდა ელექტრონული კავშირის პერსპექტივები. 1963 წელს შეიქმნა პირველი რადიოტელეფონი, 1965 წელს — მონაცემთა გადამცემა მოდემი. იმ დროს სატელეფონო სადგურების უმრავლესობას ელექტრომექანიკური კომუტატორული მოწყობილობა ჰქონდა და არავის მოსვლია აზრად, ეს მოწყობილობა „ციფერულ“ სისტემაზე გადაეყვანა. Nokia-მ ციფრული კომუტატორის შემუშავება დაიწყო და 1969 წელს პირველმა გამოუშვა ხელსაწყო, რომელიც სატელეგრაფო და სატელეფონო საერთაშორისო საკონსულტაციო კომიტეტის

სტანდარტებს პასუხობდა. ციფრულ სატელეკომუნიკაციო სტანდარტზე გადასვლა მნიშვნელოვანი და სტრატეგიული ნაბიჯი იყო. 70-იან წლებში გამოშვებული კომპუტატორი DX 200 მეტად პოპულარული აღმოჩნდა.

საკანონმდებლო ცვლილებით, შვედეთში ნებადართული გახდა ავტომობილებში მობილური ტელეფონების დამონტაჟება და საერთო ქსელში ჩართვა. ამ გარემოებამ Nokia ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა და 1981 წელს შეიქმნა მობილური ქსელი, რომელიც შვედეთსა და ფინეთს ფარავდა. მას Nordic Mobile Telephony (NMT) ეწოდებოდა. მოგვიანებით მას სხვა ქვეყნებიც შეუერთდნენ. სისტემა თავიდან ბოლომდე „ნოკიას“ ტექნოლოგიებს ეფუძნებოდა. ამას მობილური ტელეფონების ინდუსტრიის სწრაფი განვითარება მოჰყვა. 1987 წელს, როცა მობილური ტელეფონები საკმაოდ ძვირი და დიდი ზომის იყო, „ნოკიამ“ ერთ-ერთი ყველაზე მსუბუქი აპარატი გამოუშვა. ამან კი კომპანიას ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პოზიცია მოუტანა, რომელიც დღემდე არ დაუთმია. პირველი „ხელის“ GSM-ტელეფონი Nokia 1011 გამოუშვეს 1992 წელს. ხოლო 1998 წელს კომპანია მობილური ტელეფონების წარმოების ლიდერი იყო.

ფინეთი განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა, „ნოკიას“ მდგომარეობა კი უჩვეულოა იმ თვალსაზრისით, რომ მისი კაპიტალიზაცია თითქმის უტოლდება საფონდო ბირჟებზე წარმოდგენილი ყველა ფინური ფირმის ჯამური კაპიტალიზაციის ნახევარს. აპრილის დასაწყისში ის \$32,84 მილიარდს შეადგენდა.

მამული ნოკიას სახელწოდებით ცნობილია 1270 წლიდან, თუმცა პირველი დოკუმენტი, სადაც ის მოხსენიებულია, 1505 წლით თარიღდება. მდინარის გარდა, ტამპერედან 15 კილომეტრში პატარა ქალაქსაც ნოკია ჰქვია.

ადგილმდებარეობის დასახელება, როგორც მიხნეულია, მომდინარეობს ძველი ფინური სიტყვიდან nois (მრავლ. nokia), რაც შავ სიასამურს ნიშნავდა. ერთ დროს ეს ძვირფასბეწვიანი ცხოველი იმ ადგილებში ბინადრობდა. როცა სიასამურები გაქრნენ, ამ სიტყვით უკვე აღინიშნებოდა ნებისმიერი ცხოველი შავი ბეწვით, მაგალითად, კვერნა...

მოამზადა ანა ჟორჯოლიანმა



„ნოკიას“ მარკის საბურავების რეკლამა





ოსპი

უძველესი ოსპის წვნიანი საქართველოში დღესაც „მოდანია“...

ქართული ტრადიციული კერძების ისტორია ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელია. დღეს ბევრი ისეთი კერძია მიჩნეული ქართული ტრადიციული კულინარიის ნიმუშად, რომელიც ჩვენს სუფრაზე ბოლო საუკუნეების განმავლობაში, მეზობელი სახელმწიფოების გასტრონომიის გავლენით შემოვიდა. მაგალითად, ყაურმა, ქაბაბი და ბოზბაში ქართული ტრადიციული კერძები სულაც არ გახლავთ. მაგრამ გულს ნუ გავიტეხთ, თავმოსაწონიც ბევრი გვაქვს. ჩვენში უძველესი დროიდან მოდის ლუდის ხარშვის ტრადიცია, სხვადასხვა ფხალეული კერძები და უგემრიელესი შეჭამანდები...

ერთ-ერთი უძველესი ქართული კერძი ოსპის წვნიანია. ამ პარკოსანი მცენარის შესახებ პირველი ცნობები დაბადების ქართულ თარგმანში გვხვდება. შუა საუკუნეებში ოსპი საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული და მისგან მომზადებული წვნიანი ერთ-ერთ ძირითად კერძად ითვლებოდა. ოსპის შეჭამანდი უძველესი დროიდანაა ცნობილი ხმელთაშუა ზღვის ხალხებში. არქეოლოგებმა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ეგვიპტეში, XII დინასტიის სამარხში ჩატანებულ საკვებ პრო-

დუქტთა შორის ოსპიც აღმოაჩინეს. საქართველოში ოსპი ძირითადად თიანეთში, არაგვისა და ქსნის ხეობაში მოჰყავდათ. შიდა ქართლსა და ჯავახეთშიც თესავდნენ ოსპს. მოგვიანებით, როდესაც საქართველოში ლობიოს კულტურა შემოვიდა, ოსპის მოყვანას ბევრმა დაანება თავი, რადგან ახალი პარკოსანი კულტურა უფრო მოსავლიანი, მსხვილმარცვლიანი და მოსავლელად იოლი აღმოჩნდა. მართალია მცირე რაოდენობით, მაგრამ

ოსპი დღესაც მოჰყავთ ახალქალაქის, თიანეთისა და ღუშეთის რაიონში. იქაური დიასახლისები ახლაც ხარშავენ ოსპისგან უგემრიელეს წვნიანს. მეტიც, ოსპის კერძები, სიძველის მიუხედავად, განახლებული და მრავალფეროვანი სახით რამდენიმე ქართული რესტორნის მენიუსაც ამშვენებს და „მოდურადაც“ ითვლება.

ზიორგი ბოცირიძე (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი): „ოდითგანვე საქართველოში დაახლოებით 50 სახეობის პარკოსანი მცენარე მოჰყავდათ: ხანჭკოლა, სოიო, მუხუღო, ოსპი და სხვ. შემდეგ კი პარკოსანთა შორის მთავარი ადგილი ლობიომ დაიკავა. უწინ სოიოსგან პურებსაც აცხობდნენ. სოიოც და ოსპიც ძალზე სასარგებლო შემცველობით გამოირჩევა. იმდენ ცილას შეიცავს, რომ სოიოსა და ოსპის შეჭამანდის შემდეგ კაცი ხორცს აღარც ეკარებოდა.

ოსპისგან ძირითადად წვნიანს ამზადებდნენ, თუმცა პარკოსნებისგან ზეთსაც ხდიდნენ. ზოგადად, კოლხეთის დაბლობისა და საქართველოს ბიოეკოლოგიური მდგომარეობა იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ქართველებს თავისი თავი ერჩინათ და არ სჭირდებოდათ მაგალითად ხორბლის შემოტანა სხვა ქვეყნებიდან. არც ერთი წერილობითი წყარო არ მოგვეპოვება, სადაც ამოვიკითხავთ, რომ საქართველოში ხორბალი სხვა ქვეყნებიდან შემოდიოდა. პირიქით, უცხო სახელმწიფოებიდან მოდიოდნენ საქართველოში სხვადასხვა კულტურის გასატანად. არგონავტებიც კი საქართველოში სელის მოსაპოვებლად მოდიოდნენ. სელის კულტურა კარგად იყო განვითარებული ჩვენთან. განთქმული იყო სელის ზეთი, მისგან ქსოვილსაც ამზადებდნენ. ცნობილია, რომ თავად არგონავტებსაც ტანთ სელის კიტონები ეცვათ. საქართველოში სელისგან ქუნელს ამზადებდნენ. ეს იყო ძალზე ნოყიერი საკვები. მისი ნაირსახეობა ქართლში დღემდე შემორჩენილი, ოღონდ ხორბლის ფქვილითა და ცხიმით მზადდება.

— ოსპის შეჭამანდს როგორ ამზადებდნენ ძველად?

— ოსპი ისევე დიდხანს იხარშება, როგორც მუხუღოს მარცვალი. ხანგრძლივი ხარშვის შემდეგ ოსპის მარცვალი რბილდება, ფუკდება, წვენი კი სისქეს იძენს, ამიტომ ოსპის შეჭამანდს ფქვილი შესასქელებლად არ სჭირდება. კარგად მოხარშულ ოსპს ცხიმში დადალული ხახვითა და მწვანელით შეაგემებ-





დნენ. ასევე ამზადებდნენ შეჭამანდს მუხულოსა და სოიოსგან.

— რაში იხარშებოდა ოსპის შეჭამანდი?

— არქეოლოგიური აღმოჩენებით დასტურდება, რომ ჩვენი კერამიკული წარმოება მაღალ დონეზე იყო განვითარებული. ჩვენი კერამიკული ნაწარმი სისადავით გამოირჩეოდა. ზოგჯერ მთელი დღის განმავლობაში ხარშავდნენ აგიზგიზებულ ცეცხლზე თიხის ქოთანში პარკოსნებს. სხვათა შორის, თიხის ჭურჭელში საკვები დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებს კარგ გემოს. მოგვიანებით ოსპს სპილენძის ქვაბებშიც ხარშავდნენ.

ჩვენთანაც, ისევე როგორც ბევრ ხალხში, თავიდან საკვები ღია ცეცხლზე მზადდებოდა. ამას ღია კერას უწოდებდნენ. საშხადი პატარა სახლები, სადაც ღია ცეცხლზე ხარშავდნენ კერძებს, დასავლეთ საქართველოში ბევრგან დღემდე შემორჩა. ამ სახლებში კარდალას ჩამოკიდებდნენ და მთელი დღის განმავლობაში ენთო ცეცხლი. ამასობაში ჭურზე დაკიდებული ღორი იბოლებოდა და წიწილებიც გამოიზამთრებდნენ ხოლმე. თავდაპირველად ოსპიც ღია ცეცხლზე იხარშებოდა, შემდეგ კი ბუხარსა და ღუმელზე“.

ოსპის შესახებ ისტორიული ცნობების გარდა, მისი დაგემოვნების შესაძლებლობაც გქონდეთ, ოსპის შეჭამანდის რამდენიმე თანამედროვე რეცეპტს შემოგთავაზებთ.

ოსპის შუჭამანდი

- ოსპი — 250 გ
- ხახვი — 1 თავი
- ნიორი — 2 კბილი
- მწვანელი (ქინძი, ოხრახუში, კამა) — მოზრდილი კონები
- წიწაკა

ოსპი კარგად გარეცხეთ, ჩაყარეთ ცივ წყალში (250 გ ოსპი 750 მლ წყალზე). როცა მოიხარშება, დაუმატეთ ხახვი, ნიორი, ქინძი, ოხრახუში, კამა, მარილი და წიწაკა გემოვნებით. ამის შემდეგ წვნიანი კიდევ ათი წუთის განმავლობაში იხარშება.

ოსპი წითელი ღვინით

- ოსპი — 250 გ
- წითელი ღვინო — 3/4 ლიტრი
- ხორცის ბულიონი — 3/4 ლიტრი
- ღორის მჭლე ხორცი — 100 გ
- ხახვი — 2 დიდი თავი
- კარტოფილი — 250 გ
- სტაფილო — 1-2 ძირი
- დაფნა — 1-2 ფოთოლი
- ნაღები — 100 მლ

ოსპი გადაარჩიეთ, გარეცხეთ და დაასხით წითელი ღვინო ღამის განმავლობაში დასალბობად. მეორე დღეს დაჭერით ოთხკუთხედ ნაჭრებად ღორის ხორცი (სასურველია მკერდის ნაჭერი), შეწვით ტაფაზე, დაუმატეთ დაჭრილი ხახვი და შებრაწეთ ოქროსფრად. დამბალ ოსპს დაასხით ბულიონი, დაუმატეთ ხახვი, ხორცი, დაფნის ფოთოლი და ხარშეთ ნელ ცეცხლზე ერთი საათის განმავლობაში. შემდეგ დაამატეთ ასევე ოთხკუთხედებად დაჭრილი კარტოფილი და სტაფილო. როცა შეჭამანდი მზად იქნება, დაუმატეთ ცოტაოდენი შაქარი, გემოვნებით მარილი, წიწაკა და ნაღები. სუფრაზე მიტანის წინ წამოადუღეთ.

ოსპის მარტივი შუჭამანდი

ოსპი დაალბეთ წყალში 3-6 საათის განმავლობაში, მოხარშეთ, დაუმატეთ ზეთში მოშუშული ხახვი, მდოგვი, ნიორი, მარილი.

მიიღე მონაწილეობა გამოკითხვაში და დასაჩუქრდი „ბიბლუსის“ დაბროვებითი ბარათით!

ძვირფასო მკითხველო!

„ისტორიანი“ სულ ხუთიოდე თვეს ითვლის, მაგრამ **მკითხველის** საკმაოდ დიდი ყურადღება უკვე დაიმსახურა. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება სრულფასოვანი გახდეს ჩვენი გამოცემა და ამისთვის თქვენი დახმარება გვჭირდება — ერთად გავხადოთ უკეთესი.

გთხოვთ შეაესოთ ქვემოთ მოცემული ანკეტა და გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“, „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთების საშუალებით (*ყუთების ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ*) ან დარეკოთ რედაქციაში ნომერზე 377-533, ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით და ოპერატორს თქვენი პასუხები ჩააწერინოთ.

ერთგულ მკითხველებს გთავაზობთ საჩუქარს — პირველი ასი რესპონდენტი, მედიაპალიტრისგან მიიღებს „ბიბლუსის“ დაგროვებით ბარათს.

გისურვებთ წარმატებებს!

გთხოვთ, გადახაზოთ შესაბამისი უჯრა

1. თქვენი ასაკი

- | | |
|------------------------------------|--|
| <input type="checkbox"/> 18 წლამდე | <input type="checkbox"/> 45-59 |
| <input type="checkbox"/> 18-24 | <input type="checkbox"/> 60-69 |
| <input type="checkbox"/> 25-44 | <input type="checkbox"/> 70 წელზე მეტი |

2. სქესი

- ქალი მამაკაცი

3. განათლება

- არასრული საშუალო
 საშუალო
 არასრული უმაღლესი
 უმაღლესი
 უმაღლესი სამეცნიერო ხარისხით

4. ხართ თუ არა დასაქმებული?

- დიახ
 არა

5. დაახლოებით რამდენ ლარს შეაღებენ თქვენი ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი?

- | | |
|--|--|
| <input type="checkbox"/> 200 ლარამდე | <input type="checkbox"/> 1001-1500 ლარი |
| <input type="checkbox"/> 201-500 ლარი | <input type="checkbox"/> 1500 ლარზე მეტი |
| <input type="checkbox"/> 501-1000 ლარი | |

6. ყველაზე მეტად როგორი მასალა დაგამახსოვრდათ „ისტორიანში“?

7. როგორი ისტორიული ნაწარმოებების გამოცემას ისურვებდით შურნალ „ისტორიანთან“ ერთად?

1. _____
2. _____
3. _____

8. „ისტორიანის“ გარდა როგორ გაეზიარებთ/შურნალავს კითხულობთ სიტყვატურად?

1. _____
2. _____
3. _____

9. თქვენი რჩევები, სურვილები, შენიშვნები „ისტორიანს“

10. თქვენი გვარი, სახელი, საკონტაქტო ტელეფონი

ქალაქი, რაიონი _____

„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქილაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ზამურის, სურამი, ზესტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ზობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ზონი, ბანძა, თერჯოლა, ტყებულა, ამბროლაური, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თულავი, ახმეტა, დედოფლისწყვარო, ფაზბეგი, თიანეთი, კანჯეთი.

„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.

შურნალავს! „კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით ©

დიდი მადლობა თანამშრომლობისთვის

დავით მაღრაძე:

„მათიშვილია მათი ჩართვა ადამიანი, თუ სამშობლოს ისტორია ბანდოლი აქვს, ხომოხს სახეთაში სანიხი თივბანასანი“

ამბობს, რომ წიგნს საოცარი გაცნობები მოაქვს. ბავშვობიდანვე აქტიური მკითხველი იყო, ოჯახში კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდათ, წასაკითხ ნაწარმოებებს უფროსები ურჩევდნენ, ისტორიული ჟანრის ლიტერატურას ხშირად ეცნობა. გული სტკევა, რომ მისი მოსწავლეობის დროს, სკოლაში საქართველოს ისტორია საინტერესოდ არ ისწავლებოდა. მაშინ საბჭოთა კავშირი იყო და საქართველოს ისტორიას საჭირო საათებს არ უთმობდნენ. ეს დანაკლისი მოგვიანებით სხვადასხვა ლიტერატურის გაცნობით შეივსო. „ერუდიტის“ სტუმარი პოეტი ღამით მაღრაძე გახლავთ.

■ ბატონო დავით, რატომ არის სამშობლოს ისტორიის ცოდნა საჭირო?

— მოქალაქედ და მამულიშვილად მაშინ ჩათვლება ადამიანი, თუ სამშობლოს ისტორია გაცნობილი აქვს, როგორც საკუთარი სულიერი თავგადასავალი, მეხსიერებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. რას ემეკვიდრები სულიერად — ეს შენი არჩევანია. სულიერებას, ზნეობრივ ღირებულებებს უნდა ვემეკვიდროთ. მე სულ მგონია, რომ კულტურის ისტორია არის თავშეკავების ისტორია. როგორ ღირებულებებს ემსახურება საზოგადოება, ამის მიხედვით იხატება ერის სახე და ხასიათი...

■ ამ ქრისტიანულ სიწმინდეზე „ისტორიანის“ წინა ნომერში საინტერესო სტატია დაიბეჭდა. პირველი კითხვა სწორედ ამ სტატიის მიხედვით შევადგინე.

— სამწუხაროდ, ეს ყურნალი ჯერ არ მინახავს, მაგრამ მისი ქება ბევრი ისეთი ადამიანისგან მოვისმინე, რომლის აზრიც ჩემთვის მნიშვნელოვანია. აბა, ყურადღებით გისმენთ.

■ იტალიის ერთ-ერთი ქალაქის საკათედრო ტაძარში, ქრისტიანული სამყაროს უდიდესი სიწმინდე ინახება. თანამედროვე ღვთისმეტყველები მას „მეზოეთ სახარებას“ უწოდებენ. გადმოცემის თანახმად, ის თავდაპირველად წმინდა პეტრე მოციქულთან ინახებოდა. ქრისტიანობის დღენის დროს მას მალაფდნენ,

რადგან იუდეველები და რომაელები ქრისტიანული რელიგიის განადგურებას ცდილობდნენ. დაასახელოთ, რომელ სიწმინდეზეა ლაპარაკი?

— ტურინის სუდარაზე, რომელშიც მაცხოვარი გარდაცვალების შემდეგ გაახვიეს. ცნობილია, რომ ერთხელ ტაძარში ცეცხლიც გაჩნდა, მაგრამ სუდარა გადარჩა, იტალიაში არაერთი სიწმინდე ინახება. სამსჯვალეები, რომლითაც უფლის ჯვარცმა მოხდა, თავად მაქვს ნანახი. ტურინის სუდარის მეცნიერული გამოკვლევის დროს ძაფი გამოაძვრეს და შეისწავლეს. არ დადასტურდა, რომ ეს ქსოვილი ქრისტეს დროინდელი იყო. მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს ძაფი შემდეგ გადაქსოვილი ნაწილიდან იყო აღებული, რამაც მეცნიერები შეცდომაში შეიყვანა, საბოლოოდ დადგინდა, რომ ქსოვილი ქრისტეს ცხოვრების ხანას ზუსტად ემთხვევა.

■ 1978 წელს საბჭოთა საქართველოში მორიგი კონსტიტუცია უნდა მიეღოთ. თითქოს ამაში არაჩვეულებრივი არაფერი იყო, მაგრამ ამ ფაქტმა ქართველთა აღშფოთება გამოიწვია. საპროტესტო აქციების გამართვის მიზეზი რა იყო?

— ქართული ენა სახელმწიფო ენის სტატუსს კარგავდა. ეს დღე კარგად მახსოვს, მაშინ მოსწავლე ვიყავი, აქციაზე რომ არ გავსულიყავით (არავინ იცოდა, იქ რა მოხდებო-



და), მასწავლებელმა კლასის კარები ჩაგვიკეტა. პირველ სართულზე ვიყავით, ფანჯრიდან გადავხედიეთ და მაინც წავედით. პირველ სკოლასთან რომ მივედით, იქ ვნახეთ, გოგონებს თუთრ წინსაფრებზე „აი ია“ ეწერათ. ასე შემორჩა ეს დღე ჩემს მეხსიერებას.

■ „ცოტნე გმირია, / დიდებული გმირი... ოღონდაც / თუ ვაჟკაცი ვართ, / ნუ ვადიდებთ მართოდენ ცოტნეს, / ვახსენოთ სახედადრეჯილი ლომი მონღოლიც, / გმირობისა და ვაჟკაცობის უბადლო მცოდნე“... — ამ ლექსს „ქართველების გასაგონად“ ჰქვია. ვინ არის მისი ავტორი?

— შოთა ნიშნინიძე.

■ ტროას ომში ვინ იყო ბერძენთა ლაშქრის სარდალი?

— აგამემნონი.

■ რას ნიშნავდა შუა საუკუნეების საქართველოში ზედწოდება ალასტნელი?

— არ ვიცი.

■ უფლისწულს. ალასტანი იყო ჯავახეთში უფლისწულთა აღსაზრდელი ცენტრი. პირველი იქ ლაშა-გიორგი აღიზარდა. რომელ მმართველს ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „თუ მე ამ ერის წინამძღოლად ამირჩევთ, ახალ, საყოველთაო წესრიგს დავამყარებ, რომელიც ათასწლეულებს გაუძლებს“.

— (ფიქრობს) თითქოს ვიცოდი, ძალიან მეცნობა, მაგრამ ვეღარ ვიხსენებ.

■ ადოლფ ჰიტლერს. რა იყო ფაშისტური გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წამოწყებული ომის გვემის კოდური სახელწოდება?

— „ბარბაროსა“.

■ მეფეთა ერთ ჯგუფში შედიან: ალექსანდრე მაკედონელი, იულიუს კეისარი, ნაპოლეონ ბონაპარტე, ერეკლე II. მეორე ჯგუფში — ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, პეტრე I. რა ნიშნის მიხედვით არიან დაჯგუფებული?



— გთხოვ, კითხვა გამიმეორეთ. *(გამეორების შემდეგ)* პირველ ჯგუფში ტანდაბალი მმართველები შედიან, მეორეში — ტანმაღალი. ამის გარდა კიდევ რა შეიძლება ვიფიქრო?

■ **ეს სწორი პასუხია. თუ იცით, რატომ ატარებდა ხშირად იულიუს კეისარი თავზე დაფნის გვირგვინს?**

— არა.

■ **სიქაჩლის დასაფარავად. რომელი მხედართმთავარი აარსებდა დაპყრობილ ტერიტორიებზე თავის მოსახელე ქალაქებს?**

— ალექსანდრე მაკედონელი.

■ **რომელმა ისტორიკოსმა აღწერა ვახტანგ გორგასლის ცხოვრება?**

— ჯუანშერმა.

■ **ძველ რომში, როცა კონსული თანამდებობას იბარებდა, ფიცს დებდა, რომ კანონებს კეთილსინდისიერად დაიცავდა. რას აკეთებდა ერთი წლის შემდეგ, როცა მისი თანამდებობიდან წასვლის დრო მოდიოდა?**

— ვერ გიპასუხებთ.

■ **ისევ ფიცს დებდა, რომ სიტყვა პირნათლად შეასრულა.**

— ეს მეთოდი ჩვენთანაც ხომ არ შემოგველო?

■ **გაამართლებდა?**

— არ მგონია, ტყუილზე დაფიცების არავის შერცხვება.

■ **ეს მოგზაური 1643 წელს პარიზში დაიბადა. 1671-1679 წლებში იმოგზაურა აღმოსავლეთის ქვეყნებში და დაწერა ვრცელი თხზულება „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“. თხზულების საკმაოდ დიდი ნაწილი საქართველოსაც შეეხება. წერილობით წყაროებიდან ამ ნაწარმოებშია პირველად მოხსენიებული ქალაქი ზუგდიდი. რომელ ვეროპელ მოგზაურზეა ლაპარაკი?**

— კასტელიოზე, არა?

■ **ცდებით.**

— უნდა დაფიქრდეთ და გიპასუხებთ *(პაუზის შემდეგ)*: შარდენი. სწორად ვამბობ?

■ **დიახ. საქართველოს რომელი მეფეა დარძალული ყუმში შაჰ-აბასის გვერდით?**

— როსტომი. ამ მეფემ მაჰმადიანობა მიიღო, მაგრამ როცა გარდაიცვალა, აღმოაჩინეს, რომ ჩუმად ჯვარს ატარებდა.

■ **ნათლობის გარდა, კიდევ როდის სცხებენ მირონს ადამიანს?**

— ზიარების დროს? არა, ვიცი, ეს სწორი პასუხი არ არის.

■ მიგანიშნებთ, ეს ყველა ადამიანის ხვედრი არ არის.

— დავიბენი.

■ მეფად კურთხევის დროს.

— მართალია, აქედან მოდის გამოთქმა მორიციხეებზე მეფე.

■ რომელ შშობლიურ ენაზე ლაპარაკობს ყველაზე მეტი ადამიანი მსოფლიოში?

— ჩინურზე.

■ ინგლისის მეფე რიჩარდ IV აქტიურად მონაწილეობდა ჯვაროსანთა III ლაშქრობაში, საფრანგეთის მეფე ფილიპე II-სთან ერთად დიდ წარმატებასაც მიაღწია. გასაოცარი შეუპოვრობისა და მამაცობის გამო რა უწოდეს მას მეტსახელად?

— ლომგული.

■ გადმოცემით, რომელიც „ქართლის ცხოვრებაშია“ დატული, ერთ-ერთი შემოსევის დროს, მდინარეების ნაპირზე დაბანაკებული არაბთა ლაშქარი წყალდიდობის მსხვერპლი გახდა. ერთმა მდინარემ არაბთა ჯარში მყოფი 23 000 აბაში (აბასინელი) წაღეკა, ხოლო მეორე მდინარემ 35 000 ცხენი დაახრჩო. რას უწოდებენ დღეს ამ მდინარეებს?

— ცხენისწყალს.

■ მეორეს — აბაშისწყალს. ვინ დააარსა პეტრიწონის მონასტერი და რომელ ქვეყანაში მდებარეობს დღეს იგი?

— გრიგოლ ბაკურიანის ძემ. ის ბიზანტიის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე იყო. მონასტერი ამჟამად ბულგარეთის ტერიტორიაზეა. მონასტრის ტიპიკონს აკაკი შანიძემ მიაკვლია, ამ ფაქტთან დაკავშირებით უწერია, ქართულმა ხელნაწერმა შემომცინაო.

■ 1138 წელს დემეტრე I-მა განდგომილი განძის ამირა დაიმორჩილა. რა მოიმოქმედა მეფემ გამარჯვების აღსანიშნავად?

— ქალაქს რკინის კარი ჩამოსხნა და ჩამოიტანა, უფრო სწორად, გელათის მონასტერს შეწირა. მერე ბერად აღიკვეცა, მას ეკუთვნის ცნობილი საგალობელი „შენ ხარ ვენახი“.

■ ვის მიუძღვნა იგი?

— საგალობელი ღვთისშობელს ეძღვნება.

■ 1952 წელს სოციალისტურ შეჯიბრში მეორე ადგილზე გასულ კოლმეურნეს ოქროს საათი აჩუქეს, რა აჩუქეს პირველ ადგილზე გასულს?

— (ოცინის) მგონი ლენინის სურათი.

■ იგი XIX საუკუნის საქართველოში ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე იყო. 1886 წელს გადააყენეს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშლის თანამდებობიდან, ხოლო 1887 წელს სტავროპოლში მოკლეს. მკვლელობის ორგანიზატორი ბრილიანტის ჯვრით დააჯილდოეს. რომელ ქართველ მოღვაწეზეა ლაპარაკი?

— დიმიტრი ყიფიანზე.

■ რომელი ლექსი უძღვნა მას აკაკი წერეთელმა?

— „განთიადი“.

■ „რუსეთისთვის კავკასიის პრობლემა ფაქტობრივად საქართველოს პრობლემაა, არ იქნება საქართველო, არ გვექნება კავკასიის პრობლემაც“. რომელ რუს გენერალს ეკუთვნის ეს სიტყვები?

— (ფიქრობს) ნაცნობი სიტყვებია, კავკასიის მთავარმმართველი იყო, გვარს ვეღარ ვიხსენებ.

■ მიგანიშნებთ, ის მთავარმმართველი 1817-1827 წლებში იყო, 1819-1820 წლების დასავლეთ საქართველოს აჯანყება სისხლში ჩაახშო, „აჯანყებულები კიდევ დიდხანს ვერ აღიდგენენ ადრინდელ მდგომარეობას, მათი სასჯელი უკიდურესი სიღარიბე იქნება“ — წერდა იგი.

— ერმოლოვი არ იყო?

■ დიახ. „ძველად თურმე, როცა მტრების უთვალავი ჯარები / მოდიოდნენ, რომ გაეღოთ საქართველოს კარები, / მამაკაცებს გვერდით ჰყავდათ, ვით ფოლადის ფარები / და მტრებს მათთან ერთად სცემდნენ / საქართველოს ქალები“... ლადო ასათიანის ამ ლექსში რომელი გმირი ქართველი ქალები არიან მოხსენიებული?

— „... ისე მტკიცე იყვნენ თურმე, ვით მეტეხის კედელი / გმირი თამარ ვაშლოველი და მაია წყნეთელი“. ამ ლექსში თინა წაუკისელიც არის მოხსენიებული.

■ საქართველოს რომელ მხარეს ეწოდებოდა ძველად თაკვერი?

— რაჭა-ლეჩხუმს.

■ დაასრულეთ ფრანკლინის ცნობილი გამოთქმა: „გამოცდილება ისეთი სკოლაა, სადაც ყოველი გაკვეთილი ძვირად გვიჯდება, მაგრამ მაინც კი ერთადერთი სკოლაა, სადაც უჭკუნიც...“

— „...კი ჭკუას სწავლობენ“.

„ირმების გადასახედი, კახეთი, ჩემი კახეთი!“

*ისტორიული ტურიზმით
დაინტერესებულ და მოგზაურობის
მოყვარულ მკითხველს ამჯერად
კახეთის სანახების ერთ ნაწილს
მოუატარებთ.
გაგაცნობთ ნინოწმინდის
განსაცვიფრებელ კომპლექსს; მანავის
ძველთაძველი ციხის ნანგრევებიდან
თვალს შეაფლავებთ ივრის უმშვენიერეს
ხეობას; ციგომბორის ქედზე შეფენილ
სიყვარულის ქალაქს — სიდნალსაც
ესტუმრებით; ბოდბეში, წმინდა ნინოს
მონასტრის ზილვით რომ დატკბებით,
მახლობლად წმინდანის ლოცვით
აღმოცენებულ წმინდა წყაროს
წყალშიც შეგიძლიათ განიბანოთ;
ბოლოს კი წმინდა სტეფანე ხირსელის
მონასტერში დაანთოთ აქვე
დამზადებული თაფლის სანთლები...*



„ნინოწმინდა — პალატები მეფითა...“

ნინოწმინდის კომპლექსი მდებარეობს საგარეჯოს რაიონში, სოფელ ნინოწმინდაში, თბილისიდან 50 კილომეტრის მანძილზე, მდინარე ივრის აუზში.

კომპლექსის მთავარი ნაგებობაა VI საუკუნის III მეთხედში აგებული ტაძარი. იგი არაერთხელ გადაუკეთებიათ IX-XI, XIII-XIV და XVI საუკუნეებში. კარბჭის წარწერიდან ვიგებთ, რომ 1671 წელს ტაძარი განუახლებია ნინოწმინდე ეპისკოპოსს — ნიკოლოზ ანდრონიკაშვილს.

საქართველოს გაქრისტიანების შემდგომ რამდენიმე მსხვილი სამღვდელმთავრო კათედრა არსებობდა, რომელთაც დასაბამი წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმამ დაუდო. ვახტანგის მიერ დაფუძნებულ ქართლის საკათალიკოსოში თორმეტი ახალი საეპისკოპოსო კათედრიდან ორი — ნინოწმინდა და ჭყერეში თანამედროვე საგარეჯო-ნინოწმინდის ეპარქიის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ნინოწმინდის საეპისკოპოსოს კათედრა — „უჯარმის კარი“ მეფის სასახლის კარის ეკლესია იყო, რომლის მწვემსმთავარი VI საუკუნის და-



საწყისში დვინის საეკლესიო კრებაზეც მოიხსენიებოდა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ნინოწმინდელ ეპისკოპოსს, საბა ტუსისშვილს განუახლებია ტაძარი. მისი აგებულია ასევე საეპისკოპოსო სასახლე, რომელიც იქვე, ტაძრის ეზოშია.

1824 წელს, მიწისძვრის დროს, კედლებმა ვეღარ გაუძლო და თალი და გუმბათი ჩამოინგრა. მოგვიანებით სხვა კედლებიც დაინგრა და დღეისთვის მხოლოდ საკურთხევის მხარეა შემორჩენილი. ტაძრის გვერდით დგას XVI საუკუნის კოშკი-სამრეკლო, რომელიც ხში-

რად მტრისგან იფარაუდა ხალხს. კომპლექსს ძველი დროიდან გარს ერტყა დიდი გალავანი, რომელიც კოშკებით იყო აღჭურვილი და ადგილობრივი მოსახლეობა თავს აფარებდა ომიანობის დროს.

მონასტერში მდიდარი წიგნსაცავი ყოფილა, რასაც მოწმობს ჩვენს დრომდე მოღწეული ხელნაწერები. აქ მოღვაწეობდნენ მწიგნობრები და პოეტები. მღვდელმთავრები: არსენ ნინოწმინდელი (X-XI სს.), მიტროფანე ნინოწმინდელი, იოანე ნინოწმინდელი (XVIII ს.), საბა ტუსისშვილი და სხვ.

XX საუკუნის ბოლოს სრულიად საქარ-



თველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ნინოწმინდაში აღდგა სამონასტრო ცხოვრება, ჩატარდა სარემონტო სამუშაოები. ამჟამად აქ დედათა მონასტერი მოქმედებს. 2003 წლიდან აღდგა საგარეჯო-ნინოწმინდის ეპარქია, აქვე განთავსდა ეპარქიის კათედრა და ეპისკოპოსის რეზიდენცია.

2003 წლის 18 აგვისტოს ურბნისის საკათედრო ტაძარში გამართული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის კრების განჩინებით, საგარეჯოსა და გურჯაანის ეპარქიის ტერიტორიის გადანაწილების შემდეგ ჩამოყალიბდა გურჯაანი-ველისციხისა და საგარეჯო-ნინოწმინდის ეპარქიები.


მანავის ციხის ნანგრევებთან...

თბილისი-თელავის მთავარ გზატკეცილზე, საგარეჯოს შემდეგ, ხელმარცხნივ მოჩანს მანავის შესანიშნავი ციხის ნანგრევები.

ვახუშტი ბატონიშვილი ციხესიმაგრეს ასე მოიხსენიებს: „...ჰერეთის მთის ძირს მანავი, სადაცა აღაშენა სასახლე იმამყულიხან, მთის ძირად არს ძველადი ციხე და აწ შემუსვრილი“.

XVIII საუკუნეში კახეთის მეფეს თეიმურაზ II-ის ძმას იმამ-ყული ხანს (დავით II-ს) აუშენებია სასახლე და თელავიდან სამეფო რეზიდენცია აქ გადმოუტანია. თეიმურაზ II-ის ოჯახს ამ სასახლეში კარგა ხანს უცხოურია და ამბობენ, რომ ერეკლე II აქ იზრდებოდაო.

მანავის ციხე



ამ პერიოდში მანავი ცენტრს წარმოადგენდა, ამას მოწმობს 1712 წელს თეიმურაზ II-ის ქორწინებაც: „წარვიდა თეიმურაზ ტფილისს დიდებით, რამეთუ წარსავლელად იყო ვახტანგ ისპაანს და დიდითა დიდებითა და ზითვითა მოიყვანა თამარ მანავს და ქმნა კუალად ქორწილი ჯეროვანი“.

1772 წელს გიულდენშტედტის ცნობა გვაუწყებს, რომ სოფელი მანავი მთლიანად განადგურებულია, მოსახლეობა შეხიზნულია ციცაბო ფერდობებზე. თავად მანავის ციხე სტრატეგიულად მოხერხებულ ადგილას იყო აგებული. ციხე გადაჰყურებს გარშემო მთელ ტერიტორიას. ამჟამად კი იგი იმდენად იაფარქმნილია, რომ მისი ქვედა ფენების განსაზღვრა ვარაუდით შეიძლება მხოლოდ.

მანავის ციხის ძველი სამშენებლო ფენა X-XI საუკუნეებს მიეკუთვნება, ახალი კი XVI-XVIII საუკუნეებს. ციხეს სახელწოდება სოფლიდან გამომდინარე მიუღია. იგი ორი ნაწილისგან შედგება: შემადლებულ ადგილზე დგას ციტადელი, რომელსაც აღმოსავლეთით ქვედა ციხე ეკვრის. ციხეს აქვს შიდა გალავანი, შესასვლელი ჩრდილოეთიდან მდებარეობდა. აქვს ოთხი კოშკი. ამჟამად ციხის ტერიტორიაზე დგას სამი ეკლესია: ღვთისმშობლის დიდი და პატარა ეკლესიები და წმინდა გიორგის ეკლესია.

დღეისთვის მიმდინარეობს ციხის რესტავრაცია და არქეოლოგიური კვლევა-ძიება.

ამჟამად ეს სასახლე დანგრეულია.

სიღნაღი – სიფვარულის ქალაქი

თბილისიდან ასიოდე კილომეტრში მდებარეობს საქართველოს ერთ-ერთი უღამაზესი ციხე-ქალაქი სიღნაღი. ქალაქი შეფენილია ცივგომბორის ქედზე, ზღვის დონიდან 750 მეტრის სიმაღლეზე.

სახელწოდება სიღნაღი წარმოდგება თურქული სიტყვიდან და თავშესაფარს ნიშნავს. აქ ძველთაგანვე ყოფილა ციხესიმაგრე, რომელსაც იყენებდნენ როგორც მოსახლეობის, ასევე პირუტყვის თავშესაფრად.

ქალაქ სიღნაღისა და სიღნაღის ციხესიმაგრის ისტორია უკავშირდება მეფე ერეკლე II-ის სახელს. ისტორიკოს პლატონ იოსელიანის ცნობით, სიღნაღის ციხე აგებულია 1762 წელს მეფე ერეკლეს მიერ. ციხესიმაგრეს მთავარი როლი ეკისრებოდა ლეკებისა და ოსმალეთიზილბაშებისგან დასაცავად. ერეკლე II-მ მოახდინა სიღნაღის გალავნის გენერალური რე-





ბოლბის წმინდა ნინოს სახელობის მონასტერი

კონტრუქცია და გაამაგრა კედლები.

ფეოდალური საქართველოს ციხეებიდან სიღნაღის ციხე სიდიდით გამოირჩევა. იგი 40 ჰექტარზეა გადაჭიმული და მეტად უსწორო გეგმა აქვს. ციხის კედლების პერიმეტრი 2,5 კმ-ს აღწევს. გალაგნის მთელ სიგრძეზე განლაგებული ყოფილა 23 კოშკი და იმდენივე კონტრფორსი. ყველა კოშკი ატარებდა სახელს იმის მიხედვით, თუ რომელი სოფელი მონაწილეობდა მის მშენებლობაში.

ციხის კომპლექსს ჰქონია ექვსი შესასვლელი, რომლებიც ასევე სოფლების სახელებს ატარებდნენ. ციხის რთული რელიეფიდან გამომდინარე, ქალაქის მკვიდრნი მის გარეთაც იყვნენ დასახლებულნი.

მტრის შემოსევის დროს, ციხე-გალაგნის ამშენებელი სოფლების მოსახლეობა თავისი სარჩო-საბადებლით აქ აფარებდა თავს. მათ ევალებოდათ კოშკებისა და გალაგნის დაცვა. ციხის კედლები ორიარუსიანია. ქვედა, ყრუ იარუსის კედლის სისქე 1,5 მეტრს, ხოლო ზედა იარუსისა 70-80 სმ-ს შეადგენს. ამ კედლების სიგრძეთა განსხვავება ქმნის საბრძოლო ბილიკს, რომლის სიგანე 70 სმ-ია.

სიღნაღის ციხე ნაგებია რიყის ქვით, მცირე რაოდენობითაა გამოყენებული აგური.

XVIII საუკუნის II ნახევარში სიღნაღის ციხე კახეთში ერთ-ერთ საიმედო დასაყრდენ პუნქტად ითვლებოდა.

ბოლო წლებში განხორციელდა სიღნაღის რეაბილიტაცია. აშენდა სასტუმროები, რამდენიმე ახალი რესტორანი და კვების ობიექტი, შეიკვალა ინფრასტრუქტურა, მოპირკეთდა ქუჩები, მშენობებს დაუბრუნდა თავისი ისტორიული სახე. ასევე აშენდა სიღნაღის მუზეუმი, რომელიც თანამედროვე სტანდარტებს შეესაბამება.

ბოლბის წმინდა ნინოს სახელობის მონასტერი

ბოლბის მონასტერი მდებარეობს სიღნაღის რაიონში, ქალაქ სიღნაღიდან ორიოდე კილომეტრში. ტაძარი აგებულია IV საუკუნის 30-იან წლებში, მირიან მეფის ბრძანებით. ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინო ბოდბეში გარდაიცვალა და ღვთის განგებით აქვეა დაკრძალული. წმინდა ნინოს დაკრძალვის ადგილას პირველი ეკლესიის მშენებლობა მომხდარმა სასწაულმა განაპირობა. მირიანს მცხეთაში სურდა მისი გადმოსვენება, მაგრამ ორასმა კაცმა ვერ დაძრა მისი სარეცელი ადგილიდან. ეკლესია ააგეს უშუალოდ საფლავეზე.

შემდგომში სააღმშენებლო სამუშაოები აქ ბაქარ მირიანის ძესაც ჩაუტარებია.

ისტორიკოსები ასკენიან, რომ ბოდბის საეპისკოპოსო ვახტანგ გორგასლის ეპოქაში უკვე არსებობდა.

XVI საუკუნეში კახეთში საერისთავოები გაუქმდა და მსხვილ ფეოდალურ ერთეულებად მხოლოდ საეპისკოპოსოები დარჩა, კახეთი დაიყო ოთხ სადროშოდ, მათ შორის პირველი ადგილი ბოდბელს ეკავა. ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, ეპისკოპოსი თავად მიუძღოდა ლაშქარს, მას თან ახლდა ჯვარისმტვირთველი, რომელსაც ხელთ ეპყრა დროშა.

1631 წელს კახეთის მეფე თეიმურაზ I-მა შეაკეთა ტაძარი.

სამეფო კარი დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ბოდბის მონასტერს. XVII საუკუნიდან აქ მოქმედებდა სასულიერო სასწავლებელი. აქვე იყო საქართველოში ერთ-ერთი უმდიდრესი წიგნსაცავი. XVIII საუკუნეში ბოდბე დიდძალი მამულების მფლობელია.

VIII-IX საუკუნეებში ტაძარი სამნავიან ბაზილიკად გადაუკეთებიათ. ჩრდილოეთით – სამკვეთლო, სამხრეთით – წმინდა ნინოს ეგვტერი. მათი შესასვლელები თაღოვანია. წმინდა ნინოს ეგვტერში, ჩრდილოეთ კედელთან არის 20 სმ სიმაღლის აგურის შემაღლება, რომელზეც წმინდა ნინოს ფერწერული გამოსახულებაა წარმოდგენილი. 1997 წლამდე აქ იდგა მიხეილ საბინინის მიერ შეწირული მარმარილოს ქვა. ამჟამად არსებული საფლავის ქვა ოთხ სვეტზე დამაგრებული მარმარილოს მასიური ფილაა, რომლის ზედაპირი ორნამენტული მორთულობითაა დაპუშავებული. სამკვეთლოსა და ეგვტერის აფსიდებში კედელთან მიდგმული ტრაპეზია გამართულია.

ეკლესიის მოხატულობა ზეთის საღებავებითაა შესრულებული. კედლებზე წარმოდგენილია სცენები ძველი და ახალი აღთქმებიდან, წმინდა გიორგისა და წმინდა ნინოს ცხოვრების ამსახველი სიუჟეტები, იოანე ბოდბელის ორი პორტრეტი. სამხრეთი ბურჯის წინ განისვენებს იოანე ბოდბელი.



წმინდა ნინოს საფლავი

*წმინდა სტეფანე ხირსელის
სახელობის მონასტერი*



1889 წელს ბოლბეს რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III ეწვია, მისი ბრძანებით გაიხსნა დედათა მონასტერი, სადაც წირვა-ლოცვა რუსულ ენაზე აღევლინებოდა. ამან ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. 1924 წელს მონასტერი დაიხურა. ბოლბის უკანასკნელი ილუმენია ნინო ვაჩნაძე, მიუხედავად მრავალგზის მუქარისა, მონასტერს არ შორდებოდა, თუმცა საბოლოოდ იძულებული გახდა, ბოლბე მიეტოვებინა და თბილისში, ანჩისხატის ტაძართან დასახლებულიყო, სადაც გარდაიცვალა კიდევც.

1991 წელს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ბოლბეში აღდგა საბჭოურ პერიოდში შეწყვეტილი სამონასტრო ცხოვრება. ამ დროიდან მონასტერი თანდათან იბრუნებს ძველ სიძლიერეს.

მონასტრის ერთ-ერთ უდიდესი სიწმინდე არის ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი. მას კომუნისტების დროს მონასტრის ადგილას გახსნილ საავადმყოფოში, საოპერაციო მაგიდად იყენებდნენ. შემდგომ ღვთისმშობელი ექიმ ქალს გამოეცხადა და ხატის პირვანდელ ადგილას გადასვენება უბ-

რძანა. ერთხელ ერთმა ურწმუნო კაცმა ხატის შეურაცხყოფა სცადა და დანით დაუსწრა სახე, რისთვისაც მკაცრად დაისაჯა და საესებით ჯანმრთელი მოულოდნელად გარდაიცვალა.

2002 წელს აღდგა სამრეკლოც. ასევე ამ პერიოდში მთავარ ტაძარსაც ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები.

ბოლბეში წმინდა ნინოს მონასტრიდან დაახლოებით 3 კმ-ში მდებარეობს წმინდანის ლოცვით აღმოცენებული წყარო. მასში განბანის შემდეგ უამრავი სულიერად და ფიზიკურად დაერდომილი ადამიანი იკურნება. წყაროსთან აშენებულია წმინდა ნინოს მშობლების — წმინდა ზაბულონისა და სოსანას სახელობის მცირე ეკლესია.

წმინდა სტეფანე ხირსელის სახელობის მონასტერი

ხირსის მონასტერი მდებარეობს სიღნაღის რაიონში, სოფელ ტიბაანში, სიღნაღიდან 11 კმ-ში. მისი დამაარსებელია VI საუკუნეში საქართველოში შემოსულ ასურელ მამათაგან ერთ-ერთი — სტეფანე ხირსელი.

IX-X საუკუნეთა მიჯნაზე სტეფანე ხირ-

სელის მიერ აგებული ბაზილიკა კახთა მეფე კვირიკე I-მა გუმბათოვანი ტაძრით შეცვალა. XVI საუკუნის 40-იან წლებში ლევან კახთა მეფემ აქ ჩაატარა რესტავრაცია.

ტოპონიმ ხირსის წარმომავლობა უცნობია. მეცნიერთა ნაწილი მას უკავშირებს მონასტრის ახლოს გამოძვალ მდინარე ხირსას, რომელიც იმ დროს საკმაოდ წყალუხვი ყოფილა. ასევე სავარაუდოა, რომ სახელი ხირსა თვით წმინდა სტეფანეს შემოეტანა მცირე აზიიდან საქართველოში და ეწოდებინა თავისი ასკეტური ცხოვრების ადგილისთვის.

ღირსი სტეფანეს წმინდა ნაწილები ტაძრის ჩრდილოეთ ნაწილშია დასვენებული. ხირსის მონასტერი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მისიონერული ცენტრი იყო. მორწმუნენი ქრისტიანობის გასავრცელებლად მიემგზავრებოდნენ დაღესტანში, ოსეთში, ინგუშეთში, ასტრახანში და სხვ. ამ მხრივ განსაკუთრებულია ხირსის მონასტრის წინამძღვრის — იოანე მანგლელის ღვაწლი.

1811 წელს, ქართული ავტოკეფალიური ეკლესიის გაუქმების შემდეგ, ხირსის სავანე ქართლ-კახეთის ერთ-ერთი მონასტერთაგანი იყო, რომელშიც ღვთისმსახურება აღესრულებოდა.

XIX საუკუნის დასაწყისისთვის წმინდა

სტეფანეს ტაძარი დანგრევის პირას იყო მისული. იგი კაპიტალურად გარემონტდა 1822 წელს ეგზარქოს იოანეს დროს. ამ პერიოდში აქ მოღვაწეობდა მღვდელმონაზონი ფილადელფოს კიკნაძე – 1832 წლის შეთქმულების აქტიური მონაწილე.


მონასტერს დასაველეთით აკრავს მაღალი გალაგანი, რომელიც კახთა მეფე ლევანს (1520-1574) შეუკეთებია. XIX საუკუნეში აუცილებლად ტაძრის სამსართულიანი სამრეკლო. ამავე პერიოდში მონასტრის ეზოში დაარსდა საეკლესიო-სამრეკლო სკოლა.

ხირსის მონასტრის მთავარი სიწმინდეა წმინდა პირველმოწამე სტეფანეს ნეკათითი. გადმოცემით, ეს სიწმინდე აქ მონასტრის დამაარსებელმა, ღირსმა სტეფანემ ჩამოაბრძანა. დღეისთვის ეს სიწმინდე ბოღბის დედათა მონასტერშია დაბრძანებული. მონასტერში ღვთისმსახურება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეწყდა. საბჭოთა წყობის დროს წმინდა სტეფანეს ტაძარს საწყობად იყენებდნენ. ბერების საცხოვრებელ ორსართულიან სახლში კი მუსიკალური სკოლა მოქმედებდა. 1990-იანი წლების ბოლოს მონასტერი შეკეთდა და განახლდა.

ენო ბაქიძე

წმინდა სტეფანეს საფლავი



 <p>ძვ. ბერძენი ისტორიკოსი, „ისტორიის მამა“</p>		1	2	3	
		ისტორიული მხარე აღმ. საქართველოში	ადმინისტრაციული ერთეული ძვ. საქართველოში	მონღოლების არმიის ჯარისკაცი	
				4	
				სახალხო კრება ძვ. რუსეთში	
		5	6	7	
	ებრაელთა მოძღვარი	პროგრესის მიწინააღმდეგე	ასურეთის უზენესი ქალაქი		
8					
ჩინური ენის სახელწოდება					
	9				10
	ქართლის რამდენიმე მეფის სახელი				სამხედრო მატარებელი
		11			
		რუსი კოსმონავტი			
	12				13
	ნაპოლეონის არმიის მარშალი				ებრაელთა ქვეყანა
	14				15
	პოლანდიელი ფილოსოფოსი				ფურანის ცალკეული ლოცვა
	16				17
	სამხედრო არაბეთში				დასავლეთ საქართველოს ძვ. ქართული სახელწოდება
			18		
			ბუღბუღი ქალაქი		
		19			
		ფულის და წინის ერთეული ძვ. საბერძნეთში			
20	21	22			23
ძველი ქუთაისი	ეთიოპიის ძვ. სახელწოდება	პლანეტა იუპიტერის ძვ. ქართული სახელწოდება			ძვ. ქართული სივრძის საზომი ერთეული
24					
XX ს-ის ქართული ისტორიკოსი					

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

1. იტალია;
2. პველე;
3. პაკისტანი;
4. ისლამი;
5. აბჯარი;
6. ბაი;
7. რა;
8. მექა;
9. ბერლუსკონი;
10. აჭარა;
11. ზომლი;
12. აგორა;
13. იორი;
14. ნარა;
15. ალიევი;
16. შიო;
17. მორალესი;
18. მაი;
19. გაგელი;
20. კიევი;
21. მორზე;
22. პრეს;
23. ბონზა;
24. ენგელსი;
25. ნინბა;
26. ოსლო. სურათზე: ილია ჭავჭავაძე.